საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№36 (174)

26 სექტემბერი - 2 ოქტომბერი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

# ეიხმანის ტესტი

3

„გლდანიგეიტმა“ ნათლად აჩვენა, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სააკაშვილის მიერ შექმნილმა სისტემამ და, სავარაუდოდ, აღარავის დარჩა ილუზია, რომ არჩევნების დღეს და პოსტსაარჩევნო პერიოდში მმართველ ჯგუფს რაიმე ზნეობრივი წინაღობა შეაჩერებს.



„ეიხმანს ბრალად ედებოდა ენით აუწერელი სისასტიკისა და მასშტაბის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. საზოგადოება ელოდა, რომ სასამართლო დარბაზში ფსიქიკურად შეშლილ მონსტრს იხილავდა, მაგრამ მის წინაშე წარსდგა ერთი პატარა, შეშინებული ბიუროკრატი, რომელიც „წარმოუდგენლად ნორმალური“ იყო“

# არჩევნებს ვერ მოგვართმევთ

რუსუდან შარაძე:

## დათა ახალაია მამაჩემის მკვლელია! 7

«დემოკრატიის შუქურა» ჩაქრა

## სემ, რა უყავი თავისუფლების ჩირაღდანი? 4

საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვედნამყოფი ქართველი ვეტერანები:

## ამგვარი სისასტიკე ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვედ ყოფნისას არ გვინახავს! 5

ზაზა შათირიშვილი:

## შეიძლება ისე მოხდეს, რომ «ნაციონალური მოძრაობა» საერთოდ აიკრძალოს, როგორც ნაცისტური პარტია 9

ალექსანდრე ჭაჭია:

## არც ერთი ხმა ჯალათებს! 10

21



მეუფე ილარიონი:

## ეს ხელისუფლება არის ბოროტება და ამიტომ თავისი არსებობა უნდა დაამთავროს

## სამღვდელოება გმობს!

## პატრიარქს პირადად გადავეცი პატიმარი ქალების წერილები. თქვენ არ იცით, რა საშინელება ხდებოდა ქალთა კოლონიაში 2

## ერმა უნდა უარყოს და დაგმოს ბოროტმოქმედი ხელისუფალი

პროტესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მამა დავითი:**

**როცა პატიმარი აღსარებას მაბარებდა, მეუბნებოდა, რომ სცემდნენ, აგინებდნენ, მაგრამ აღსარებაშიც ვერ ამხელდნენ, გამაუპატიურესო. ცოცხით მაუპატიურებენო, როგორი სათქმელია?**

# სამღვდელოება გმობს!

ციხეებში პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელების შემდეგ ხელისუფლებამ საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება დაიმსახურა. პირველი თავზარდამცემი შოკის შემდეგ გაჩნდა კითხვა: რატომ მოხდა ასეთი სისასტიკე ჩვენ გვერდით ისე, რომ ვერაფერი გავიგეთ, ან სულაც, გავიგეთ, მაგრამ სათანადო ყურადღება არ მივაქციეთ? ხელისუფლების გარდა, ვინ არის ამ ყველაფერში დამნაშავე? საზოგადოების გაორება გამოიწვია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებამაც, როცა ბრძანა, რომ ყველა ქვეყანაში მსგავსი ფაქტები სააშკარაოზე არ გამოაქვთ (თუმცა პატრიარქის განცხადებას მალე მოჰყვა საპატრიარქოს განმარტება). საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთებმა უმოქმედობაში სასულიერო პირებიც დაადანაშაულეს. უნდა ვამხილოთ თუ უნდა გავჩუმდეთ? დღეს ქვეყნისთვის უმძიმეს სიტუაციაში სად არის გამოსავალი — წაყრუებასა თუ მხილებაში? კომენტარი წიგნის „არა არს დაფარული“ პრეზენტაციაზე შეკრებილ სასულიერო პირებს ვთხოვეთ.

**წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი პეტრე (კვარაცხელია):**

## საქართველოში ყველაფერია, დემოკრატიის გარდა

— ის რაც ვნახეთ, ცალსახად დასაგმობია და არა მგონია, დედამიწაზე მოიძებნებოდეს ადამიანი, რომელიც ამ უსამართლობას და შემზარავ ფაქტებს გაამართლებს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ხშირად გვსმენია, თითქოს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიაა და ადამიანის უფლებებიც კარგადაა დაცული, „ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს“, რადგან ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებენ.

როცა ადამიანი ვერ გრძნობს და არც სხვის ნათქვამს ითვალისწინებს, ამიტომაც დაუშვა უფალმა ჩვენზე განსაცდელი, რათა დაგვენახა, რომ საქართველოში ყველაფერია, გარდა დემოკრატიისა.

რაც მოხდა დასაგმობია, მაგრამ მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ, როცა ადამიანები გამოდიან სოციალურ ქსელებში თუ ტელევიზიაში და მოითხოვენ დამნაშავეების იმავე მეთოდებითა და სისასტიკით დასჯას, როგორი მეთოდებითაც ისინი პატიმრებს ეპყრობოდნენ, ეს არასწორია! ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ძალადობის წინააღმდეგ. ვინც დაისაჯა, ისიც ეკლესიის წევრია და, ვინც დასაჯა, ისიც, ამიტომ მე მაინც ვფიქრობ, არც ერთი ადამიანი არ უნდა გავიმეტოთ.

**ჩვენ გარკვეულ ინფორმაციას ვფლობდით, რომ საპატიმროებში ყველაფერი რიგზე ვერ იყო, მაგრამ, რაც ვნახეთ, ამას ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერავინ წარმოიდგენდა.**

**გამოსავალი მხოლოდ ერთია: პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უნდა ვიცხოვროთ, ხმა ღვთისა უნდა გაცხადდეს ქართველ ერზე და ყოველგვარ ძალადობას ბოლო უნდა მოეღოს.**



**წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მამა დავითი (ისაკაძე):**

## ერმა უნდა უარყოს და დაგმოს ბოროტმოქმედი ხელისუფალი

— რაც ვნახეთ, ეს არის ჩვეულებრივი ფაშიზმი, ეს არამარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ამაზრზენი დანაშაულია და ბუნებრივია, რომ, უპირველეს ყოვლისა, მომხდარზე სამართლებრივად პასუხისმგებელი ქვეყნის პირველი პირი და მისი უახლოესი გარემოცვა უნდა იყოს და არა ის ერთი ან ორი მინისტრი, რომლებიც თითქოსდა თანამდებობიდან მოხსნეს.

**პატრიარქმა პირველივე განცხადებაში დაგმო მომხდარი ფაქტი და მოუწოდა საზოგადოებას, შექმნილიყო საზოგადოებრივი კომისია, რომელიც შეაფასებდა ამ ყველაფერს. ამით პატრიარქმა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებას გამოუცხადა ნდობა და არა რომელიმე კერძო სტრუქტურას ან ხელისუფლებას.**

სასულიერო პირების დადანაშაულება, ვფიქრობ, უმართებულოა, ვინაიდან, ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ საპატიმროებში არაადამიანურად ეპყრობიან პატიმრებს. ის, ვინც ყურადღებით ეცნობა ჩვენს ინტერვიუებს, უსმენს ქადაგებებს, იცის, რომ ამის შესახებ არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ, რაც ახლა ვნახეთ, ამის წარმოდგენაც არ შეგვეძლო.

**— მამაო, სად არის გამოსავალი?**

**— ერმა სათანადოდ უნდა შეაფასოს ეს ყველაფერი და ახლა მაინც გამოფხიზლდეს. სწორედ ერმა უნდა უარყოს და დაგმოს ბოროტმოქმედი ხელისუფალი და სწორი არჩევანი გააკეთოს. ნებისმიერი ჩვენი მოქალაქისთვის, მომავალი ხელისუფალის არჩევისას, პრიორიტეტული მართალი სარწმუნოება და ეროვნული ცნობიერება უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება კვლავ შეცდომა დავუშვათ.**



**თბილისის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი მამა დავითი (ქვლივიძე):**

## პრეზიდენტი იტყუება, როდესაც ამბობს, რომ ასეთი ფაქტები სხვა ქვეყნებშიც ხდება

— ამ კადრებმა ჩემზე იმდენად იმოქმედა, რომ ასეთი გაოგნებული, შეძრწუნებული და გაბრაზებული არასდროს ვყოფილვარ. უფრო მეტად პრეზიდენტის უტიფრობამ გამაღიზიანა. იმის მაგივრად, რომ შენდობა ეთხოვა და სინანული გამოეხატა, გამოვიდა გიორგი ბარამიძე და თავისი გუნდის წევრებს განუცხადა, თავი ასწიეთ, თავაწეულებმა უნდა ვიაროთო. ვინ უნდა აწიოს თავი მაღლა, იმან, ვინც საქართველოს აუპატიურებს? პრეზიდენტი იტყუება, როდესაც ამბობს, რომ ასეთი ფაქტები სხვა ქვეყნებშიც ხდება. სხვაგან ეს, შესაძლოა, მოხდეს, როგორც ერთეული, გამონაკლისი შემთხვევა და ამ შემთხვევაშიც ამას შეიძლება არამარტო ციხის ხელმძღვანელობა, არამედ მთავრობაც კი შეეწიროს. საქართველოში კი საპატიმროებში ძალადობას სისტემური ხასიათი ჰქონდა.

**ცოდვაზე საშინელი ის არის, როცა ცოდვის გამართლებას იწყებ.**

**როცა პრეზიდენტი აცხადებს ასეთი რამ სხვა ქვეყნებშიც ხდებაო, თქვას, სად ხდება!** ასეთი ფაქტები მართლაც მოხდა ნაცისტურ გერმანიაში, როცა ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი მოვიდა. ეს ყველაფერი კი ვიცით, რომ ნიურნბერგის პროცესით დასრულდა. დღეს ნაციზმი და ჰიტლერი გერმანიის სირცხვილია. ასეთი ქმედება და „ნაციონალური მოძრაობა“ კი საქართველოს სირცხვილია.

**— საზოგადოების ნაწილი სასულიერო პირებსაც ადანაშაულებს უმოქმედობაში, რადგან ციხეებში შესვლის უფლება გქონდათ. იცოდით თუ არა, რომ პატიმრებს აწამებდნენ?**

— სასულიერო პირებს არა საზოგადოება, არამედ ეკა კვესიტაძე ადანაშაულებდა, რომლის ქმარიც შოთა უტიაშვილია — ერთ-ერთი სახელისუფლო სტრუქტურის ხელმძღვანელი. როგორ არ ვამხელდით ხელისუფლებას? **როცა პატიმარი აღსარებას მაბარებდა, მეუბნებოდა, რომ სცემდნენ, აგინებდნენ, მაგრამ აღსარებაშიც ვერ ამხელდნენ, გამაუპატიურესო. ცოცხით მაუპატიურებენო, როგორი სათქმელია?**

და კიდევ ერთი: მნიშვნელოვანია, საერთაშორისო საზოგადოებამ, ამერიკამ ერთი რამ გაითვალისწინოს: დღეს მთელ მსოფლიოში მუსლიმანების ანტიამერიკული ისტერიაა და, **თუ ამერიკელები ამ ყველაფრის შემდეგ მაინც სააკაშვილს დაუჭერენ მხარს, შეიძლება საქართველოშიც ანტიამერიკული განწყობა გამძაფრდეს.** ხალხი უკვე საუბრობს, რომ თურმე მშვიდობისა და დემოკრატიის გარანტი არ ყოფილა ამერიკაო. ამიტომ მოვლენები მათ ძალიან ფრთხილად უნდა შეაფასონ.

**ჯერ მხოლოდ სტუდენტები გამოვიდნენ, მაგრამ თუ არჩევნები გააყალბა ხელისუფლებამ, მთელი ერი გამოვა და რთული წარმოსადგენია, რა მოხდება.**

**სახარებაში ნათქვამია: „რომელმან მახვილი აიღოს, მახვილით მოწყდეს“, ეს ხელისუფლება როგორც მოვიდა, ისევე წავა, მაგრამ უნდა ვევედროთ უფალს, რომ ეს ხელისუფლება მშვიდობიანად წავიდეს. თუ ხელისუფლება გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებს, მთელი პასუხისმგებლობა მასზე იქნება და ნამდვილად არ მინდა, ჩემმა ხელისუფალმაც კადაფის ბედი გაიზიაროს.**



**წმინდა სამების ტაძრის დიაკონი, მამა ელიოზბარი (დიაკონიძე):**

## პატრიარქს პირადად გადავეცი პატიმარი ქალების წერილები. თქვენ არ იცით, რა საშინელება ხდებოდა ქალთა კოლონიაში



— თურმე უზნეობას საზღვარი მართლაც არ ჰქონია. თან, რაც ყველაზე მთავარია, ეს უზნეობა ხდებოდა პატიმრების წინააღმდეგ, რათა მათი მაკომპრომეტირებელი მასალები ჰქონოდათ. **ეკლესია ყოველთვის გმობდა და დაგმობს ასეთ სისასტიკეს და უმსგავსობას.**

**პატრიარქი ბრძენი გახლავთ და მისი განცხადება მშვიდობისკენ მოწოდებას უფრო ჰგავდა.** და საერთოდ, სასულიერო პირებს ნუ ადანაშაულებენ, როცა პატიმარი აღსარებას გაბარებს, მოძღვარს, აღსარების საიდუმლოს გამხელის უფლება არ გაქვს. პირადად მე რამდენიმე წლის წინ ქალთა კოლონიაში ვახერხებდი პატიმრების მონახულებას, რაც ეკლესიის მაღალმა იერარქებმა ამიკრძალეს, რადგან პატრიარქს პირადად გადავეცი პატიმარი ქალების წერილები. თქვენ არ იცით, რა საშინელება ხდებოდა ქალთა კოლონიაში. **ციხეში დაბადებულ ბავშვებს დედებს სტაცებდნენ და მათი ოჯახის წევრებს კი არ აძლევდნენ მეურვეობის უფლებას, არამედ თითო წლით სხვადასხვა ოჯახში აშვილებდნენ.**

**— ამბობთ, რომ წერილები პატრიარქს გადაეცით, საპატრიარქოს მხრიდან რატომ არ მოჰყვა რეაგირება?**

— თქვენს გაზეთთან საუბარშიც არაერთხელ გამიკრიტიკებია საპატრიარქოს საქციელი. პატრიარქი თავად ხომ ვერ აყვირდება, შესაბამის ხალხს დაავალა მოქმედება, მაგრამ პატიმრების დასახმარებლად მათ არაფერი გააკეთეს. **ამ ვითარებაში გამოსავალი მხოლოდ ერთია: მხოლოდ ლოცვა საქმეს არასდროს შველოდა. ეს ყველამ კარგად იცის. შრომა, ბრძოლა და ლოცვა გადაგვარჩენს.** ცოტა შეიძლება გვერდებიც გვეტკინოს, მაგრამ სულიერი ღირებულები უნდა დავიბრუნოთ. 26 სექტემბერს წმინდა ქეთევან წამებულის ხსენების დღეა, 27 ჯვართამაღლება, 28 ალავერდობაა. 1 ოქტომბერს კი დიდმოწამე ბიძინა ჩოლოყაშვილისა და წმინდა მთავართა — ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავთა ხსენების დღეა და ამ წმინდანთა მეოხებითა და ჩვენი ლოცვითა და ბრძოლით 1 ოქტომბერს ქართველმა ერმა კისრიდან მონობის, სისასტიკის, სადიზმისა და ლაჩრობის უღელი სამუდამოდ უნდა ჩამოიგდოს.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

**„გლდანიგეიტმა“ ნათლად აჩვენა, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სააკაშვილის მიერ შექმნილმა სისტემამ და, სავარაუდოდ, აღარავის დარჩა ილუზია, რომ არჩევნების დღეს და პოსტსაარჩევნო პერიოდში მმართველ ჯგუფს რაიმე ზნეობრივი წინაღობა შეაჩერებს. ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ისინი, სავარაუდოდ, ყველაფერს გააკეთებენ, მიუხედავად იმისა, როგორ შეაფასებს ამას საზოგადოება და რას იტყვის ამერიკა თუ ევროპა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი გამოუვათ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ეიხმანის ტესტი და მერაბიშვილის დილემა



**„არჩევნებს ვერ მოგართმევთ“, — ეს ფრაზა მიხეილ სააკაშვილმა გასულ კვირას ბათუმში, ამომრჩევლებთან(!) შეხვედრაზე წარმოთქვა და ქართული დემოკრატიის ეპიტაფია სულ რაღაც სამ სიტყვაში მოაქცია. სააკაშვილის გამოსვლებს კომენტატორების აბსოლუტური უმრავლესობა ამ ბოლო დროს ყურადღებას აღარ აქცევს, ხოლო მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ფიგურანტი თავს კონტროლს ველარ უწევს, რაც მის ნათქვამზე სერიოზულ მსჯელობას გამორიცხავს; აქედან გამომდინარე, ამ პასაჟს განსაკუთრებული ვნებათაღელვა არ გამოუწვევია. არადა, მომავლის ისტორიკოსები მას აუცილებლად გამოიყენებენ, როდესაც შთამომავლებს მოუთხრობენ, რა მოხდა საქართველოში 2012 წლის შემოდგომაზე; ეს ლაკონური რეპლიკა ისტორიაში შევა, რადგან ეპოქის არსსა და პოლიტიკურ ფილოსოფიას ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს.**

საერთოდ, გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილის დაკვირვება მეტად საინტერესო იყო. **პატიმრების წამების ამსახველმა ვიდეოჩანაწერებმა ხელისუფლების ავტორიტეტი მიწასთან გაასწორა. იმ უმძიმესი საიმიჯო დანაკარგების კომპენსირება, რომელიც მმართველმა ჯგუფმა განიცადა, ნებისმიერ შემთხვევაში ვერ მოხერხდება, თუნდაც ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ხუთი ვაგონი სასწრაფო წესით დამზადებული კონტრკომპრომატი გაავრცელონ.** სააკაშვილი იმპულსურად, სასწრაფო წესით ცდილობდა, ვითარება ნაწილობრივ მაინც გამოესწორებინა და ამ დროს უპრეცედენტო განცხადებებს აკეთებდა, მაგალითად: **„ის, რაც ხდებოდა გლდანის კარანტინში, ეს** (ადრე) **იყო საქართველოში ყველა ეზოსა და უბანში“**, ან კიდევ: **„ამერიკაში ასეთი რამ ხშირად მომხდარა, ევროპაში ყოველდღე ხდება“.** ამ განცხადებების შემდეგ სოციალურ ქსელებში გაჩნდა ასობით კომენტარი იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი არანორმალურია, თუმცა, თუ საკითხს ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფარდობითი „ნორმალურობა“ „არანორმალურობაზე“ უფრო საშიშია.

**„ამ ადამიანის ნორმალურობა გაცილებით საშინელი იყო, ვიდრე ყველა სისასტიკე ერთად აღებული“, — წერდა ჰანა არენდტი ნაცისტ დამნაშავეზე, ადოლფ ეიხმანზე,** რომელსაც ისრაელის ხელისუფლებამ არგენტინაში მიაგნო, 1960-ში ჩაატარა მისი გატაცების ბრწყინვალე ოპერაცია და განსასჯელთა სკამზე დასვა. ეიხმანს ბრალად ედებოდა ენით აუწერელი სისასტიკისა და მასშტაბის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. საზოგადოება ელოდა, რომ სასამართლო დარბაზში ფსიქიკურად შეშლილ მონსტრს იხილავდა, მაგრამ მის წინაშე წარსდგა ერთი პატარა, შეშინებული ბიუროკრატი, რომელიც, ჰანა არენდტის თქმით, **„წარმოუდგენლად ნორმალური იყო, ხოლო მისი მოქმედება, რომელმაც მილიონობით ადამიანი შეიწირა, იყო მისი სურვილის შედეგი, სამუშაო კარგად შეესრულებინა. ის ფაქტი, რომ მისი სამუშაო მასობრივი მკვლელობის ორგანიზებაში მდგომარეობდა, ამ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი გახლდათ“.**

**პრობლემა ცალკეული ადამიანების მენტალურ აშლილობაში კი არა, სისტემაშია, რომელიც პათოლოგიური ხასიათის დანაშაულს ნორმად აქცევს; სავსებით ნორმალური ადამიანის ჩათრევას ამ მორევში სულ რამდენიმე დღე ან, სულაც, წუთი სჭირდება.** ჩვენ ხშირად წაგვიკითხავს „სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის“ შესახებ, რომელიც 1971 წელს **ამერიკელმა ფსიქოლოგმა ფილიპ ზიმბარდომ** ჩაატარა, მოხალისეები „პატიმრებად“ და „ზედამხედველებად“ გაყო და ექვსი დღის შემდეგ იძულებული გახდა, შეეწყვიტა ექსპერიმენტი, რადგან „ზედამხედველების“ სადიზმმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, თუმცა ნაკლებად ცნობილია ის გარემოებები, რომელშიც ფსიქოლოგმა ეს გადაწყვეტილება მიიღო. მან იმპროვიზებულ „ციხეში“ საცოლე დაპატიჟა, ის კი, იმის ნაცვლად, რომ ექსპერიმენტით აღფრთოვანება გამოეხატა, ატირდა და თქვა „ის, რასაც თქვენ ამ ადამიანებს უშვებით, საშინელებაა“. ზიმბარდო, მისივე აღიარებით, გონს მხოლოდ ამის შემდეგ მოეგო, ამ მომენტამდე კი ის სისტემის ნაწილად იყო ქცეული და ექსპერიმენტში მონაწილე „პატიმრების“ წამებასა და შეურაცხყოფას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში სისტემამ ექსპერიმენტის ხელმძღვანელი შთანთქა. **ზიმბარდოც და მისი „ზედამხედველებიც“ ჩვეულებრივი, სავსებით ნორმალური ადამიანები იყვნენ.**

**პროფესორმა მილგრემმა** იელის უნივერსიტეტში ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელიც (მოკლედ და სქემატურად თუ აღვწერთ) შემდეგში მდგომარეობდა: ექსპერიმენტის ერთი მონაწილე (მსახიობი) კითხვებს პასუხობდა, ხოლო დანარჩენები არასწორი პასუხისთვის დენს ურტყამდნენ, ყოველი მომდევნო არასწორი პასუხი უფრო ძლიერი დარტყმით ისჯებოდა; ძაბვას თანდათან, 15 ვოლტიდან 450 ვოლტამდე ზრდიდნენ. „ჯალათების“ 65%-მა ძაბვა 450 ვოლტამდე აწია და განაგრძობდა წამებას, მიუხედავად იმისა, რომ „მსხვერპლი“ ყვიროდა, ტიროდა და ეხვეწებოდა, გაჩერებულიყვნენ (სინამდვილეში, დენის დარტყმას ადგილი არ ჰქონია, „დასჯილი“ მსახიობი ტკივილის იმიტირებას ახდენდა, თუმცა „ჯალათებმა“ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ). ამ ექსპერიმენტის მონაწილეები სავსებით ნორმალური ადამიანები, პროგრესული ახალგაზრდები იყვნენ.

საინტერესოა, რომ **მაშინ, როდესაც ექსპერიმენტის ხელმძღვანელი ოთახს ტოვებდა და იქ მხოლოდ მისი ასისტენტი რჩებოდა, „ჯალათების“ 80% წამების გაგრძელებაზე უარს ამბობდა. იგივე ხდებოდა მაშინ, როდესაც მითითებებს ტელეფონით აძლევდნენ.** „ჯალათები“ არ ზრდიდნენ ძაბვას მაქსიმუმამდე, როდესაც მათ შესაძლებლობა მისცეს, თავად განესაზღვრათ, რამდენად ძლიერ დარტყმას მიიღებს მსხვერპლი, და უარს ამბობდნენ წამების გაგრძელებაზე, როდესაც ექსპერიმენტის ორი ხელმძღვანელი ურთიერთსაპირისპირო მითითებებს აძლევდა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, **მაშინ, როდესაც ექსპერიმენტატორის კონტროლი უშუალო, ხოლო მისი მითითებები ერთმნიშვნელოვანი იყო, 65% ჩამოყალიბებული სადისტივით იქცეოდა.** ამ შედეგების გათვალისწინება მნიშვნელოვანია ჩვენი სიტუაციის ანალიზისთვის.

„მილგრემის ექსპერიმენტის“ არაოფიციალური, ფართოდ გავრცელებული სახელწოდება „ეიხმანის ტესტია“; შეიძლება ითქვას, რომ ის საქართველოში მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ადამიანს ამ დღეებში გაუჩნდა ცდუნება, სააკაშვილსა და ციხის ჯალათებს არანორმალურები უწოდოს, მთელი უბედურება და ეროვნული კატასტროფა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ნორმალურები არიან და ეს კოშმარული ეიხმანისეული ნორმალურობაა, რომელმაც ჰანა არენდტი შეძრა. ისინი ასეთებად გადააქცია სისტემამ, რომელიც სავსებით „რაციონალური“ გათვლებიდან გამომდინარე შეიქმნა. საკმარისზე მეტი მტკიცებულება ცალსახად მიუთითებს, რომ **საქმე არა ცალკეული ზედამხედველების გადაცდომებთან, ამ მანიაკალურ გადახრებთან, არამედ სახელდახელოდ გამართულ „წამების კონვეიერთან“ გვაქვს. ასეთი რამ კი „ევროპაში ყოველდღე“ 1945 წლიდან მოყოლებული არ ხდება.**

**გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრმა, დანიელმა ექიმმა ოლე ვედელ რასმუსენმა** სკანდალურად ცნობილი ერაყული აბუგრეიბის პატიმრებთან საუბრების შემდეგ, ასეთი განცხადება გააკეთა: **„რაც მათ დაემართა, სიკვდილზე უარესია; ეს დამცირება მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვებათ“.** როდესაც გასულ კვირას ხელისუფლების წარმომადგენლები უხერხული სიტუაციიდან თავის დაძვრენას ცდილობდნენ, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა, ტელეკომპანიებს მათი გამოსვლების კადრებზე მორბენალი სტრიქონი დაედოთ: „სიკვდილზე უარესი... სიკვდილზე უარესი... სიკვდილზე უარესი“.

**„გლდანიგეიტმა“ ნათლად აჩვენა, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სააკაშვილის მიერ შექმნილმა სისტემამ და, სავარაუდოდ, აღარავის დარჩა ილუზია, რომ არჩევნების დღეს და პოსტსაარჩევნო პერიოდში მმართველ ჯგუფს რაიმე ზნეობრივი წინაღობა შეაჩერებს. ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ისინი, სავარაუდოდ, ყველაფერს გააკეთებენ, მიუხედავად იმისა, როგორ შეაფასებს ამას საზოგადოება და რას იტყვის ამერიკა თუ ევროპა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერი გამოუვათ.**

**გასულმა კვირამ ბიძინა ივანიშვილს ძალიან დიდი სარეიტინგო ბონუსი მოუტანა, მიხეილ სააკაშვილი კი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. ამავე დროს ვანო მერაბიშვილმა, ფაქტობრივად, მოახდინა ჩუმი შიდასახელისუფლო გადატრიალება, გაიფართოვა გავლენის სფერო და აღადგინა სრული კონტროლი შსს-ზე. მერაბიშვილის ხელში იმდენი სახელისუფლო ბერკეტის კონცენტრირება მოხდა, რომ შიდასახელისუფლო ბალანსის სისტემა დაირღვა და სააკაშვილის, ისევე როგორც სრულიად „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მომავალი 99%-ით მერაბიშვილზე დამოკიდებული გახდა.**

„გლდანიგეიტმა“ არა მხოლოდ ივანიშვილის, არამედ (ხელისუფლების შიგნით) მერაბიშვილის პოზიციებიც გააძლიერა, თუმცა ის, რომ მათი ინტერესები რაღაც მომენტში ერთმანეთს დაემთხვა, არ ნიშნავს, რომ მათ გრძელვადიანი ალიანსი შექმნეს და მომავლის ერთნაირი ხედვა აქვთ. მაგრამ სააკაშვილს არ აქვს გარანტია, რომ მომავალში ინტერესების მსგავსი თანხვედრა კიდევ ერთხელ არ მოხდება, რაც შეიძლება ავლაბრის რეზიდენციიდან მისი გაძევებით დაგვირგვინდეს.

**ხელისუფლების მოქმედება ამ დღეებში დიდწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რას გადაწყვეტს მერაბიშვილი და არა სააკაშვილი;** მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური საზოგადოების უმრავლესობა მათ შორის ზღვარს ვერ ავლებს, ამ ნიუანსს არსებითი მნიშვნელობა აქვს. აზრი იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერმა და პრემიერ-მინისტრმა შეიძლება მისი ბედი მის ზურგს უკან გადაწყვიტონ, დღეს სააკაშვილს, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად აწუხებს.

**ერთის მხრივ, ძალიან ძნელია მერაბიშვილის პოლიტიკური მომავლის დანახვა „ივანიშვილის საქართველოში“, რადგან ხელისუფლებაში მოსული ოპოზიციონერები აუცილებლად გაუხსენებენ დარბეულ მიტინგებს და ათას საშინელებას, რომელიც მისმა პოლიციელებმა ჩაიდინეს.** თუმცა, მეორე მხრივ, საკუთარი ბედის დაკავშირება „სააკაშვილის საქართველოსთან“ მისთვის შეიძლება არანაკლებ პრობლემური გამოდგეს. თავი დავანებოთ იმას, რომ რეჟიმი „ტიტანიკივით“ იძირება; თუ სააკაშვილის ჯგუფი ოპოზიციის ანიჰილირებას მოახერხებს (რაც მეტად სათუოა), ამის შემდეგ დაიწყება ბრძოლა დარღვეული შიდასახელისუფლო ბალანსის აღდგენისთვის, ანუ მერაბიშვილის წინააღმდეგ და მას სათავეში, დიდი ალბათობით, მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგება. **მერაბიშვილის დღევანდელი მდგომარეობა თითქოსდა მომგებიანი ჩანს, მას ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს სივრცე მანევრისთვის, თუმცა ამავე სიტუაციასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ის ორ ცეცხლს შუა მოექცა.** გააჩნია რა რაკურსით შევხედავთ მის მდგომარეობას და ჭიქას ნახევრად სავსედ თუ ნახევრად ცარიელად აღვიქვამთ.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის გამარჯვება პრაქტიკულად გარდაუვალი ჩანს, სააკაშვილის ჯგუფი სიტუაციის შეტრიალებას კიდევ ერთხელ შეეცდება. იმედია, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება და 1 ოქტომბერს ერი სწორ არჩევანს გააკეთებს, რადგან არასწორი არჩევანი ამ ვითარებაში „სიკვდილზე უარეს“ შედეგს მოგვიტანს.

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ დღეს ვინმე ეტყვის ყაზახ, სომეხ ან რუს სამოქალაქო აქტივისტს თუ უბრალო მოქალაქეს: „მოდი, მოვაწყოთ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ისე, როგორც საქართველოშია“, ის, დიდი ალბათობით, უპასუხებს: „იქ ადამიანებს ცოცხებით აუპატიურებენ. მე ეს არ მინდა“.**

# «დემოკრატიის შუქურა» ჩაქრა

**„საქართველო და მსოფლიოს” დღევანდელ ნომერში „გლდანიგეიტს“ არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა. ამ წერილში ჩვენ ყოველივე მომხდარის მხოლოდ ერთ ასპექტს შევეხებით და შევეცდებით დავადგინოთ, რა გავლენას მოახდენს ეს სკანდალი და მისგან გამომდინარე პოლიტიკური შედეგები ურთიერთობებზე სამკუთხედში: აშშ-საქართველო-რუსეთი. სააკაშვილის ჯალათების ნამოქმედარმა დარტყმა არა მხოლოდ მმართველ პარტიას, არამედ გაცილებით სერიოზულ ძალებს მიაყენა.**



**სააკაშვილმა იმდენი «იმუშარაფა», რომ ხსენებული «დემოკრატიის მხარდაჭერა», ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ცოცხზე დასვა და ახლა უკვე საბედისწერო ზღურბლს მიუახლოვა**

## პაციენტი უიმედოა

**„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ვაშინგტონი მუდამ ცდილობდა, სააკაშვილის საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმატებული რეფორმების მაგალითად წარმოეჩინა; ის ბრჭყვიალა, ფერადი ნათურებით განათებულ ვიტრინას დაემსგავსა. 2007 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, ეს ვიტრინა ნელ-ნელა იფარებოდა ნაკაწრებით, ბზარებითა და მეტად შეუხედავი გახდა. 18 სექტემბერს კი, პატიმრების სადისტური წამების ვიდეოჩანაწერების გავრცელების შემდეგ, მსხვილი მინა დაიმსხვრა, ოპტიკური ილუზია საბოლოოდ გაქრა და ყველამ დაინახა, რომ დახლზე ვარდი კი არ დევს, არამედ ხელკეტი, მასზე ჩამოცმული ვარდისფერი პრეზერვატივით.**

ამერიკელების წინსვლისთვის პოსტსაბჭოთა სივრცეში საინფორმაციო-ფსიქოლოგიური მიმართულება არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური ან გეოეკონომიკური. ის ქვეყნები, რომლებშიც „ფერადმა რევოლუციებმა“ გაიმარჯვეს, უნდა გამხდარიყვდნენ მისაბაძი მაგალითი სსრკ-ის სხვა ყოფილი რესპუბლიკების საზოგადოებებისთვის, რათა მათ, შესაბამისი რეფორმების გატარების მოთხოვნით, თავთავიანთი ქვეყნების ხელისუფლებებს დაპირისპირებოდნენ, რაც ვაშინგტონს საკუთარი სტრატეგიული მიზნების მიღწევას გაუადვილებდა. მაგრამ, **თუ დღეს ვინმე ეტყვის ყაზახ, სომეხ ან რუს სამოქალაქო აქტივისტს თუ უბრალო მოქალაქეს: „მოდი, მოვაწყოთ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ისე, როგორც საქართველოშია“, ის, დიდი ალბათობით, უპასუხებს: „იქ ადამიანებს ცოცხებით აუპატიურებენ. მე ეს არ მინდა“.**

ჩანაწერების გამოქვეყნებისთანავე, საიმიჯო თვალსაზრისით, **სააკაშვილის რეჟიმი დაემსგავსა პაციენტს, რომლის გადარჩენის შანსი აღარ არსებობს,** თუმცა სამედიცინო აპარატურაზეა მიერთებული, რომელიც არსებობას უხანგრძლივებს და ფორმალურად ჯერ კიდევ ცოცხალია. მნიშვნელობა აღარ აქვს, რამდენ ხანს გააჩერებენ ასე — რამდენიმე საათს თუ რამდენიმე წელიწადს. ის ცოცხალ გვამად გადაიქცა, როგორც თავის დროზე სომოსას რეჟიმი, გაცილებით ადრე იმ დღემდე, როდესაც დიქტატორი ნიკარაგუიდან გაიქცა.

**იმაზე, რომ საპატიმროებში დიდი უბედურება ხდება, წლების განმავლობაში საუბრობდნენ პატიმრების ნათესავები, უფლებადამცველები, წერდნენ გაზეთები და აბსოლუტურად გამორიცხულია, ამ ცნობებს ამერიკელი პარტნიორების ყურამდე არ მიეღწია. თუ რეზიდენტურა სრული იდიოტებით არ არის დაკომპლექტებული, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება და დასკვნების გამოტანა, რომ ყოველივე შეიძლება გრანდიოზული სკანდალით დასრულდეს, ამერიკელებისთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა.** მათ, თითქოსდა, წლების წინ უნდა ერჩიათ სააკაშვილისთვის, აღეკვეთა სადისტური წამების პრაქტიკა, რადგან ეს, ადრე თუ გვიან, როგორც ეს არაერთ ლათინოამერიკულ ქვეყანაში მოხდა, საიმიჯო ზიანს არა მხოლოდ ადგილობრივ რეჟიმს მიაყენებდა, არამედ ამერიკელებსაც, რომლებიც მხარს უჭერდნენ „ვარდოსან ხელისუფლებას“ და მას სანიმუშო პოსტსაბჭოთა რეფორმატორად წარმოაჩენდნენ, მაგრამ ეს არ გააკეთეს. რატომ?

**ვერსია №1: რაღაც მომენტში ამერიკელები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას აღარაფერი ეშველება და, აქედან გამომდინარე, ხელი არ გაანძრიეს იმისთვის, რომ მოესპოთ პრობლემური სივრცე, რომელიც მათ ყოფილ ფავორიტებს საბედისწერო პრობლემებს შეუქმნიდა.**

**ვერსია №2: მათ ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ მიაჩნდათ, რომ „წამების კონვეიერი“ ქართული საზოგადოების „გარდაქმნის“ ერთ-ერთ განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს და მის არსებობას თანხმდებოდნენ, ან სულაც თავად ურჩიეს სააკაშვილს ასეთი სისტემა შეექმნა.**

**ვერსია №3: მათ ვერ გააცნობიერეს პრობლემის სერიოზულობა და სააკაშვილის რეჟიმის მოქმედების მუდმივი კონტროლის აუცილებლობა (თუნდაც რეკომენდაციების შესრულების კუთხით).**

პირველ ორ ვერსიას კონსპიროლოგიური ელფერი დაჰკრავს და მტკიცებულებების მოპოვება მათი გამყარებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს. ამის მიუხედავად, ერთსაც და მეორესაც, სავარაუდოდ, არაერთი კომენტატორი გაიზიარებს. მესამე ვერსია შედარებით „ლეგიტიმურია“, ამერიკელი ავტორები ხშირად წერენ, რომ **სატელიტ ხელისუფლებებზე კონტროლის დაკარგვა ვაშინგტონისთვის მუდმივ პრობლემას წარმოადგენს.** იმაში, რომ რაღაც მომენტში მონიტორინგის და მართვის მექანიზმი მოიშალა, არაფერია გასაკვირი, განსაკუთრებით დღეს, გარდამავალ ეტაპზე, როდესაც გარდაქმნას განიცდის მთელი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აშშ-ის კონტროლს მათი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებზე; ამერიკელები არ არიან ღმერთები და მართლაც შეიძლება სადავეები ხელიდან გაუშვან.

**მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები ნამდვილად იძლევა ამა თუ იმ ქვეყნის თუ საზოგადოების ეფექტური გაკონტროლების საშუალებას, საპატიმროებში გესტაპოს მეთოდების გამოყენების გარეშე. ეს ველური პრაქტიკა არარაციონალურია და, ერთი შეხედვით, გამომდინარეობს ადგილობრივი მმართველების სადისტური თვითშემოქმედებიდან და არა მათი ამერიკელი მეგობრების შეგნებული არჩევანიდან** (აქ ოპონენტებმა შეიძლება ერაყული აბუ-გრეიბის მაგალითი შეგვახსენონ). მაგრამ თქმული არ ნიშნავს, რომ ძია სემს პასუხისმგებლობა მომხდარზე სრულიად ეხსნება, მას, 99%-იანი ალბათობით, შეეძლო სააკაშვილის ხელისუფლების დაყოლიება „წამების კონვეიერის“ გაჩერებაზე, მაგრამ ეს არ გააკეთა. რეკომენდაციები საპატიმროებში მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ნამდვილად იყო, მაგრამ შესამჩნევი შედეგი მათ არ მოუტანია.

## არჩევნები და არადნები

**ლოპოტას ხეობაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დაიწყო ხმამაღალი საუბრები სააკაშვილის ხელისუფლების და ტერორისტული ორგანიზაცია „კავკასიის იმარატის“ შესაძლო საეჭვო კავშირის შესახებ, „გლდანიგეიტის“ შემდეგ კი მთელმა მსოფლიომ იხილა ის სადიზმი, რომელიც მან საპატიმროებში დანერგა. ის, რაც არჩევნების შემდეგ მოხდება, ამ საიმიჯო ხარაკირის, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება საკუთარი ხელით იტარებს, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მომაკვდინებელს გახდის. ამის შემდეგ საქართველო ვიტრინის ფუნქციას საკმაო დროის განმავლობაში ვერ შეასრულებს.**

რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, როდესაც ქვეყანას ნეგატიურ კონტექსტში ახსენებენ. ტალახი, რომელშიც სააკაშვილის რეჟიმი გაისვარა, საქართველოს იმიჯს მიმზიდველობას არ მატებს. მაგრამ იმაში, რომ ე. წ. ვიტრინა დაიმსხვრა, ალბათ, დადებითი მომენტიც არის. ჩვენი ქვეყანა დაზარალდა იმით, რომ მისი მეშვეობით რაღაც იდეების სისწორის დემონსტრირებას ცდილობდნენ, მისი პოტენციალი ხმარდებოდა არა რეალობის სრულყოფას, არამედ ილუზიის შექმნას და საბოლოოდ არა მარტო ხელისუფლებისთვის, არამედ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილისთვის უფრო მნიშვნელოვნი გახდა ის, თუ როგორ გამოვიყურებით და როგორ აღგვიქვამენ სხვები, ვიდრე ის, თუ რას ვაკეთებთ. **ის, რომ ვიტრინის დამსხვრევა რეალობაში დაგვაბრუნებს, ალბათ, არც ისე ცუდია; ბოლო-ბოლო ჩვენ ადამიანები ვართ და არა მანეკენები.**

**სააკაშვილის ხელისუფლების საიმიჯო კრახმა მოსკოვს გარკვეული ამონაგები მოუტანა.** მას, რა თქმა უნდა, ვერ შევადარებთ უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ პოზიციების აღდგენას, ნატოში საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანების ფაქტობრივ დაბლოკვას ან კავკასიონის სამხრეთით, სეპარატისტულ რესპუბლიკებში სამხედრო პლაცდარმების შექმნას, რომელმაც პრაქტიკულად გამორიცხა დასავლური არმიების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის ან ტერიტორიის გამოყენება კრემლთან შეთანხმების გარეშე, მაგრამ ამერიკული პროექტის ამ აშკარა წარუმატებლობას მნიშვნელობა მაინც ჰქონდა. 18 სექტემბრის შემდეგ ინტონაცია „ესეც თქვენი სააკაშვილი“ (როგორც ადრე „ესეც თქვენი იუშჩენკო“), რუსი კომენტატორების რეპლიკებში მეტად საგრძნობი გახდა.

რა თქმა უნდა, ვაშინგტონს შეუძლია (სცადოს) ყველა რესურსის ამოქმედებით კბილებით დაიცვას საა- ▶

მოკლედ

## საფრანგეთში კორიდა დააკანონეს



**საფრანგეთის კონსტიტუციურმა სასამართლომ ცხოველთა დამცველებს ქვეყნის სამხრეთში კორიდას აკრძალვაზე უარი უთხრა და განაცხადა, რომ ეს პრაქტიკა კანონს არ ეწინააღმდეგება.** ფრანგული კანონმდებლობა ცხოველების მიმართ სასტიკ მოპყრობაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. კორიდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მანუელ ვალსმა დაიცვა. მისი თქმით, კორიდა ტრადიციაა, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება. კორიდას მომხრეების კიდევ ერთი არგუმენტი ის არის, რომ მისმა აკრძალვამ, შესაძლოა, სამხრეთ საფანგეთის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. ამჟამად კორიდა ლეგალურად მიიჩნევა მსოფლიოს 8 ქვეყანაში: მექსიკაში, ეკვადორში, ვენესუელაში, კოლუმბიაში, პერუში, ესპანეთში, პორტუგალიასა და საფრანგეთის სამხრეთში.

## ხის კლავიატურა

**ფრანგულმა კომპანია Oree-მ კომპიუტერის ხის კლავიატურა შექმნა, რომელიც აქამდე არსებულებზე გაცილებით გამძლეა.** ხის კლავიატურას კომპანიის თანამშრომლები ხელით ამზადებენ. ისინი ინდივიდუალურად ითლება, იწყობა, უკეთდება წარწერები და შემდეგ ლაკი ესმევა. დამზადების პროცესში კლიენტს შეუძლია საკუთარი დიზაინი, დამატებითი ფუნქციები და წარწერები შეუკვეთოს. ხის კლავიატურის ფასი 163 აშშ დოლარია.

**პატიმართა მიმართ ძალადობის, ცინიკური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების აღკვეთისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ახლადარჩეული პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულების უკომპრომისო აღსრულება.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ კაშვილის რეჟიმი, რომელიც კრახის პირას დგას, მაგრამ „დემოკრატიის შუქურის“ იმიჯს უკვე ვერანაირად ვერ დაუბრუნებს; ეს, უბრალოდ, შეუძლებელია და განსაკუთრებით ცხადი, სავარაუდოდ, სულ რაღაც ერთ კვირაში, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახდება. **დღეს საქართველოში უკვე თითქმის აღარავინ კამათობს იმაზე, რომ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის სააკაშვილის ჯგუფს არჩევნების გაყალბება და ტოტალური რეპრესიების გატარება დასჭირდება, რასაც ვაშინგტონის უპირობო მხარდაჭერის გარეშე ვერ მოახერხებს**. წავა თუ არა ობამას ადმინისტრაცია ამ გზით?

ამ თემაზე ტრადიციული მკითხაობის გამართვას, ალბათ, აჯობებს, 5-10 დღე დაველოდოთ, რომელიც არჩევნებს და მათ მომდევნო პერიოდს გვაშორებს. თუ თეთრი სახლი გადაწყვეტს, სააკაშვილის ხელისუფლება ნებისმიერ ფასად გადაარჩინოს, ეს (ამჯერად) ვერ დაიმალება და აუცილებლად აისახება შესაბამის განცხადებებსა და მოქმედებაში; **ჯერჯერობით, არ ჩანს არანაირი მიზეზი, რომლის გამოც ვაშინგტონმა უნდა გააჩინოს და არჩინოს „ახალი სომოსა“** (დროებით ჩავთვალოთ, რომ ამ მომენტამდე სააკაშვილი დიქტატორი არ იყო, მაგრამ დღეს ხელისუფლების შენარჩუნების სხვა გზა ასეთად გადაქცევის გარდა, აღარ დარჩა), **თუმცა გამორიცხული ამქვეყნად არაფერია.** ერთი კი ცხადია: ბუნდოვანი ფორმულირებების დრო დასრულდა და, ისევე როგორც არაბულ ქვეყნებში, ძია სემს ერთმნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება მოუწევს (სინამდვილეში არჩევანი უკვე გაკეთებულია, უბრალოდ, გამჟღავნებული არ არის), მხარი დაუჭიროს ან ჩიხში შესულ რეჟიმს, ან მის მრავალრიცხოვან ოპონენტებს. **ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოჩვენებითი დისტანცირება პროცესებისგან რეალურ არჩევანს ვერ შენიღბავს და სწორედ ის განსაზღვრავს ქართული საზოგადოების შემდგომ დამოკიდებულებას ამერიკელებისადმი — პოლიტიკური მითი დემოკრატიის მხარდამჭერი ამერიკელი მეგობრების შესახებ შეიძლება გამყარდეს ან პირიქით, ნამსხვრევებად იქცეს;** კრემლისთვის უფრო მოგებიანი მეორე ვარიანტი ჩანს.



## სემ, რა უყავი თავისუფლების ჩირაღდანი?

— ეს ფრაზა „ვაშინგტონ პოსტში“ 2007 წლის 13 ნოემბერს თბილისში ოპოზიციის დარბევის კვალობაზე გამოქვეყნდა. ამის შემდეგ **სააკაშვილმა იმდენი „იმუშარაფა“, რომ ხსენებული „დემოკრატიის მხარდაჭერა“, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ცოცხზე დასვა და ახლა უკვე საბედისწერო ზღურბლს მიუახლოვა.**

ამ ზღურბლის იქით იწყება ის, რაც ზოგიერთმა, ჩვენსავით პატარა და ბედკრულმა ქვეყანამ XX საუკუნეში გამოიარა: ვერტმფრენიდან გადმოყრილი, წამებით მოკლული ადამიანების ცხედრები, ტანკები უნივერსიტეტის ეზოში, რედაქციების გადაწვა, მუცლის გაფატვრა ყველასთვის, ვინც მთვრალ პარამილიტარესს თავს არ დაუხრის, ყოველდღიურ ყოფად გადაქცეული წამება, გაუპატიურება და სიკვდილი. **ვაშინგტონი აკეთებს ყველაფერს, რათა აღარ ასოცირდებოდეს თავისი ძველი სატელიტი რეჟიმების კოშმარულ ნამოქმედართან, თუმცა ძალიან მალე „თორმეტი მუშარაფის სწორმა“ შეიძლება ეს შრომა** (ნაწილობრივ მაინც) **წყალში ჩაუყაროს.** რა კარნავალური დასაწყისი ჰქონდა ყოველივე ამას და რა სევდიანი ფინალი აქვს!

ყოველივეს, რაც სააკაშვილის ხელისუფლებას მომავალში მოუვა, როგორც ჩანს, აღარაფერი ექნება საერთო დემოკრატიასთან და მის მხარდაჭერასთან, „ვარდისფერ პროექტთან“ და გრძელვადიან გეგმებთან მის ფარგლებში. ეს, სავარაუდოდ, იქნება ერთი ბანალური დიქტატორული რეჟიმის მცდელობა, საკუთარი თავი ნებისმიერ ფასად გადაარჩინოს, ხანმოკლე ან შედარებით ხანგრძლივი აგონიითა და გარდაუვალი აღსასრულით. ეს კი უკვე სულ სხვა, მსოფლიოსთვის კარგად ნაცნობი ისტორიაა.

აშკარაა, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, რომელიც ძალადობის მიმართ პროტესტს გამოთქვამს, ხელისუფლების შეცვლას მოითხოვს და ცოცხალი თავით არ დაიჯერებს, რომ „ნაცმოძრაობამ“ გაყალბების გარეშე შეიძლება თუნდაც ხმების მესამედი მოაგროვოს, დიდი ხანია, კრიტიკულ ზღვარს გადასცდა. მათი პროტესტის ჩახშობას რეჟიმი ყოვლისმომცველი ტერორის მეშვეობით თუ მოახერხებს (ძნელი სათქმელია, გამოუვა თუ არა). თუმცა ამ პერსპექტივის გათვალისწინების გარეშეც ცხადია, რომ **უკვე დღეს სააკაშვილის ხელისუფლების ძალადობრივ პოლიტიკას მისი უცხოელი პარტნიორებისთვის თავის ტკივილის გარდა აღარაფერი მოაქვს. ვერაფერს ვიზამთ, წუთისოფელი ასეა, „დემოკრატიის შუქურის“ პროჟექტორმა მაღალ ძაბვას ვერ გაუძლო, გადაიწვა და ჩაქრა.**

**დიმიტრი მონიავა**

**სემ, რა უყავი თავისუფლების ჩირაღდანი?**

**„მიშამ, როგორც მეგობრები უწოდებენ, სულ რაღაც ერთ კვირაში ამერიკულ „დემოკრატიის მხარდაჭერას“ უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე თორმეტი პერვეზ მუშარაფი ოდესმე შეძლებდა“,**

# ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვედნამყოფი ვეტერანები:

## ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეობაში მრავალ საშინელებაგამოვლილებსაც კი არ გვინახავს ამგვარი სისასტიკე

**ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის თავდადებული, შრომასა და ბრძოლაში დამაშვრალი ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ამაგდარი ვეტერანები უსაზღვროდ აღშფოთებულნი ვართ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში დანერგილი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ზემოქმედებისა და დასჯის უკანონო ზომების, ფაშისტური მოპყრობის ამ დღეებში გავრცელებული შეურაცხმყოფელი ფაქტებით.**




ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეობაში მრავალ საშინელებაგამოვლილ ვეტერანებსაც კი არ გვინახავს პატიმრებისადმი ამგვარი სისასტიკით გამორჩეული ძალმომრეობის ფაქტები.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტში შეტანილი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის 2011 წლის ანგარიშში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარებული რეგულარული მონიტორინგის შედეგებისა და შესწავლილი საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ზემოქმედებისა და დასჯის უკანონო ზომების გამოყენება, როგორც წესი, წახალისებული იყო ზოგადად სისტემისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელი პირების მიერ. ასევე სისტემის თანამშრომელთა შორის დანერგილი იყო დაუსჯელობის სინდრომი და ხშირ შემთხვევებში რიგი დაწესებულების ხელმძღვანელობა უფრო მეტად ზრუნავდა პრობლემის დამალვაზე, ვიდრე მის მოგვარებაზე. კანონიერებაზე ზედამხედველობის სამსახურის, ხელისუფლების რეაგირება ვერ უზრუნველყოფდა პრობლემის გადაწყვეტას.

ასეთი ვითარება ახლა, როდესაც მრავალტანჯული საქართველო განსაცდელშია, დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა, ხალხის ერთობა, რომელიც უამრავი პარტიის არსებობის პირობებში ვერ პოულობს ქვეყნის გადარჩენისთვის მობილიზაციის გზებს, ოკუპირებულია მშობლიური კუთხეები, უჭირთ მშობლიური ადგილებიდან დევნილ ადამიანებს, აბუჩად იგდებენ ვეტერანებს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შეიზღუდა ვეტერანთა შესახებ კანონით გათვალისწინებული უფლებები, შეღავათები, დახმარებები, მძვინვარებს უმუშევრობა, უამრავი პრობლემაა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობის, განათლების, მეცნიერების, კულტურის სფეროებში, გაჩაღებულია ისტორიულ ძეგლებთან ბრძოლა, ეროვნულ ღირებულებათა გადაფასება მოითხოვს, ყველა, როგორც ერთი, დავდგეთ ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე. ყველგან, ყოველთვის, ყველა საკითხი გადავწყვიტოთ ისე, როგორც „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ გვიკარნახებს. გვახსოვდეს, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდვნოდეს“, მხოლოდ მშვიდობიანი, ნამდვილად სახალხო არჩევნების გზით უნდა გადავწყვიტოთ ქვეყნის მომავალი განვითარების პერსპექტივები.

პატიმართა მიმართ ძალადობის, ცინიკური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების აღკვეთისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ახლადარჩეული პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულების უკომპრომისო აღსრულება.

**სასამართლოს წინაშე უნდა წარდგნენ უკლებლივ დანაშაულის ყველა მონაწილე — ძალმომრეობის უშუალო შემსრულებელი თუ ძალმომრეობაზე ზედამხედველი პირი. მათ უნდა აგონ პასუხი დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის თუ გულგრილობით ჩადენილი ძალმომრეობისა და ადამიანის წამებისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.**

ეს უზრუნველყოფს ქართველი ერის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას და ჩაუნერგავს მომავალ თაობას კანონის უზენაესობის რწმენას.

**ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში ტყვედნამყოფი ვეტერანები:**

**ბარბარე ნინიკელაშვილი, ლეონტი ოდიკაძე, არამი კიკოიანი, დავითი გოგობერიშვილი**

## არქტიკაში ყინული რეკორდული ტემპით დნება



**ამერიკის საერთაშორისო საოკეანო და ატმოსფერული ადმინისტრირების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა დრამატული სურათები, რომლებზეც ასახულია, თუ როგორი ტემპებით დნება ყინული არქტიკის რეგიონში.** ორგანიზაციამ კადრები გლობალური დათბობის შესახებ მსოფლიოს მოსახლეობის ინფორმირების მიზნით გაავრცელა. არქტიკაში ყინულის რეკორდული ტემპებით დნობის თაობაზე განცხადება გააკეთა კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა პიტერ ვოლდჰემმაც. მისი გამოთვლით, 2016 წლისთვის არქტიკაში ყინული მთლიანად დადნება.

## საშხაპე სარეცხ მანქანაში

**დიზაინერებმა მომხმარებელს შესთავაზეს უჩვეულო მოწყობილობა Washit, რომელიც ერთდროულად რეცხავს და შხაპის მიღების საშუალებას იძლევა.** ადამიანები შხაპს 15 წუთის განმავლობაში მიიღებენ და ამ დროის განმავლობაში ტანისამოსიც გაირეცხება. **„WASHIT ჩვენს ყოველდღიურ პრობლემებს შეამსუბუქებს“**, — აცხადებენ დიზაინერები. Washit-ის წყალსადენის სისტემას წყლის ორი ტუმბო და სამი ფილტრი აქვს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ციხის კადრების გავრცელებამდე ხელისუფლება კიდევ ცდილობდა, უცხოელებისთვის მაინც მოეჩვენებინა, რომ თითქოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ცდილობდა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, მას აინტერესებს მხოლოდ ერთი, ცესკოს შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც მისი უალტერნატივო გამარჯვება იქნება დაფიქსირებული.“**

კახა კახიშვილი:

# ციხეში გადაღებული კადრების შემდეგ სააკაშვილმა საბოლოოდ გადაწყვიტა არჩევნების ტოტალური გაყალბება

**ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მიღებული გადაწყვეტილებით, საარჩევნო უბნებში ფოტო და ვიდეოგადაღება მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრული ადგილიდან იქნება შესაძლებელი. სხდომაზე, სადაც საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეოგადაღების აკრძალვის შესახებ მიმდინარეობდა მსჯელობა, არასამთავრობო ორგანიზაციის „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრი“ დირექტორი, საზოგადოებრივი დამცველი კახა კახიშვილი არ შეუშვეს.**
**ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისა და მოახლოებული არჩევნების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ კახა კახიშვილი ესაუბრება.**



**— რატომ გადაწყვიტა ცესკომ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ცვლილებების განხორციელება და რამდენად გაქვთ ამ დადგენილების მიღებისა და ბოლოდროინდელი პროცესების შემდეგ ხელისუფლების მიერ სამართლიანი არჩევნების ჩაატარების იმედი?**

— მე დავრწმუნდი, რომ ცესკოს სურვილი, რომელიც თავიდან ბოლომდე ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსს, ნიშნავს, რომ **ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს.** მე აქამდეც არ მქონდა სამართლიანი არჩევნების ჩატარების იმედი. როცა ხალხს ქვებს ესვრიან, იჭერენ შტაბის წევრებს, ოპონენტების მიმართ ყველანაირი ძალადობის ხერხს იყენებენ, უპრეცედენტო ჯარიმებს აწესებენ, რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობს, რომელ სამართლიან არჩევნებზეა საუბარი?! **აქამდე კიდევ ჩვენ შეგვეძლო არადემოკრატიული, მაგრამ ჩვენნაირი ტიპის ქვეყნისთვის მეტ-ნაკლებად ნორმალური არჩევნების ჩატარების იმედი გვქონოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ხელისუფლების მხრიდან ამის ნებაც არ არსებობს.**

**— წინააღმდეგ შემთხვევაში, რა ზომებს შეიძლება მიმართოს ხელისუფლებამ? რა საშიშ პროვოკაციას შეიძლება ველოდოთ?**

— ციხის კადრების გავრცელებამდე ხელისუფლება კიდევ ცდილობდა, უცხოელებისთვის მაინც მოეჩვენებინა, რომ თითქოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ცდილობდა, მაგრამ ახლა, სააკაშვილმა საბოლოოდ გადაწყვიტა არჩევნების ტოტალური გაყალბება. როგორც ჩანს, მას აინტერესებს მხოლოდ ერთი რამ: ცესკოს შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც მისი უალტერნატივო გამარჯვება იქნება დაფიქსირებული.

**— შესაძლოა, არჩევნების შემდეგ ახალ რევოლუცია მოხდეს?**

— არჩევნებს აუცილებლად მოჰყვება პროტესტი, მაგრამ პოლიტიკოსების პრინციპულობაში დარწმუნებული არ ვარ. მართალია, რამდენიმე დღეა, ახალგაზრდები გულანთებულები გამოხატავენ საკუთარ პროტესტს, მაგრამ **შოკისმომგვრელი კადრების მიუხედავად, პოლიტიკოსების მხრიდან მოვისმინეთ, რომ არ გააპროტესტოთ, არჩევნებამდე მივიდეთო, რაც მათი მხრიდან მუხტის შესუსტებას ნიშნავს.** ჩემთვის ცოტა უცნაურია, რას ნიშნავს არჩევნებამდე მისვლა, როცა ასეთი კადრები ვიხილეთ? საზოგადოების ნაწილი შოკირებულია და მას პროტესტს ვერავინ აუკრძალავს. თუმცა, **როგორც კი პოლიტიკური სპექტრი გაემიჯნა აქციას და განაცხადა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ არჩევნებზეა ორიენტირებული, ვნახეთ, როგორ გამკაცრდა ხელისუფლების რიტორიკა, დაიწყო დაჭერები, ცემა...**

**— ბევრი საუბრობს, რომ პოლიტიკოსები არ უნდა ჩაერიონ ამ პროცესში, რომ ეს ახალგაზრდების პროტესტია...**

— პარტია ხომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებაა? როდესაც ადამიანები აპროტესტებენ უსამართლობას, პარტია საკუთარი მოქალაქეების იგნორირებას არ უნდა ახდენდეს. არჩევნები, მართალია, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ **ისეთი შოკისმომგვრელი ფაქტები ვიხილეთ, რომლის ანალოგიც, არათუ ცივილიზებულ, ნაკლებად ცივილიზებულ ქვეყნებშიც არ ხდება. მსგავსი ფაქტები საბჭოთა კავშირის დროსაც არ ხდებოდა.**

**— 2000-2002 წლებში, სასჯელაღსრულების სისტემის ომბუდსმენად მუშაობდით, რა ვითარება იყო მაშინ, ხდებოდა მსგავსი ფაქტები?**

— პირდაპირ ვიტყვი: ასეთი რამ რომც მოსვლოდა თავში რომელიმე საპატიმროს ხელმძღვანელს, იმ დროს შემსრულებელს ვერ იპოვიდა. **გამორიცხული იყო, რომელიმე საჯარო მოხელეს ასეთი ბინძური ფუნქცია აეღო საკუთარ თავზე. ამიტომაც არ დაუმალავს სააკაშვილს, როცა განაცხადა, ჩემი იუსტიციის მინისტრობის დროს რაც ვერ მოვახერხე, ბაჩო ახალაიამ მოახერხაო, თორემ სურვილი მაშინაც ექნებოდათ.** სხვათა შორის, მაშინ ფუნქციონირებდა არასამთავრობო ორგანიზაციების საბჭო, რომელიც სასჯელაღსრულების ნებისმიერ დაწესებულებაში ნებისმიერ დროს ახორციელებდა მონიტორინგს, მათ შორის წინასწარი დაკავების იზოლატორშიც შედიოდნენ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე და პატიმრებს პირისპირ ხვდებოდნენ. ასე იყო 2003 წლამდე, მაგრამ ამ ხელისუფლებამ, პირველ რიგში, მონიტორინგის საბჭო გააუქმა. სხვათა შორის, აღნიშნული საბჭოს წევრები იყვნენ: გიგა ბოკერია, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, გივი თარგამაძე, ეკა ზღულაძე, თინა ხიდაშელი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები...

მართალია, იმ დროს ციხეში არ იყო წესრიგი და კრიმინალური ავტორიტეტები მართავდნენ ციხეს, ახლა მეორე უკიდურესობამდე მივედით, როცა ხელისუფლების მიერ ადამიანის მორალი საერთოდ უგულებელყოფილია. სამწუხაროდ, ვერ ვიპოვეთ შუალედი, როცა ადამიანის უფლებებიც დაცული იქნებოდა და წესრიგიც დამყარდებოდა.

**— თუმცა, ხელისუფლების მხარდამჭერების აზრით, ორი მინისტრის გათავისუფლება და რამდენიმე სასჯელაღსრულების თანამშრომლის დაჭერა სავსებით საკმარისია და პრობლემაც აღმოიფხვრა.**

— ეს არ აღმოფხვრის პრობლემას, რადგან გავრცელებული კადრების შემდეგ, ძალიან მალე, ჩვენ ვიხილეთ „ნაციონალური მოძრაობის“ რეკლამა, სადაც პრეზიდენტი აცხადებს, რომ ასეთი ფაქტები ყველა ქვეყანაში ხდება, მაგრამ მან მყისიერი რეაგირება მოახდინა და 2 მინისტრი გაათავისუფლა, ხოლო 11 კაცი პასუხისგებაში მისცა. 2 მინისტრი მან კი არ გაათავისუფლა, მათ საკუთარი განცხადების შემდეგ, თავად დატოვეს თანამდებობები, თორემ, ალბათ, არც მოხსნიდნენ. ეს არ იყო მყისიერი რეაგირება.

ამას გარდა, **ირმა ინაშვილს საყვედურობენ, რატომ არ გამოქვეყნა ეს კადრები უფრო ადრეო, მაგრამ ჩვენ ქალბატონ ეკა ზღულაძის განცხადებაც მოვისმინეთ, რომ მათ 2009 წლიდან ჰქონდათ ინფორმაცია, სასჯელაღსრულების სისტემაში ასეთი ფაქტების შესახებ და ისინი თავად იძიებდნენ ამ ყველაფერს. ჩნდება კითხვა, თავად თუ 2009 წლიდან იცოდნენ, რაც ხდებოდა, რატომ არ მიიღეს შესაბამისი ზომები 2012 წლის სექტემბრამდე?** დღეს ვხედავთ, რომ სამართალდამცავი სისტემა მუშაობს მხოლოდ 11 კაცის დასჯაზე, რომელიც მხილებულ იქნა იმ კადრების საშუალებით. თუ მათ ჰქონდათ ალტერნატიულად აღძრული სისხლის სამართლის საქმე, მხოლოდ ეს 11 კაცი ფიგურირებდა? იმ თერთმეტიდანაც მხოლოდ ორის მიმართ არის აღძრული წამების მუხლით საქმე, დანარჩენებს ბრალდება შეუმსუბუქდათ და ყველაზე მთავარი: **საქმეში არ ფიგურირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი, სექსუალური სახის მოქმედების ჩატარება ძალდატანებით, რომლის მეოთხე მუხლიც, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულისას 12-დან 15 წლამდე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, მიუხედავად იმისა, რომ კადრებში განსაკუთრებული სისასტიკე ვიხილეთ. რაც იმას ნიშნავს, რომ სამართალდამცავი სისტემა ცდილობს, სასჯელის ზომა დაკავებულ პირებს ყველანაირად შეუმსუბუქოს.** ისინი, ალბათ, კარგ პირობებში ჰყავთ და არჩევნების შემდეგ, გაათავისუფლებენ. სხვა შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ბევრ თანამდებობის პირს ამხელდნენ, ვინაიდან ისინი არიან უბრალო შემსრულებლები. **რატომ არ არის პასუხისგებაში მიცემული ხათუნა კალმახელიძე, მისი მოადგილე, დეპარტამენტის თავმჯდომარე?** ამიტომ დღეს საუბარი, რომ მხოლოდ ეს 11 კაცია ყველაფერში დამნაშავე, არასერიოზულია.

პრეზიდენტი, ერთის მხრივ, მსუბუქ დანაშაულზე აცხადებს ნულოვან ტოლერანტობას, მეორე მხრივ კი, ვხედავთ მის ლმობიერებას, როცა საქმე ეხება მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტებს.

**— ყოფილი სახალხო დამცველის, გიორგი ტუღუშის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრად დანიშვნა შეცვლის თუ არა საპატიმროებში არსებულ ვითარებას?**

— გიორგი ტუღუში არასდროს გამოირჩეოდა პრინციპულობით. ის წერდა დასკვნებს, მაგრამ მას არანაირად არ აღელვებდა, რომ მის დასკვნებს არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. დარწმუნებული ვარ, სახალხო დამცველად დანიშვნამდე, ხელისუფლებამ მყარი გარანტიები მიიღო მისგან, რომ ის პრინციპულად არასდროს გააპროტესტებდა ხელისუფლების ქმედებებს. რადგან სოზარ სუბარის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება ძალიან ფრთხილად მოეკიდებოდა ამ თანამდებობაზე კანდიდატურების შერჩევას.

**დღეს ტუღუშისგან, უკვე სასჯელაღსრულების მინისტრის რანგში, გვესმის, რომ, თუ სისტემა ვერ დავაყენე ფეხზე, წავალ თანამდებობიდანო. საინტერესოა, სახალხო დამცველად მუშაობის დროს რატომ არ გააკეთა ასეთი განცხადება, რომ, თუ მის დასკვნაზე რეაგირება არ იქნებოდა, სახალხო დამცველის პოზიციას დატოვებდა?** გიორგი ტუღუში დღეს ისეთ ფასადად მოგვევლინა, როგორიც იყო კალმახელიძე და სხვა მინისტრები. ეს სისტემა არ დაუნერგავს კალმახელიძეს, ამ სისტემით ყოველთვის ამაყობდა სააკაშვილი და აცხადებდა, რომ ქურდები ცოცხებით დარბიან და თავად ასუფთავებენ საკუთარ საკანსო.

თუ სამართალდამცავებს აინტერესებთ, ვის მიმართ რა ძალადობა იქნა ჩადენილი, ამის გარკვევა ძალიან ადვილია, ვინაიდან ყველა პატიმრის პირად საქმეში არსებობს გრიფით საიდუმლო ინფორმაცია, რომლის გაცნობის უფლებაც მხოლოდ ოპერატიულ თანამშრომელს აქვს, მაგრამ ხელისუფლება ცდილობს, დაიცვას საკუთარი თანამდებობის პირები.

**— ჩვენ ცოტა ხნის წინ მოვისმინეთ აშშ-ის სენატორებისა თუ სხვა უცხოელების განცხადებები, რომლებიც, თუ პირდაპირ არა, ირიბად მაინც მიანიშნებდნენ პრეზიდენტის მხარდაჭერაზე. შეიცვლება თუ არა ვითარება გავრცელებული საზარელი კადრების შემდეგ? საერთაშორისო საზოგადოება ყოველივე ამის შემდეგ დაუჭერს მხარს სააკაშვილს?**

— უცხოელებს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ვინაიდან რამდენჯერაც მათ განაცხადეს, რომ ჩვენი ქვეყანა „დემოკრატიის შუქურაა“, ხოლო ჩვენი პრეზიდენტი „დემოკრატიის მამა“, იმდენჯერ ხელისუფლება უფრო მეტ აგრესიას იჩენდა და, როდესაც ეს უცხოელე- ▶

**«საქმეში არ ფიგურირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლი, სექსუალური სახის მოქმედების ჩატარება ძალდატანებით, რომლის მეოთხე მუხლიც, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულისას 12-დან 15 წლამდე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს»**

**„ჩემნაირად გაუბედურებულ ყველა ადამიანს ვთხოვ, შევინარჩუნოთ სიმშვიდე. მკვლელმა სააკაშვილმა და მისმა კრიმინალურმა ხელისუფლებამ მხოლოდ კანონიერად, სასამართლოს გზით უნდა აგონ პასუხი ერის, ქვეყნის და ღმერთის წინაშე ჩადენილ ყველა დანაშაულზე, მხოლოდ, ამ შემთხვევაში აღსდგება სამართლიანობა.“**

მხილება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



რუსუდან შარაძე:

# დარწმუნებული ვარ ჩიხლაძის ვერსიის სიმართლეში — დათა ახალაია მამაჩემის მკვლელია!

**ირაკლი ოქრუაშვილის თანამებრძოლისა და ამჟამად პატიმრის, გიორგი ჩიხლაძის, ადვოკატი ედიშერ ქარჩავა ამტკიცებს, რომ გიორგი ჩიხლაძის წამებაში პირადად მონაწილეობდა დათა ახალაია — კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი და ამჟამად თავდაცვის მინისტრის მოადგილე. „გიორგი ჩიხლაძე არის დათა ახალაიას პირადი პატიმარი, რომელმაც მას პირადად განუცხადა, რომ საზოგადო მოღვაწე გურამ შარაძე მისი გეგმითა და უშუალოდ მის მიერ იქნა მოკლული. შენ როგორ დაგეგმე ჩვენ წინააღმდეგ რამეო, მე როგორც დავგეგმე და როგორც პირადად მოვკალი შარაძე, ისე გაგასაღებ შენც, შე საწყალოო“, – ამტკიცებს ჩიხლაძის ადვოკატი. ქარჩავას განცხადებით, ახალაია წამების თანამედროვე მეთოდებს იყენებდა. „კერძოდ, პატარა ფლაკონით სახეზე სითხე შეასხა, რამაც გაუტკივარება გამოიწვია და ასეთ მდგომარეობაში სცემეს“. ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ, თუ მისი დაცვის ქვეშ მყოფის სიცოცხლეს რაიმე საფრთხე შეექმნება, ამაზე პასუხისმგებლობა სასჯელაღსრულების ახალ მინისტრს, გიორგი ტუღუშს, დაეკისრება. პროფესორ გურამ შარაძის მკვლეობასთან დაკავშირებულ ამ ახალ გარემოებაზე კომენტარი ვთხოვეთ მის ქალიშვილს — რუსუდან შარაძეს, რომელიც ამჟამად ჟენევაში იმყოფება.**





**«საფრთხეშია გიორგი ჩიხლაძის სიცოცხლე და, რაც მთავარია, სად არის ბარათელი?»**

◀ბი არაადეკვატურად აფასებენ შექმნილ ვითარებას, გამოდის, რომ რაღაც დოზით ამ ყველაფრის თანამონაწილეები არიან.

2004 წელს სააკაშვილმა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, ვალტერ შვიმერს და ევროსაბჭოს ელჩს საქართველოში, პლამენ ნიკოლოვს, სულ კორუმპირებულები ეძახა. გამოდის, რომ სააკაშვილი არ გამორიცხავს, რომ კორუფცია ასეთი რანგის ჩინოვნიკებშიც არის. ამიტომ აცხადებს, ფულით მოსყიდული უცხოელი ჩინოვნიკები რაღაცას თუ დაწერენ, ამით ვერ შემბოჭავენო. ეტყობა, აქვს უცხოელი ჩინოვნიკების მოსყიდვის გარკვეული გამოცდილება და ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე მისთვის ლობისტები და კორუმპრებული ჩინოვნიკები მისაღები იყო.

**პატიმრების წამების ამსახველი კადრები დაგმეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, უცხოელმა ჩინოვნიკებმა. არჩევნებს შესაძლოა, ბევრ ქვეყანაში აპროტესტებენ, მაგრამ ასეთი კადრების ჩვენება და სისტემის ჩამოყალიბება ერთეულ და ისიც ძალიან ბნელ ქვეყნებში ხდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ აქამდე შეიძლება არჩევნების მიმართ უცხოელები ლოიალურები იყვნენ, მაგრამ ახლა მათი დამოკიდებულება შეიცვალა.** ამ კადრების მერე ოროსანი ნატოს ასპირანტები გავხდით და არაერთი წელი დავრჩებით ერთსა და იმავე კურსზე.

**— გავრცელებული ინფორმაციით, ცესკომ ამერიკული მონიტორინგის ჯგუფს, „ღია დემოკრატიის კომიტეტს“, უარი განუცხადა არჩევნებზე დაკვირვებაზე. ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ბრაიან მეფორდის, განცხადებით, ცესკომ უპირატესობა დიქტატორულ ბელორუსულ დელეგაციას მიანიჭა.**

— ცესკომ საერთაშორისო ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ უცებ შეცვალა დამოკიდებულება, მაშინ, როცა 2011 წლამდე უპრობლემოდ არეგისტრირებდნენ ნებისმიერი ორგანიზაციას და თვითმფრინავის ტრაპთან აღფრთოვანებულებიც ხვდებოდნენ. საეჭვო ორგანიზაციები ჩამოჰყავდათ, რომლებიც ნებისმიერ არჩევნებს აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ, იფიქრეს, ივანიშვილიც ჩამოიყვანდა ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც კრიტიკულ დასკვნებს დაწერდნენ, ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციების რეგისტრაცია გაამკაცრეს. ორგანიზაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობასაც“ კი შეუქმნეს პრობლემები, არ არეგისტრირებდნენ. **ხელისუფლება ვერ ხვდება, რომ მხოლოდ არჩევნების შედეგებით არ ხდება არჩევნების შეფასება, ყველა პროცედურა მნიშვნელოვანია. ხელისუფლებამ უკვე საარჩევნო პროცესის „ხელოვნურ შეფუთვაზეც“ უარი თქვა და პირდაპირ ძალისმიერ მეთოდებზე გადავიდა.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

— როგორც ყველამ, მეც ვიცოდი, რომ სააკაშვილს მკვლელებისგან შემდგარი უამრავი ზონდერჯგუფი ჰყავს, მათ შორისაა დათა ახალაია და მისი დაჯგუფება. სხვას რომ თავი დავანებოთ, 7 ნოემბერს და 26 მაისს ეს ყველამ საკუთარი თვალით ვიხილეთ. პატიმარი გიორგი ჩიხლაძე ადასტურებს, რომ მამაჩემის მკვლელობა უშუალოდ დათა ახალაიამ შეასრულა, თორემ გურამ შარაძე პირადად სააკაშვილის ბრძანებით რომ მოკლეს, 2007 წლის 20 მაისიდან ვამბობ.

**დარწმუნებული ვარ ჩიხლაძის ვერსიის სიმართლეში. არაფერია გასაკვირი, რომ კაცმა, რომელმაც სანდრო გირგვლიანი მოკლა (და ეს ყველასთვის ცხადია), მოეკლა ასევე გურამ შარაძე. დათა ახალაია მამაჩემის მკვლელია.**

**— აქამდე თუ გქონდათ რამე მსგავსი მინიშნება ირაკლი ოქრუაშვილის გარემოცვიდან?**

— არავითარი ურთიერთობა ირაკლი ოქრუაშვილთან არ მქონია და არც მაქვს, ცხოვრებაში არასდროს მინახავს. სხვათა შორის, მამაჩემი მის მიმართ ცუდად არ იყო განწყობილი და ეს განწყობა საჯაროდაც არასდროს დაუმალავს, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ირაკლი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო 2004 წელს, როდესაც გურამ შარაძე ციხეში პირველად გაუშვა სააკაშვილმა. თავისი გავლენიდან გამომდინარე, ბატონ ირაკლის ბევრი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს.

**— და თქვენ არასდროს გიცდიათ მასთან დაკავშირება, თუნდაც მაშინ, როდესაც გადადგა და სკანდალური განცხადებები გააკეთა?**

— რა თქმა უნდა, ვცადე, როდესაც ,,იმედის“ ეთერში ზურაბ ჟვანიას მკვლელობაზე სკანდალურ განცხადებას აკეთებდა, მაგრამ ინგა გრიგოლიამ და ირაკლი მოსაშვილმა ამის საშუალება არ მომცეს. მორბენალ სტრიქონშიც კი ჩემი გაგზავნილი არც ერთი მესიჯი არ გავიდა და არც **მეორე დღეს, როდესაც თოქშოუ გაიმართა და ვინ აღარ იყო იქ, გრიგოლიამ ამ ჩემს თხოვნაზე, რომ მეც მიმეღო მონაწილეობა, გამომიცხადა: „ახლა ამ საკითხს პროვოცირებას ვერ გავუკეთებ!“.** კარგად იცით, შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები და მეც აღარ მიცდია ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირება. ახლა ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით უმორჩილესად ვთხოვ, თუ რამეა მისთვის ცნობილი, გაახმაუროს.

**— ადვოკატი შიშობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს, გიორგი ჩიხლაძეს, როგორც გურამ შარაძის მკვლელობის მნიშვნელოვან მოწმეს, შესაძლოა, ციხეში ფიზიკურად გაუსწორდნენ?**

— საფრთხეშია გიორგი ჩიხლაძის სიცოცხლე და, რაც მთავარია, სად არის ბარათელი? **წლებია, ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი სასამართლოს გზით ეძებს გიორგი ბარათელის ადგილსამყოფელს; სად, რომელ დაწესებულებაში იხდის ის სასჯელს, მაგრამ ამ საჯარო ინფორმაციას ხელისუფლება სასტიკად ასაიდუმლოებს.** მას შემდეგ, რაც საქართველოში ყველა ინსტანცია მოიარა, ნინო მიქიაშვილმა სტრასბურგის სასამართლოს მიმართა. პარალელურად, 2010 წლის მარტში ოფიციალური წერილი გაუგზავნა სახალხო დამცველს და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს (რომელსაც მაშინ გია არსენიშვილი ხელმძღვანელობდა) და სთხოვა, რომ იქნებ, ბარათელი ციხეში მოენახულებინათ.

სახალხო დამცველის აპარატმა სასწრაფოდ წერილი აფრინა ნინო მიქიაშვილთან, თითქოს მისი თხოვნიდან 2 დღეში ტუღუშის წარმომადგენელმა ციხეში მოინახულა ბარათელი, ის თავს კარგად გრძნობდა და მოითხოვდა, არ გახმაურებულიყო მისი ადგილსამყოფელი; ხოლო **როგორც პარლამენტარმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ განაცხადა, მან და ეკა ხერხეულიძემ, 2010 წლის 30 მარტს გიორგი ბარათელი ორთაჭალის „კრიტში“ მოინახულეს. ის თავს მშვენივრად გრძნობდა და ციხის ადმინისტრაციასთან არავითარი პრეტენზიები არ გააჩნდა.**

**ბატონი დიმიტრის თქმით, ათჯერ რომ გაცოცხლდეს მამაჩემი, ბარათელი ათჯერ მომიკლავდა, აგრეთვე, ათჯერ მომიკლავდა ძმას, გიორგის, რადგან ისინი თირკმელების ამოსაჭრელად დასდევდნენ**

. შორს წაგვიყვანს საუბარი იმაზე, თუ რატომ არ მჯერა ამ ხალხის, მყარი არგუმენტაცია არაერთხელ გამოვაქვეყნე პრესაში. ერთი კვირაა, რაც ჟურნალისტებისა და „ფეისბუკის“ მეშვეობით ვთხოვ დიმიტრი ლორთქიფანიძეს, კიდევ ერთხელ დაადასტუროს, რომ მან ნამდვილად ნახა მაშინ გიორგი ბარათელი, მაგრამ ბატონი დიმიტრი დღემდე დუმს.

**— რას მოიმოქმედებთ ამ ახალი გარემოებების გამოაშკარავების შემდეგ?**

— არავითარ შემთხვევაში ჩემი მიზანი არაა რევანში, ჩემი მიზანია სამართლიანობამ იზეიმოს. ჩემნაირად გაუბედურებულ ყველა ადამიანს ვთხოვ, შევინარჩუნოთ სიმშვიდე. **მკვლელმა სააკაშვილმა და მისმა კრიმინალურმა ხელისუფლებამ მხოლოდ კანონიერად, სასამართლოს გზით უნდა აგონ პასუხი ერის, ქვეყნისა და ღმერთის წინაშე ჩადენილ ყველა დანაშაულზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში აღსდგება სამართლიანობა და ასე იხარებენ ჩვენი მსხვერპლადშეწირული ადამიანების სულები!**



ესაუბრა **გიორგი მექარიაშვილი**

პრეზენტაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, რომ მართლმადიდებლურმა სივრცემ, ერთმორწმუნე ქვეყნებმა შეძლონ ერთიანი მიდგომების შემუშავება, რათა თავიდან აიცილონ უდიდესი საფრთხე, რასაც რადიკალი ლიბერალების მიერ წამოწყებული ანტიმართლმადიდებლური ომი გვიქადის...**

# «არა არს დაფარული»

## «ისტორიულმა მემკვიდრეობამ» სასულიერო იერარქთა ინტერვიუების კრებულის პრეზენტაცია გამართა

**25 სექტემბერს სასტუმრო „ამბასადორში“ არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ წიგნის „არა არს დაფარული“ პრეზენტაცია გამართა. წიგნი წარმოადგენს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ სასულიერო პირებთან ქვეყანაში მიმდინარე სავალალო პროცესებზე გამოქვეყნებული ინტერვიუების კრებულს.**

**წიგნში შესულია წმინდა სინოდის წევრის, რუის-ურბნისის მიტროპოლიტის — მეუფე იობის რამდენიმე ინტერვიუ, ასევე შეგიძლიათ წაიკითხოთ ბოლნელი ეპისკოპოსის — ეფრემის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტის — მეუფე სერაფიმეს, დეკანოზ დავითის (ისაკაძე), დეკანოზ თეოდორეს (გიგნაძე), ზემო სვანეთის ეპისკოპისის — მეუფე ილარიონის, ალავერდელი მიტროპოლიტ დავითის (მახარაძე), მეუფე გერასიმეს, დეკანოზ პეტრეს (კვარაცხელია), დიაკვან ელიზბარის (დიაკონიძე), არქიმანდრიტ გრიგოლის (აბაშიძე), დეკანოზ დავითის (ქვლივიძე), არქიმანდრიტ ანტონის და დეკანოზ ნიკოლაის (ბალაშოვის) ინტერვიუები.**

უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი თავისთავად უნიკალურია, რადგან პირველად მოხდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან არაერთ საკითხზე სასულიერო იერარქების პრესაში გამოქვეყნებულ მოსაზრებათა, მათი პოზიციის, გულისტკივილის, შეგონებათა ერთ კრებულში თავმოყრა და საზოგადოებისთვის მიწოდება. გამოცემას განსაკუთრებით აქტუალურს ხდის ის გარემოებაც, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და წმინდა სინოდში ბოლო ჟამს მიმდინარე ზოგიერთი მოვლენა აბნევს მრევლს. რიგი სასულიერო პირების საზოგადოებისთვის გაუგებარი და ორაზროვანი პოზიცია, ბევრჯერ აღქმულა მრევლის მიერ ზოგადად სინოდის და უკლებლივ ყველა იერარქის პოზიციად, რაც სინამდვილეში ასე არ არის.

კრებულის შესავალში ნათლად არის ხაზგასმული, რომ: **„რადიკალური ლიბერალური წრეებისთვის მართლმადიდებლური სამყარო, დიდი ხანია, მთავარ სამიზნედ იქცა. მართლმადიდებლური ეკლესიები მათი შეტევის მთავარ მიმართულებას წარმოადგენენ და მათი დისკრედიტაციისთვის იყენებენ გულუხვად დაფინანსებულ ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაციას, მოსყიდულ მედიას, კონკრეტულ მარგინალ „მოღვაწეებს“, მარიონეტი რეჟიმების წყალობით კი მართლმადიდებლობასთან ომში ისინი ასევე აქტიურად იყენებენ სახელისუფლო რესურსსა და სტრუქტურებს.**




**გაშმაგებული ბრძოლა რადიკალი ლიბერალების მხრიდან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ კანონზომიერია, რადგან სწორედ მართლმადიდებლობა განსაზღვრავს ტრადიციულ საზოგადოებას, მის მაღალ ზნეობრივ ნორმებს, ეროვნულ, კულტურულ და კონფესიურ თვითმყოფადობას, რომელში შეღწევაც ძალიან უჭირთ საყოველთაო ვესტერნიზაციის იდეის მქადაგებლებს.**

რადიკალ ლიბერალებს ძალიან კარგად ესმით, რომ საკუთარი იდეების დანერგვას, ადგილობრივი საზოგადოების ზნეობრივ კოორდინატთა სისტემის მოშლას მანამ ვერ მოახერხებენ, სანამ არ დაანგრევენ მართლმადიდებლურ ეკლესიას, ამიტომაც ებრძვიან ასე დაუნდობლად და გაშმაგებით მართლმადიდებლობას. გამონაკლისი არც საქართველოა, ჩვენც იმ მართლმადიდებლური ქვეყნების სიაში ვართ, რომლებიც ზემოხსენებული რადიკალი ლიბერალების მთავარ სამიზნეს წარმოადგენენ.

**თუ უახლოეს ისტორიას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ სწორედ მართლმადიდებლობაა ის ჯებირი, დამცავი ზღუდე, რომელიც საქართველოში ჯერჯერობით ვერ მოანგრია საყოველთაო ვესტერნიზაციამ და ჩვენი ტრადიციული ეროვნული კულტურისთვის მიუღებელმა სხვა მანკიერებებმა. ყველა დანარჩენ სფეროში ეს პროცესები გამალებულად მიმდინარეობს. ბოლოჟამს მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღშიც დაიწყო საშიში, არასასურველი პროცესები, რადგანაც, რადიკალური ლიბერალიზმის მესვეურები ხვდებიან რა, რომ, სანამ დედაეკლესიის ერთიანობას არ შეარყევენ, მის დისკრედიტაციას, ხალხის ინტერესებისა და საზრუნავისგან მის მოწყვეტას არ მოახდენენ, მათ იდეებს ასრულება არ უწერია.**

ამიტომ ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დაშალონ, დააქუცმაცონ მართლმადიდებლური ეკლესია, გაუჩინონ მრევლს გაორების გრძნობა, უნდობლობა როგორც კონკრეტული იერარქების, ასევე რიგი სასულიერო ინსტიტუტებისა და ზოგადად მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. **რადიკალ ლიბერალებს კარგად ესმით, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეძლო დადგენილ საზღვრებში დეიურე ერთიანობის შენარჩუნება.** ისტორიულად საქართველოს, ქართველი ერის ცხოვრებაში მართლმადიდებლური ეკლესია და მართლმადიდებლური ქრისტიანული კულტურა მნიშვნელოვან, ხშირად კი გადამწყვეტ როლს ასრულებდა, ასეა დღესაც. უფრო მეტიც, სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების დევალვაციის ფონზე მართლმადიდებლური ეკლესიის როლი, მისი მნიშვნელობა ერთიორად გაიზარდა. სწორედ ამიტომ საკუთარი მიზნების დაუბრკოლებლად განსახორციელებლად ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა შიგნიდან დაშალონ, განხეთქილება შეიტანონ, მოსპონ მთავარი წინააღმდეგობა — საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია.

ამ ფონზე საზოგადოებისთვის ყოვლად მიუღებელია ხელისუფლების, მასთან დაახლოებული წრეების აგრეისული, მტრული დამოკიდებულება როგორც ზოგადად მართლმადიდებლური ეკლესიის, ასევე მისი მესვეურების მიმართ.

ამდენად, **დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, რომ მართლმადიდებლურმა სივრცემ, ერთმორწმუნე ქვეყნებმა შეძლონ ერთიანი მიდგომების შემუშავება, რათა თავიდან აიცილონ უდიდესი საფრთხე, რასაც რადიკალი ლიბერალების მიერ წამოწყებული ანტიმართლმადიდებლური ომი გვიქადის...**

სახელისუფლო პროპაგანდისტული მანქანა წარამარა გვარწმუნებს, რომ ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის სრული იდილია და ურთიერთგაგება სუფევს, რომ თითქოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილებას უპირობოდ ეთანხმება და მხარს უჭერს... წინამდებარე კრებულიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ასე არ არის და სინამდვილეში ეკლესიის პოზიცია ხალხის, საზოგადოების დამოკიდებულების იდენტურია და იგი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გარე ძალებისა თუ ხელისუფლების თავგასულობის, მტრული პოლიტიკის ერთმნიშვნელოვან დაგმობაში გამოიხატება“.

**სასულიერო პირების ვრცელ გამოხმაურებას კრებულზე „არა არს დაფარული“ გაზეთის შემდგომ ნომრებში შემოგთავაზებთ.**

**ლილი მიროტაძე**







„ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავას და სხვებს, რომლებიც უშუალო დამკვეთები იყვნენ ამ ყველაფრის და, როგორც ვიცი, თვითონაც მონაწილეობდნენ ხოლმე წამებებში, სამუდამო პატიმრობაზე ნაკლები არ უნდა მიესაჯოთ“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ზაზა შათირიშვილი: შეიძლება ისე მოხდეს, რომ «ნაციონალური მოძრაობა» საერთოდ აიკრძალოს, როგორც ნაცისტური პარტია

**გლდანის №8 საპყრობილეში პატიმართა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ამსახველი შემზარავი ვიდეოკადრების გავრცელების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის რღვევის პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მითი „ნაცმოძრაობის“ უძლეველობის შესახებ, არჩევნებამდე ათი დღით ადრე საბოლოოდ დაიმსხვრა, პირადად სააკაშვილი კი, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, ექსპერტების განმარტებით, ფაქტობრივად, მკვდარია...**
**რას უნდა ველოდოთ მომავალი არჩევნებისგან და მოხერხდება თუ არა ხელისუფლების ძირეული შეცვლა, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი.**

**— ბატონო ზაზა, ის, რომ სააკაშვილის ხელისუფლების სახით ქვეყანას ავტორიტარული რეჟიმი მართავდა და მართავს, დიდი ხანია, ყველასთვის ნათელია, მაგრამ მედიით გავრცელებულმა ვიდეომასალამ, როგორც იტყვიან, „მეფე საბოლოოდ გააშიშვლა“. ამ დღეებში ბევრი რამ შეიცვალა... თქვენი აზრით, რა სტადიაშია ამ ეტაპზე „ნაცმოძრაობა“, აღმოჩნდება თუ არა მისთვის სასიკვდილო დარტყმა, რაც ახლა ხდება?**

— ვთქვათ პირდაპირ, სიტუაცია არის ასეთი: ხელისუფლება, ფაქტობრივად, არ არსებობს, არსებობს ოპოზიციური ფლანგი, რომელშიც მარტო პოლიტიკურ სუბიექტებს არ ვგულისხმობ და არსებობს საზოგადოება. მმართველი გუნდი, რომელიც აქამდე რეჟიმის სტატუსს მაინც ატარებდა, დღეს არის იმდენად სუსტი, რომ ვერანაირ ბარიერს ვერ ქმნის. ერთადერთი, რაც მას ეხერხება და აკეთებს კიდეც, პროვოკაციების მოწყობაა, თუმცა საზოგადოება ამისთვისაც აღმოჩნდა მომზადებული. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ **აბსოლუტურად ყველა მიმართულებით, ყველა ფრონტზე ხელისუფლებას გზა მოჭრილი აქვს და ის დამარცხებულია არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით. სისტემის კრახი, რომელიც დღეს სახეზეა „ნაცმოძრაობის“ რღვევის სახით, იმავე დროს არის სააკაშვილის პიროვნული მარცხი, რასაც აუცილებლად მოჰყვება ლოგიკური დასასრული — სამართლებრივი პასუხისმგებლობა...**

**— იმის მიუხედავად, რომ გავრცელდა შემზარავი კადრები, რომელიც „ნაცმოძრაობისთვის“ იყო უმძიმესი დარტყმა, ხელისუფლების დამარცხების ოფიციალური გაფორმება მაინც უნდა მოხდეს 1 ოქტომბერს. არსებობს დღეს ამის რეალური წინაპირობა? იქმნება შთაბეჭდილება, რომ მმართველი გუნდი გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება.**

— ბრძოლა ენერგიას მოითხოვს, „ნაცმოძრაობას“ კი ბრძოლისა და წინააღმდეგობის კი არა, არსებობის ძალა აღარ შერჩა. აკვირდებით, ამ დღეების განმავლობაში თბილისი როგორ შეიცვალა? მე სხვაგან ვიყავი წასული და რომ ჩამოვედი, სულ სხვა ქალაქი დამხვდა: ხუთიანები, ყველგან რომ იყო გაკრული და თვალში რომ გვეჩხირებოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე, აღარ არის, ენთუზიაზმი გაქრა, პროპაგანდაც ვეღარ „ქაჩავს“ ძველებურად... ერთი სიტყვით, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ციხე შიგნიდან გატყდა. ასე რომ, ეს, რა თქმა უნდა, ასე იოლად არ ჩაივლის; ხელისუფლება შეიძლება რაღაც გეგმებს აწყობს, მაგრამ მერწმუნეთ, ამით არაფერი შეიცვლება. რეჟიმი დასრულდა, დამთავრდა და ის, რაც დღეს ხდება, იცით, რას ჰგავს? ქათამს რომ თავს მოაჭრიან და ცოტა ხანი რომ მაინც ფართხალებს. აი, ზუსტად ასეთ უსისტემო რაღაც მოძრაობებს ასრულებს დღეს „ნაციონალური მოძრაობა“, რაშიც, ჩემი აზრით, არანაირი საშიშროება არ არის.

**— ე. ი. თქვენ გამორიცხავთ „ნაცმოძრაობის“ მხრიდან უკანასკნელ გაბრძოლებას? ისე, საინტერესოა, რეჟიმის ფსიქოანალიზი რამდენად მოგვცემდა ამის თქმის საფუძველს?**

— ბოლო გაბრძოლება ამათ უკვე ჰქონდათ ივლის-აგვისტოში იმ დაყადაღებებისა და სხვა პროვოკაციების სახით, რომლებიც განხორციელდა „ქართული ოცნების“ მიმართ. მეტის ძალა რეჟიმს უკვე აღარ შესწევს; ვიმეორებ, ხელისუფლება აღარ არსებობს, სააკაშვილის მდგომარეობა კი ძალიან ჰგავს მისტიკური ჟანრის ჰოლივუდური ფილმების სტანდარტულ სცენარს, როცა მთავარი მოქმედი გმირი მკვდარია და მან ეს არ იცის. რაც შეეხება ფსიქოანალიზს, **ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ფსიქოანალიზის თემა არაა, ეს არის ფსიქოპათოლოგიის სფერო,** ვინაიდან ფსიქოანალიზი ხდება მაშინ, როცა ადამიანური მომენტია, ხოლო, როცა საქმე ეხება პათოლოგიას, აქ შემოდის უკვე კრაფ ემინგი, რომელსაც დეტალურად აქვს აღწერილი მთელი ეს კომპლექსები.

**— გასაგებია, მაგრამ, თქვენი აზრით, რა ფორმით უნდა მოხდეს იმ ადამიანების დასჯა, რომლებმაც მთელი სასჯელაღსრულების სისტემა, ფაქტობრივად, დანაშაულებრივ მექანიზმად აქციეს?**

— ძალიან მძიმე კატეგორიის დამნაშავეებზეა საუბარი. ამ ადამიანებმა რეალურად დანაშაულისა და უდანაშაულობის ზღვარი წაშალეს. მათი დასჯა, ცხადია, გარდაუვალია, ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფო ამის გარეშე ვერ შედგება, მაგრამ მეორე მხრივ **ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე საშიში არის დამნაშავე მსხვერპლი, რომელიც მარადიულად გიბრუნდება, როგორც გაუპატიოსნებელი გვამი ანტიკურ ტრაგედიაში.** მოგეხსენებათ, ძველ ბერძნებს ჰქონდათ ასეთი წარმოდგენა, რომ, თუ გვამს არ დამარხავ, ის ბრუნდება და აწუხებს ცოცხლებს. აი, ზუსტად ეს უნდა იქნეს ამ შემთხვევაში გათვალისწინებული და, **როცა დასჯაზეა საუბარი, არც ერთი ის თანამდებობის პირი, რომლის მხრიდანაც ადგილი ჰქონდა კანონიდან რაიმე გადაცდომას, მეტაფორულად ვიტყვი, მიწამიუყრელი არ უნდა დარჩეს...**

«სააკაშვილის მდგომარეობა მისტიკურ ტრილერს ჰგავს, რომელშიც მთავარი გმირი მკვდარია და მან ეს არ იცის...»

**— მიწის მიყრა რა იქნება ამ შემთხვევაში?**

— მიწის მიყრა იქნება კანონის შესრულება, ანუ იმის თქმა მინდა, რომ დასჯა უნდა მოხდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში და მაშინ შეგვეძლება ჩავთვალოთ, რომ სამართლებრივი სახელმწიფო შედგა. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, ხშირად მსმენია, ესენი ლინჩის წესით უნდა გასამართლდნენო და აბსოლუტურად გასაგებია საზოგადოების ეს აგრესია, მაგრამ ვიმეორებ, ცივილიზებული სახელმწიფო დასჯას უშვებს მხოლოდ მართლზომიერი ფორმებით. ამიტომ ჩვენ, ვისაც პრეტენზია გვაქვს დასავლურ ღირებულებებზე, თავისთავად ცხადია, ამ ღირებულებებს არ უნდა გადავაბიჯოთ.

**— თქვენი აზრით, კონკრეტულად რა შეიძლება იყოს ადეკვატური სასჯელი დამნაშავე პირებისთვის?**

— ვფიქრობ, ობიექტური სასამართლო თუ ჩატარდება, **ბაჩო ახალაიას, მეგის ქარდავას და სხვებს, რომლებიც უშუალო დამკვეთები იყვნენ ამ ყველაფრის და, როგორც ვიცი, თვითონაც მონაწილეობდნენ ხოლმე წამებებში, სამუდამო პატიმრობაზე ნაკლები არ უნდა მიესაჯოთ.** ეს ჩემი სუბიექტური აზრია და მსგავსი სასჯელი საჭიროა არა მარტო იმისთვის, რომ იყოს სამართლიანობის, კანონის უზენაესობის განცდა, არამედ იმითვისაც, რომ ის მღელვარება, რომელიც საზოგადოებაშია, ჩაცხრეს. მხოლოდ ასეთი მძიმე სასჯელი დამნაშავეების მიმართ, თუ შეძლებს დღეს ხალხის დაწყნარებას, თორემ რეალურად იმის ალბათობა, რომ ეს ვნებათაღელვა რაიმე უფრო ფართომასშტაბიან, უკონტროლო პროცესებში გადაიზარდოს, ვფიქრობ, საკმაოდ დიდია...

**— პატიმართა წამების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელებამდე, საზოგადოებაში იყო იმის შიში, რომ გადამწყვეტ მომენტში ხელისუფლება ძალას გამოიყენებდა. იმავე ზუგდიდში გამართულ აქციასაც ბევრი საფრთხედ აღიქვამდა. როგორ ფიქრობთ, ცოტა გადაჭარბებული ხომ არაა დღეს არსებული მოლოდინები, იმის ფონზე, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლება ძალოვანების გამალებულ მობილიზებას ახდენს?**

— არანაირი საფრთხეები აღარაა რეალურად, მოვლენები ვითარდება ელვისებურად. სისტემის ჩამოშლა ისეთ ტემპში მიმდინარეობს, როგორც ერთ-ერთ ზღაპარშია აღწერილი: გოლიათი საათობით კი არ იზრდებოდა, არამედ წუთობით ვითარდებოდაო, ანუ ახლა დრო ისე დაჩქარდა, ჩამოშლის თვალსაზრისით, (პრეზიდენტს უყვარს ეს სიტყვა — ჩამოშლა) ამ წუთას, ჩვენ რომ ვლაპარაკობთ, უკვე რაღაცები შეიძლება მნიშვნელოვნად იყოს შეცვლილი. პროცესმა მიიღო შეუქცევადი ხასიათი და ამის შეჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ახლა რაც შეეხება იმას, თუ რატომ ხდება ეს, ორი მიზეზის გამო: ერთი მიზეზია ის, რომ **საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა, მინიმუმ 70-80 პროცენტი, გამწარებულია ხელისუფლებაზე, საპროტესტო მუხტი იმდენად მაღალია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ალბათ, არასდროს არ ყოფილა ასეთი;** მეორე და უმთავრესი მიზეზი კი არის ის, რომ **თვითონ მმართველ გუნდს აღარ შესწევს ძალა, მიიღოს თავისთვის სასარგებლო ადეკვატური ზომები, რის გამოც სააკაშვილს პროცესების მართვა მთლიანად გამოეცალა ხელიდან.** აი, ეს ორი ფაქტორი მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ საფრთხეები მინიმალურია, თუმცა, რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ მაინც რეჟიმთან გვაქვს საქმე. თანაც რანაირ რეჟიმთან, რომელსაც პრაგმატულობისა და რაციონალურობის არ სცხია არაფერი.

**— გინდათ, თქვათ, რომ რაღაც მინიმალური საფრთხეები მაინც არსებობს?**

— თუ მაინცდამაინც საფრთხეებზე ვისაუბრებთ, ალბათ, მხოლოდ თეორიული, მაგრამ აქვე ერთ რამესაც ვიტყვი, — ახლა, ამ ვითარებაში, ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენებაზე წასვლა, ჩათვალეთ, რომ თვითმკვლელობას ნიშნავს. ვიმეორებ, მიმდინარეობს სისტემური რეჟიმის ჩამოშლის პროცესი, უფრო სწორად, სისტემა უკვე დაშლილია და ახლა ხდება ამის ოფიციალურად გაფორმება. ამის ფონზე კი ძალის გამოყენება სააკაშვილისა და მისი გარემოცვისთვის იქნება იმაზე ბევრად უფრო მძიმე განაჩენის გამოტანის წინაპირობა, ვიდრე მათ რეალურად ახლა მოელით. აქედან გამომდინარე, საფრთხე, რომ ხელისუფლება წავიდეს ამაზე, ვფიქრობ, ამ ეტაპზე ძალიან მცირეა.

**— არჩევნებამდე სულ რაღაც ხუთი დღე რჩება, როგორ წარმოგიდგენიათ შემდგომი პროცესები?**

— მარტივად გეტყვით, ხუთიანი ხომ მაგიური რიცხვია „ნაცმოძრაობისთვის“? ხუთ პროცენტსაც ვერ მიიღებს ეს რეჟიმი. **ამათ პირწმინდად აუხდებათ ის, რაც ივანიშვილმა დააპროგნოზა თავის დროზე: სააკაშვილს საკუთარი დედაც არ მისცემს ხმასო. მეტიც, შეიძლება ისე მოხდეს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ აიკრძალოს, როგორც ნაცისტური პარტია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, რაც ახლა ხდება, ძალიან ჰგავს დენაციფიკაციის პროცესს — როგორც კეთროვანებს გაურბიან, ისე გამორბის ხალხი იქიდან...**

**— ამ დღეებში არაერთმა ადამიანმა, მათ შორის თანამდებობის პირებმაც, დატოვეს „ნაცმოძრაობა“ და ზოგიერთი მათგანი „ქართულ ოცნებაში“ გადავიდა. რამდენად სანდოა ეს ხალხი, როგორ ფიქრობთ?**

— მე ასეთ ადამიანებს ირონიულად ვეძახი უკანასკნელი ჟამის მუშაკებს. ქრისტიანულ რელიგიაში, მოგეხსენებათ, უკანასკნელი ჟამის მუშაკები არიან ისინი, ვინც გვიან იღებენ ქრისტიანობას... ბევრი რამ ჩვენ, ცხადია, არ მოგვეწონება, ბევრ რამეზე გულიც აგვერევა, მაგრამ საბოლოო ჯამში სწორედ ესაა სისტემის ჩამოშლის პროცესი. სხვანაირად შედეგი ვერ მიიღება და ეს უნდა ავიტანოთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ხალხი კერპებად არ უნდა ვაქციოთ; მაგალითად, **ეკა კვესიტაძე და ვახო სანაია გმირებად არ უნდა გამოვაცხადოთ, იმიტომ, რომ რეალურად ისინი სინდისმა კი არ შეაწუხა, ასე რომ ყოფილიყო, ბევრად უფრო ადრე მოიქცეოდნენ ადეკვატურად, არამედ შიშმა აიძულათ გადაწყვეტილების მიღება.** ასეთი ადამიანები, რასაკვირველია, არ არიან სანდონი და მათგან გარკვეულ დონეზე დისტანტირება ყოველთვის საჭიროა...

**— აქამდე ჩატარებულმა ყველა გამოკითხვამ აჩვენა, რომ საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, წავიდეს თუ არა არჩევნებზე. რას ეტყვით ამ ადამიანებს?**

— ვიტყვი ერთადერთ რამეს, რასაც ჩემს ადგილზე ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი იტყოდა, იმ შემზარავი კადრების შემდეგ, რომლებიც ჩვენ ვნახეთ და რომელმაც შეძრა არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ცივილიზებული სამყარო, სახლში დარჩენა ნიშნავს პირში წლის ჩაგუბებას, თვალის დახუჭვას და ნებით თუ უნებლიეთ მწვანე შუქის ანთებას არსებული რეჟიმისთვის. ეს ნიშნავს სასიკვდილო განაჩენს ქვეყნის მომავალი დემოკრატიული განვითარებისთვის და ყოველგვარ პერსპექტივის მოსპობას. მე მგონი, დღეს ჩვენი საზოგადოება ამას კარგად აცნობიერებს, ამიტომ დარწმუნებული ვარ, 1 ოქტომბერს ქართველი ხალხი მიხეილ სააკაშვილს, თავის გარემოცვასთან ერთად, გამოუტანს ჯერ პოლიტიკურ განაჩენს, ხოლო შემდეგ, როცა ამის დრო მოვა, სამართლებრივ განაჩენს, რომელიც იქნება უმკაცრესი და შეუვალი, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პოლიტიკა

**„ქართველმა ხალხმა ყველას უნდა დაუმტკიცოს, რომ მას აქვს ეროვნული ღირსება. ეს არჩევნები აჩვენებს, რამდენი ღირსეული ადამიანია საქართველოში, რამდენ ადამიანს შერჩა კაცობა! ამ არჩევნებზე ისიც გამოჩნდება, თუ რამდენი ადამიანია საქართველოში თანახმა, რომ თვითონ და თავიანთი შვილები გახდნენ იმ შემზარავი დამცირების მსხვერპლნი, რომელიც ტელევიზორში ყველამ ვნახეთ.“**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მექსიკის ციხიდან 130 პატიმარი გაიქცა

**მექსიკის შტატ კოაუილას ციხიდან 130 პატიმარი გაიქცა. როგორც ციხის ადმინისტრაცია აცხადებს, პატიმრებმა საამქროში გვირაბი გათხარეს.** ციხე აშშ-ის საზღვართან ახლოს მდებარეობს. შტატის მთავრობამ განაცხადა, რომ ნებისმიერი, ვინც გაქცეული პატიმრების ადგილსამყოფელის შესახებ ღირებულ ინფორმაციას მიაწვდის, ჯილდოდ 15 600 დოლარს მიიღებს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კოაუილას ციხიდან პატიმრები გარბიან, მაგრამ ეს ყველაზე მასშტაბური შემთხვევაა.



## აშშ-ის 33 ათასმა ჯარისკაცმა ავღანეთი დატოვა

**ნატოს დამატებითმა სამხედრო კონტინგენტმა, რომელიც პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ავღანეთში სამი წლის წინ გაგზავნა და რომლის შემადგენლობაში 33 ათასი აშშ-ის ჯარისკაცი იყო, ქვეყანა დატოვა.** თავის დროზე კონტინგენტის ზრდის მოტივაცია თალიბანის აქტივობის შეჩერება და ადგილობრივი სახელისუფლო სტრუქტურების გაძლიერებისთვის სათანადო დროის მიცემა იყო. ავღანეთში კვლავინდებურად რჩება 70 ათასი ამერიკელი სამხედრო, ისინი ქვეყანას 2014 წელს დატოვებენ. ბოლო დროს გახშირდა ნატოს ჯარისკაცებზე თავდასხმის ფაქტები, რომლებშიც ავღანელი პოლიციელები და სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნატომ სამი თვით შეაჩერა ავღანეთის შეიარაღებულ სტრუქტურებთან ერთად სამხედრო პატრულირება და კურსანტების სწავლება.

# არც ერთი ხმა ჯალათებს!

**ინტერვიუ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ თავმჯდომარე ალექსანდრე ჭაჭიასთან**



**— ბატონო ალექსანდრე, ჩვენს რედაქციაში მოდის უამრავი წერილი, რეკავენ მკითხველები, რომლებსაც აინტერესებთ, რა პოზიცია უკავია ამ საპარლამენტო არჩევნებში ალექსანდრე ჭაჭიას. ძალიან ბევრი ადამიანისთვის თქვენი აზრი მნიშვნელოვანია.**

— საარჩევნო პროცესისადმი თავშეკავებული პოზიცია მქონდა, ვინაიდან ვერ ვხედავ პოლიტიკურ ძალას, რომლის პროგრამაც პასუხობს ჩემს შეხედულებებს ჩვენი ერის მომავალსა და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების გზებზე. ორი ძირითადი მეტოქის პოლიტიკური პროგრამები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება და ამ მხრივ ეს პარტიები და მათი ლიდერები ერთი და იმავე პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლები არიან, რომელიც, ჩემი აზრით, არ შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. სწორედ ამიტომ არ ჩავთვალე შესაძლებლად, მიმემართა რაიმე რჩევებით ჩემი თანამოაზრეებისთვის, მათ შორის სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წევრებისთვის.

მაგრამ **ის სისაძაგლე, რომელიც ბოლო დროს ტელევიზიით გვაჩვენეს, აღარ ტოვებს ადგილს პოლიტიკური დისკუსიების, პოლიტიკური სიმპათიებისა და ანტიპათიებისთვის.** დღეს საუბარია ერის ღირსების შენარჩუნებაზე, ახალგაზრდა თაობის ზნეობასა და სულიერებაზე, საფრთხეზე, რომელიც ქართულ საზოგადოებაში ელემენტარული მორალური ნორმების არსებობას ემუქრება.

**პოლიტიკური რეჟიმი, რომელმაც საკუთარი მოქალაქეების მიმართ სახელმწიფო მოხელეების მსგავსი მოქცევა შესაძლებელი გახადა, საზოგადოებამ ერთმნიშვნელოვნად და კატეგორიულად უნდა უარყოს. ხელისუფლებას, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს ისე ექცევა, როგორც პირუტყვს, არა აქვს არსებობის უფლება.** საკმაოდ კარგად ვიცნობ გერმანული ფაშიზმის ისტორიას და შემიძლია გითხრათ, რომ არც გესტაპოს ჯურღმულებში, არც საკონცენტრაციო ბანაკებში **ფაშისტებს არც უცდიათ ტუსაღების ადამიანური ღირსების ასე დაუნდობლად ფეხქვეშ გათელვა, ასე უმოწყალოდ მათი დამცირება.**

ვერ წარმომიდგენია, ხელისუფლების ნებისმიერმა წარმომადგენელმა აწი რა ნამუსით უნდა ისაუბროს დემოკრატიის მიღწევებზე საქართველოში, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე და რა ნამუსით იქაქანებენ მათი დასავლეთელი მფარველები „დემოკრატიის წარმატებებზე საქართველოში“!

**შეიქმნა ვითარება, როდესაც ქართველმა ხალხმა ყველას უნდა დაუმტკიცოს, რომ მას აქვს ეროვნული ღირსება. ეს არჩევნები აჩვენებს, რამდენი ღირსეული ადამიანია საქართველოში, რამდენ ადამიანს შერჩა კაცობა! ამ არჩევნებზე ისიც გამოჩნდება, თუ რამდენი ადამიანია საქართველოში თანახმა, რომ თვითონ და თავიანთი შვილები გახდნენ იმ შემზარავი დამცირების მსხვერპლნი, რომელიც ტელევიზორში ყველამ ვნახეთ.**

ის, ვინც სადისტებსა და მკვლელებს უჭერს მხარს, მზადაა, თვითონაც გახდეს სადისტი და მკვლელი ან მათი მსხვერპლი!

არც ერთი ხმა — ჯალათებს!

**ვერ წარმომიდგენია ადამიანი, რომელსაც აქვს კაცობა, ღირსება და ხმას ამ ხელისუფლებას მისცემს. ვერ წარმომიდგენია მშობელი, რომელიც ფიქრობს საკუთარი შვილების მომავალზე და მხარს დაუჭერს ამ სადისტების ხელისუფლებას!**

სწორედ ამიტომ, მოვუწოდებ ყველას, ვისაც ჩემი აზრი აინტერესებს — ხმა მიეცით რეალურ ოპოზიციას, იქნება ეს „ქართული ოცნება“ თუ „თავისუფალი საქართველო“, მაგრამ არამც და არამც არ დაუშვათ ამ არაკაცების ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივება! **დღეს მთავარია, საქართველოს მოვაშოროთ მკვლელებისა და სადისტების ხელისუფლება და ამ გზით უზრუნველვყოთ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლისა და ადამიანური ღირსების ხელშეუხებლობა!**

ამასთანავე, უდიდესი გულდაწყვეტით აღვნიშნავ, რომ იმ სისაძაგლეთა ორგანიზებაში, რომელიც ტელევიზორით ვიხილეთ, მონაწილეობდა რამდენიმე არამზადა მეგრული გვარით. ეს სამეგრელოს სირცხვილია, ეს ჩვენი სირცხვილია და არჩევნებზე ჩვენივე პოზიციით უნდა ჩამოვირეცხოთ ეს სამარცხვინო ლაქა!

**— მაჟორიტარულ ოლქებში სერიოზული ბრძოლა გაჩაღდა. ხელისუფლება სწორედ მაჟორიტარების ხარჯზე გეგმავს არჩევნებში გამარჯვებას...**

— სამეგრელოში მაჟორიტარულ ოლქებში ოპოზიციამ ღირსეული კანდიდატები წარმოადგინა. ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი, თუ კონკრეტულად რომელ ოპოზიციურ პარტიას წარმოადგენენ ეს კანდიდატები. მთავარია მხარი დავუჭიროთ რეალურ ოპოზიციას, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ იმ ადამიანებს, რომელთაც უყვართ საკუთარი ხალხი, აქვთ პიროვნული ღირსების, ეროვნული სიამაყის გრძნობა და ვინც შეძლებს გაწმინდოს საქართველო იმ სიბინძურის, ცრემლისა და სისხლისგან, რომელთა გუბეებიც დააყენა ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ჩვენს ქვეყანაში.

**ასევე მინდა მივმართო „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატებს. თუ მათ აქვთ ღირსება, ელემენტარული კაცური თავმოყვარეობა, უარი უნდა თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე. ამ ნაბიჯით ისინი თანამემამულეთა პატივისცემასა და ახალი ხელისუფლების კეთილგანწყობას დაიმსახურებენ, მათ და მათ ოჯახებს აღარ შერცხვებათ, რომ სადისტებისა და მკვლელების ხელისუფლებას წარმოადგენდნენ.**

## მინდა მივმართო «ნაციონალური მოძრაობის» მაჟორიტარ კანდიდატებს. თუ მათ აქვთ ღირსება, ელემენტარული კაცური თავმოყვარეობა, უარი უნდა თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე

გაზეთი „ილორი“ №189, 25/09/2012




## რუსეთიდან USAID-ი გააძევეს

**აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) რუსეთში საქმიანობას ქვეყნის ხელისუფლების მოთხოვნით წყვეტს. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა.** მისი თქმით, აშშ ამაყია იმით, რასაც USAID-მა რუსეთში ბოლო 20 წლის განმავლობაში მიაღწია და აღნიშნა, რომ სააგენტო თავის ყველა პროგრამას „პასუხისმგებლობით დაასრულებს“ ან სხვა ორგანიზაციებს გადასცემს. „მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად USAID-ი რუსეთში აღარ იქნება, ჩვენ ამ ქვეყანაში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერას კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ და რუსეთის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობისთვის მზად ვართ“, – დასძინა ნულანდმა. რუსეთის ტერიტორიაზე სააგენტოს საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ის ელჩს, მაიკლ მაკფოლს, აცნობა. USAID-ის საქმიანობა 1 ოქტომბერს უნდა შეწყდეს.



„შენობა, რომელშიც ეს ხდებოდა, უნდა დაინგრეს და მის საძირკველზე აიგოს ტაძარი, როგორც თავის დროზე წარმართული ბომონის საძირკველზე შენდებოდა ქრისტიანული ეკლესია! აქვე უნდა აშენდეს სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელშიც უფასო მკურნალობას გაივლიან ნაწამები პატიმრები და მათი ოჯახის წევრები. და კიდევ: როცა ყოფილი პატიმარი ჩაუვლის მაგ ადგილს და სამონასტრო კომპლექსს იხილავს, ის იფიქრებს ღმერთზე, მიტევებაზე და არა შურისძიებაზე — მწვალებლის ოჯახის ამოწყვეტაზე!“

პროტესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მამა თეოდორე:

# რაც იმ კადრებში ვნახე, ქართველი ერის სულიერი გენოციდია!

## «შენობა, რომელშიც ეს ხდებოდა, უნდა დაინგრეს და მის საძირკველზე აიგოს ტაძარი»



**ოცი წელია, თავისუფლებით, დამოუკიდებლობით ვამაყობთ, მაგრამ, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტი უბედურება მოდის ჩვენს თავზე. რატომ? გვესაუბრება ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე.**

**— მართლაც, რატომ, მამაო?**

— როდესაც ადამიანი უზნეოდ იქცევა, ამით ის დაბრკოლებას ქმნის თავის თავსა და ღმერთს შორის. ზნეობრივი კანონი კი ასე ჟღერს: არ გაუკეთო სხვას ის, რაც შენი საკუთარი თავისთვის არ გინდა; გიყვარდეს მოყვასი და თითოეული ადამიანი აღიქვი შენს ნაწილად, რადგან ერთი ძირისგან მოვდივართ. ადამიანს უნდა აღიქვამდე ღვთის ხატად და მსგავს არსებად, რომლის შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა არ შეიძლება, რადგან ამით შენ ამცირებ და შეურაცხყოფ თვით ქრისტეს! **უზნეობასთან ბრძოლა არის ერთ-ერთი არსობრივი თვისება ქრისტიანობისა და უზნეობისადმი გულგრილობა ქრისტეს ღალატია!**

**როდესაც ჩვენი ცნობიერებისთვის გამაოგნებელი უზნეობა ხდება და ჩვენი რეაქცია არ იქნება ქრისტიანული, ანუ აბსოლუტურად შეურიგებელი, მაშინ ჩვენ, როგორც ერი, არსებობის ღირსნიც არ ვართ!**

**როცა ადამიანი ქრისტეს ღალატობს, როცა ადამიანი თავისი ქვეცნობიერით ამბობს: „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი, ეგე“, თავადაც ვერ ხვდება, რომ ქრისტეს ჯვართამცმელია!**

მას უკვე შეფასების გრძნობა აქვს დაკარგული; იგი ვეღარ ხედავს, სად არის სიკეთე და სად არის ბოროტება, სადაა მართალი და სადაა მტყუანი. ასეთი პიროვნება მოვლენებს, მათ შორის პოლიტიკურს, აფასებს თავისი პატარა, შეზღუდული გონებით, რომელიც ანგარებითაა გაჟღენთილი; აფასებს გულითაც, რომელიც საკუთარ თავზე და გარყვნილებაზე ფიქრობს და ქრისტესადმი სიძულვილითაა აღვსებული. აბა, ამის შემდეგ, როცა ვცდებით პოლიტიკურ ან, თუ გნებავთ, ცხოვრებისეულ არჩევანში, რატომ გვიკვირს ამდენი უბედურებისა, რაც ჩვენს თავს ატყდება?!

**— გამოდის, დავიღუპეთ?**

— არა! საბედნიეროდ, არის ის, რაც ადამიანში ბოლოს კვდება. ამ შემთხვევაში, მე იმედს არ ვგულისხმობ. ეს სინდისია! სინდისი არის ის ინსტრუმენტი, რომელიც ზუსტად ხვდება — აი, ეს მოვლენა, ზნეობრივი თვალსაზრისით, კეთილია თუ ბოროტი, სწორია თუ არა. როცა შეფასებისას ყოველთვის სინდისს მოვიხმობთ, მაშინ დაიწყება ჩვენი ერის აღორძინება!

**— მამაო, პირადად თქვენ რა შეფასებას მისცემთ იმ ნანახი კადრების შემდეგ?**

— **რაც იმ კადრებში ვნახე , ესაა ქართველი ერის სულიერი გენოციდი! ზნეობრივი გარყვნილებაც — გენოციდია; ტერიტორიების დაკარგვაც გენოციდია; უამრავი ხალხის საქართველოდან გასვლა, ესეც გენოციდია!**

პირადად მე ბოლომდე ვარ შეურაცხყოფილი და ვიტყვი, ყველამ უნდა ნახოს ეს კადრები, ვისაც არ უნახავს და არ დაივიწყოს მანამ, სანამდე ეს უბედურება არ აღმოიფხვრება ჩვენი ერიდან! **ამ კადრებში საკუთარი თავი უნდა დავინახოთ!**

კაცი, რომელიც ციხეში ზის და სიყალბეზე არ თანხმდება, უკან არ იხევს და მას ამგვარად ექცევიან, ის გაცილებით ღირსეული ადამიანია, ვიდრე ყოველი ჩვენგანი, რომელიც ამ უბედურებას გულგრილად ჩაუვლის. მაგრამ ჩვენ ამ ჭირს, როგორც ქრისტიანებმა უნდა შევხედოთ, ქრისტიანული ხედვა კი ასეთია: **ესაა განსაცდელი! და თუ ვინმესთვის ეს განსაცდელი არაა, ვაი მის მდგომარეობას! გაცილებით მეცოდება ეს ადამიანი, ვიდრე ის მანიაკი და მანიაკის ხელმძღვანელები, რომლებიც ამ მანიაკურ დავალებებს იძლევიან!**

**— რატომ, მამაო?**

— იმიტომ, რომ მანიაკი ავადმყოფია, მაგრამ შენ ხომ ჯანმრთელად წარმოგიდგენია საკუთარი თავი! ხოლო, იმათთვის, ვისთვისაც ეს განსაცდელია, ერთად შევღაღადებთ და ვიტყვით: უფალო, შეგვინდე, გვაპატიე, რომ ჩვენი ცოდვების გამო მივედით ამ მდგომარეობამდე! უფალო, გვიშველე! და იმ წამსვე უფალი გამოგვიწვდის ხელს, როგორც პეტრეს გამოუწოდა, როცა ის იძირებოდა! **თვალები გავახილოთ და, ვინაიდან სინდისი ცოცხალი გვაქვს, ზნეობრივი შეფასება მივცეთ ამ საშინელებას!**

**— როგორ შეაფასებთ ჯალათების ქმედებას?**

— მათი სადიზმი, მანიაკალურობა და კანიბალიზმი ლოგიკურად აუხსნელია. ესაა ფაშიზმი! მაგრამ, თუ დავიძაბებით და ანალიზს გავაკეთებთ, მე მგონია, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს არის მოსახლეობის დაშინების მცდელობა. აი, კაცი იქიდან გამოვიდა და უყვება თავის ახლობლებს, მეგობრებს იმ კოშმარზე, რაც მან საპყრობილეში გადაიტანა. ამის შემდეგ ადამიანს განა ციხის ეშინია, არამედ საკუთარი ღირსების შელახვისა!

**— ზოგიერნთი „ნაციონალების“ ამ ქმედებას ამართლებენ იმით, რომ მხოლოდ ასე შეიძლება ქურდული მენტალიტეტის აღმოფხვრაო. რას იტყვით?**

— მოსულიყვნენ და ჩემთვის ეკითხათ: მამაო, ბოროტება ბოროტებით აღმოიფხვრება? ბოროტება ბოროტებით მხოლოდ ძლიერდება! **როდესაც იმ საწყალს ცოცხით აუპატიურებდნენ და, მიუხედავად ამისა, მაინც ყვიროდა: ქურდი ვარო, ის რა ღირსებით გამოვა იქიდან! ის მოწამეა, მართალია — თავის ბნელ საქმეში, მაგრამ მოწამე! ან ის პატარა ბიჭი, რომელსაც ეუბნებიან: შეაგინეო ქურდებს, და არ აგინებს. ამით ეს ჯალათები ბოროტებას აძლიერებენ!** ორ ბოროტებას სჩადიან: სადიზმს, მანიაკალურობას, ადამიანის შეურაცხყოფას და, პლუს, ქურდობის ინსტიტუტის უფრო განმტკიცებას და კვარცხლბეკზე მის შემოყვანებას. აქაც და იქაც ეშმაკი ზეიმობს!

**— ხელისუფლება ხალხს არწმუნებს, რომ თავად არ იცოდა, რა ხდებოდა საპყრობილეებში. თქვენი აზრით?**

— ამის მე არ მჯერა. ეს აბსოლუტურად გამორიცხულია! წარმოიდგინე, შენ თუ ხარ თანამშრომელი, გაბედავ ვინმეს წამებას ან მოკვლას ისეთ დაწესებულებაში, სადაც ყველაფერი კონტროლდება, თუ ზურგი არ გაქვს? კი, ბატონო, დავიჯერებ ერთი ყოფილი „გაიშნიკის“, მანიაკისა და გარეწრის ვერსიას და, გნებავთ, მის რეალურად არსებობას, მაგრამ ამდენი მანიაკის ერთად ყოფნას ვერ დავიჯერებ! **როცა უმრავლესობა აწამებს და კლავს, როცა თანამშრომლების უმრავლესობა სადისტია, რატომ არ ეშინიათ სასტიკად დასჯისა? იმიტომ, რომ ყველას აქვს გარანტირებული დაუსჯელობა; ხოლო გარანტია სულ ზემოდან მოდის. ვინც ზემოთაა, მან არა თუ იცის, უბრძანებს კიდეც — გააკეთე! ზემოთ მჯდომი დამკვეთია!**

**— სააკაშვილი თავს ქრისტიანად თვლის. ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი ადამიანი?**

— სადაც ნათურა კიდია, იქ ყველაფერი დალაგებულია; სადაც ნათურა არ კიდია და სიბნელეა, ზუსტად იქ უნდა მქონდეს სისუფთავე! რაც არ ჩანს, ისაა მოსავლელი. ეს ქრისტიანული მიდგომაა; აგერ, პავლე მოციქულიც ბრძანებს: სხეულის ის ნაწილები, რომლებიც ყველაზე უპატიოა, ყველაზე დიდ მოვლას საჭიროებენო. ეს ბუნებრივიცაა. სახელმწიფოშიც ასეა. **აქ ყველაზე მიმალული — ციხეა და, თუ მანდ ასეთი სავალალო მდგომარეობაა, ყველაფერი უმსგავსი აქაა კონცენტრირებული, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მართვა არ შეგიძლია და უნდა წახვიდე!** შენ თუ ქრისტიანი ხარ, ანუ გიყვარს ქრისტე, საქმით მოინანიე, ხოლო თუ არ გიყვარს — შეჩვენებული ხარ!

**მერვე საპყრობილეში რაც ვიხილეთ, სატანის სადიდებელი რიტუალი იყო!** აქედან გამომდინარე, მთელი ეს ნაგებობა გადაიქცა სისაძაგლისა და ადამიანური ღირსების აყრის სიმბოლოდ. ჩემი აზრით, **შენობა, რომელშიც ეს ხდებოდა, უნდა დაინგრეს და მის საძირკველზე აიგოს ტაძარი, როგორც თავის დროზე წარმართული ბომონის საძირკველზე შენდებოდა ქრისტიანული ეკლესია! აქვე უნდა აშენდეს სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელშიც უფასო მკურნალობას გაივლიან ნაწამები პატიმრები და მათი ოჯახის წევრები. და კიდევ: როცა ყოფილი პატიმარი ჩაუვლის მაგ ადგილს და სამონასტრო კომპლექსს იხილავს, ის იფიქრებს ღმერთზე, მიტევებაზე და არა შურისძიებაზე — მწვალებლის ოჯახის ამოწყვეტაზე!**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

**«როცა უმრავლესობა აწამებს და კლავს, როცა თანამშრომლების უმრავლესობა სადისტია, რატომ არ ეშინიათ სასტიკად დასჯისა? იმიტომ, რომ ყველას აქვს გარანტირებული დაუსჯელობა; ხოლო გარანტია სულ ზემოდან მოდის. ვინც ზემოთაა, მან არა თუ იცის, უბრძანებს კიდეც — გააკეთე! ზემოთ მჯდომი დამკვეთია!»**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლებას თუ არჩევნებამდე ან არჩევნების შემდეგ საქმე ისე არ წაუვიდა, როგორც ჩაფიქრებული აქვს, არ არის გამორიცხული, ქვეყანა ახალ ავანტიურისტულ ომში ჩაითრიოს, როგორც ეს 2008 წელს გააკეთა, რაც სავალალო და კატასტროფულ მდგომარეობამდე მიგვიყვანს.**

# მიხეილ სააკაშვილი — პოლიტიკური სისტემის კრიზისის მთავარი წყარო

**საქართველოში ვნებათაღელვა არ ცხრება იმ საზარელი კადრების ჩვენების შემდეგ, რომლებიც გავრცელდა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. ამ კადრებმა კიდევ ერთხელ დაანახა არამარტო ქართულ საზოგადოებას, არამედ მთელ მსოფლიოს, თუ რა არადემოკრატიული და დეჰუმანიზირებული მმართველი კლასი მართავს საქართველოს. აღნიშნული კადრების გავრცელებამ ქართული პოლიტიკური სისტემა, არ არის გამორიცხული, სისტემური კრიზისის მდგომარეობამდე მიიყვანოს და მისი ნგრევით დასრულდეს.**



თუ მიმდინარე მოვლენებს დავაკვირდებით, აშკარად ჩანს, რომ ერთის მხრივ, არც მართველი ძალა აპირებს ხელისუფლების დათმობას და, მეორე მხრივ, არც საზოგადოება აპირებს შეეგუოს მოძალადე რეჟიმის შენარჩუნებას. ასეთმა პოლარიზებამ გამოიწვია საზოგადოებასა და მმართველ კლასს შორის მსოფლმხედველობრივი კოლიზია, რამაც, შესაძლოა, ქვეყანა სავალალო მდგომარეობამდეც კი მიიყვანოს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქვეყანას მართავს კრიმინალ-სადისტთა ჯგუფი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, მოხდეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მეცნიერული გაანალიზება და მის საფუძველზე გარკვეული ვარაუდების გამოთქმა.

**ნებისმიერი ტიპის პილიტიკური სისტემა, ეს იქნება ავტორიტარული თუ დემოკრატიული, წონასწორობის პირობებში ფუნქციონირებს, რომელიც უზრუნველყოფს მის სტაბილურობას.** ამ მხრივ, არც ქართული პოლიტიკური სისტემაა გამონაკლისი. თუმცა უკანასკნელი მოვლენები ცხადყოფს, რომ **პოლიტიკური სისტემა ნელ-ნელა გამოდის წონასწორობის მდგომარეობიდან, რაც კრიზისულ სიტუაციას შექმნის ქვეყანაში.**

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური კრიზისის მთავარ წყაროს წარმოადგენს მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც შექმნა სახელისუფლო ვერტიკალის მკაცრად ცენტრალიზებული სისტემა. მას უნდა მივაწეროთ მმართველი პოლიტიკური ელიტის ფორმირებაც, რომელიც ეყრდნობოდა არა პროფესიონალიზმს, არამედ ერთგულების პრინციპს ერთი ადამიანისადმი, ამ შემთხვევაში — სააკაშვილისადმი. ასეთ დროს პოლიტიკური ელიტა იხურება, რაც საშუალებას არ აძლევს, მასში მოხდეს პროფესიონალური კადრების რეკრუტირება.

საერთოდ, როდესაც პოლიტიკური ელიტის განახლება არ ხორციელდება, დროთა განმავლობაში ის კარგავს სიცოცხლისუნარიანობას, ვინაიდან მასში არ შემოდიან ადამიანები, რომელთაც უნდა შემოიტანონ ახალი იდეები, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა ცვლადი პოლიტიკური რეალობებისა. **როდესაც მმართველი ელიტა ისეთი მეთოდებით მართვას ცდილობს, რომელიც არაადეკვატურია შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებასთან, იწვევს ქვედა ფენის გაღიზიანებასა და უკურეაქციას. ამ დროს მმართველი ძალა იძულებულია, ნებისმიერი მეთოდებითა და მექანიზმების გამოყენებით შეინარჩუნოს ძალაუფლება. იწყება მოსახლეობის დაშინება, ტერორი, ძალადობა. ეს პროცესი იწვევს ზედა ფენისა და მოსახლეობის დაშორებას, რაც ლეგიტიმურობის კრიზისის საწინდარია.** ასეთ ვითარებაში საზოგადოება ცდილობს რეჟიმის დელეგიტიმაციას, მართვის სადავეების უკან დაბრუნებას, რომელიც გადასცა მან მმართველ პოლიტიკურ კლასს. თავის მხრივ, სახელისუფლო ძალა ცდილობს, არ დაუშვას მართვის სადავეების გადაცემა მოსახლეობისთვის, რაც იწვევს დაპირისპირებას ამ ორ ფენას შორის და, რასაც პოლიტიკური სისტემა შეჰყავს სტრესულ მდგომარეობაში.

საქართველოს შემთხვევაშიც ანალოგიური ვითარება იკვეთება. **ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან მიხეილ სააკაშვილმა სახელისუფლო ვერტიკალის ზედა ეშელონების დაკომპლექტება დაიწყო არა პროფესიონალიზმის პრინციპით, არამედ იმის მიხედვით, თუ ვინ უფრო ერთგული და სანდო იქნებოდა მისთვის.** ამას ადვილად დავინახავთ იმ სამთავრობო კარუსელებით, რომელსაც იგი ახორციელებდა მისი ჯიბის პარლამენტის დახმარებით. ამ სამთავრობო ცვლილებების დროს კი არ ხდებოდა ახალი, პროფესიონალი კადრის დანიშვნა ძველი წარუმატებელი მინისტრის პოსტზე, არამედ ხდებოდა მათი გადათამაშება ერთი სამინისტროდან მეორე სამინისტროში. პლუს ამას ერთი მომენტი, რომ **მისი პრეზიდენტობის დროს გამოიკვეთა ზედა ფენაში ის ვიწრო წრე ადამიანებისა, რომელთაც არსად არ იშორებდა. მათ შორის, ალბათ, ყველაზე ერთგულ კადრებად შეიძლება მივიჩნიოთ ძმები ახალაიები.** ისინი იმდენად ერთგულები იყვნენ და არიან, რომ გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ, უფროსი ძმა, დათა, საზოგადოების ზეწოლის შედეგად ფორმალურად მოხსნეს თანამდებობიდან, მაგრამ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ფაქტობრივ მმართველად დატოვეს. ეჭვი არ მეპარება, იმავეს აქვს ადგილი ბაჩოს შემთხვევაშიც. **ფორმალურად გადასცეს მინისტრის პოსტი კარიკატურულ ფიგურას, ქალბატონ ზღულაძეს, რეალურად კი შინაგან საქმეთა სამინისტროში მართვის სადავეები, დიდი ალბათობით, ბაჩო ახალაიას ხელში იქნება.** ზემომოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ **პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ განხორციელებული საკადრო პოლიტიკა, რომლის შედეგად მოხდა მართველი პოლიტიკური ელიტის ფორმირება, წარმოადგენდა საერთო იდეებისა და ფასეულობების მქონე ადამიანთა გაერთიანებას, რომელთა ფასეულობები შორს დგას საქართველოს მოქალაქეთა ღირებულებით ორიენტირებისგან.**

**ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ კლასიკოს დევიდ ისტონს თუ დავეყრდნობით, რომელიც პოლიტიკური სისტემის თეორიის ავტორად ითვლება, მიიჩნევს, რომ სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისთვის და სტრესული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია: 1) ხელისუფლებამ შესთავაზოს საზოგადოებას ფასეულობები და 2) აიძულოს საზოგადოების უმრავლესობა, სცნონ ეს ფასეულობები, როგორც სავალდებულო შესასრულებლად.**

საქართველოს შემთხვევაში კი, ადგილი აქვს ხელისუფლების მიერ გავრცელებული ფასეულობების მიუღებლობას საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის მიერ. **ხელისუფლება ნერგავს ძალადობის კულტს, არაჰუმანური და ამორალური თამაშის წესებს. ასეთი თამაშის წესები ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელია, რომელშიც ისტორიულად კოდირებულია ჰუმანიზმი, ადამიანებისადმი სიყვარული და მტრისადმი პატივისცემაც კი.** აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, გავრცელებული კადრების შემდეგ, რომლებშიც უსუსურ პატიმრებს აწამებენ და აუპატიურებენ, ქართული საზოგადოების მხრიდან აღშფოთება და ადეკვატური რეაქცია არ მოჰყოლოდა, ანუ **ხელისუფლებას უჭირს აიძულოს საზოგადოება, მის მიერ შეთავაზებული ფასეულობები სცნონ სავალდებულოდ, რამაც პოლიტიკური სისტემა სტრესულ მდგომარეობამდე მიიყვანა.** არ არის გამორიცხული, დღეს არსებულმა მდგომარეობამ მომავალში პოლიტიკური სისტემის ნგრევა გამოიწვიოს, რაშიც დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლება და პირადად მიხეილ სააკაშვილი იქნებიან.

მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის დაძლევა და პოლიტიკური სისტემის ნორმალურ კალაპოტში მოქცევა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს შეუძლია, თუ იგი გამოავლენს პოლიტიკურ ნებას და სახელმწიფოებრივ აზროვნებას თავისი მმართველობის პერიოდის განმავლობაში ერთხელ მაინც.

მიხეილ სააკაშვილისთვის და ქვეყნისთვისაც საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ იგი არჩევნებამდე მიიყვანს ქვეყანას ყოველგვარი ექსცესების გარეშე. ჩაატარებს თავისუფალ, დემოკრატიულ და გაუყალბებელ არჩევნებს, რაც ყველა ამომრჩეველს მისცემს საშუალებას, თავისუფლად, ყოველგვარი შიშისა და ზეწოლის გარეშე დააფიქსიროს თავისი არჩევანი. **დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გამანადგურებელი პროცენტული მაჩვენებლებით დამარცხდება კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“, რის შედეგადაც პარლამენტში უმრავლესობით შევა ოპოზიცია** (სასურველი იქნებოდა, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად სხვა რომელიმე ჭეშმარიტად ოპოზიციური პარტიაც შესულიყო საკანონმდებლო ორგანოში). **პარლამენტის დაკომპლექტებისა და, შესაბამისად, მთავრობის ფორმირების შემდეგ კი პრეზიდენტი უნდა გადადგეს.** გადადგომის შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციით ძალაუფლება გადავა პარლამენტის თავმჯდომარის ხელში 40 დღით, რომელიც, სავარაუდოდ, ოპოზიციური დაჯგუფების წევრი იქნება. ამ ფარგლებში დაინიშნება ახალი საპრეზიდენტო არჩევნები, მოსახლეობას საშუალება მიეცემა, აირჩიოს ახალი პრეზიდენტი. მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში პოლიტიკური სისტემა დაუბრუნდება სტაბილურ მდგომარეობას, რაც ხელს შეუწყობს მის დემოკრატიზაციას.

ჩემ მიერ ზემოთ აღწერილი სურათი იქნებოდა იდეალური ვარიანტი ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად, მაგრამ **პრეზიდენტის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებებითა და გადადგმული ნაბიჯებით თუ ვიმსჯელებთ, აშკარად ჩანს, რომ ის მშვიდობიანი და კონსტიტუციური გზით არ აპირებს ხელისუფლების დათმობას.** ეტყობა, მისთვის შეურაცხმყოფელია არჩევნებში მარცხი და დამარცხებული პოლიტიკოსის მანტიის მორგება. შეიძლება, მას ჯერ კიდევ არ აქვს იმედი გადაწურული, რომ შეძლებს არჩევნების გაყალბებას და ძალაუფლების შენარჩუნებას. **შესაძლოა, გათვლა ჰქონდეს მისი პატრონი ამერიკელების დახმარებაზე, რომლებიც ყოველთვის მის მიერ გაყალებული არჩევნების ლეგიტიმატორად გვევლინებოდნენ.**

არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ, თუ მას ქვეყნის გარედან აგრძნობინებენ ხელისუფლებიდან წასვლას (ქართულმა საზოგადოებამ, უკვე დიდი ხანია, აგრძნობინა, რომ ზედმეტია ის ქართულ პოლიტიკაში), მან არაადეკვატურ ზომებს მიმართოს არსებული სიტუაციიდან სუფთად გამოსასვლელად. კერძოდ, მოაწყოს რაიმე სახის ექსცესი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მისადგომებთან. ამით ხელი შეუწყოს ფართომასშტაბიანი კონფლიქტის ესკალაციას რუსეთთან. **მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმეორედ კონფლიქტის პროვოცირების შემთხვევაში, რუსები უკვე თბილისის მისადგომებთან კი არ გაჩერდებიან, არამედ სვლას გააგრძელებენ თბილისისკენ სააკაშვილის ერთხელ და სამუდამოდ დასამხობად.**

რა თქმა უნდა, პრეზიდენტი და ჩვენი ხელისუფლება გაიქცევა, რაც პრეზიდენტის ინტერესებშიც შედის, ვინაიდან ის მიიღებს დევნილი პრეზიდენტის სტატუსს და თავს გაიმართლებს იმით, რომ ის ქართველ ხალხს კი არ გაუძევებია საქართველოდან, სადაც დიდი მხარდაჭერით სარგებლობს (მას შეუძლია ამის დასადასტურებლად ამერიკული ორგანიზაციების კვლევის შედეგებიც ააფრიალოს), არამედ გარე ძალამ დაამხო ადგილობრივი ოპოზიციური ძალების დახმარებით.

მეორე სცენარი უფრო რეალურია, ვიდრე პირველი. ამის თქმის საფუძველს იძლევა, რამდენიმე დღის წინ საგარეო სამინისტროსა და საქართველო პრეზიდენტს შორის თითქმის უნისონში გაკეთებული განცხადებები. საგარეო უწყების განცხადებით, **„უკანასკნელ ხანებში, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ადმინისტრაციულ ხაზთან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მხრიდან მიმდინარეობს შეტევითი შეიარაღების კონცენტრაცია და შესაბამისად იზრდება პროვოკაციის საფრთხეც...“** თითქმის იდენტური განცხადება, უფრო მოგვიანებით, ბათუმში ყოფნისას გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა. მისი თქმით, **„სანამ ჩვენ ერთმანეთთან საქმეს ვარჩევდით, საქართველოში რუსეთის შეიარაღება რამდენიმეჯერ გაძლიერდა... რუსეთი საქართველოში ვერ გადმოვა, თუ მან საჭირო ფონი არ დაინახა“.**

ამ განცხადებებიდან ნათლად ჩანს, რომ **ხელისუფლებას თუ არჩევნებამდე ან არჩევნების შემდეგ საქმე ისე არ წაუვიდა, როგორც ჩაფიქრებული აქვს, არ არის გამორიცხული, ქვეყანა ახალ ავანტიურისტულ ომში ჩაითრიოს, როგორც ეს 2008 წელს გააკეთა, რაც სავალალო და კატასტროფულ მდგომარეობამდე მიგვიყვანს.**

**«მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმეორედ კონფლიქტის პროვოცირების შემთხვევაში, რუსები უკვე თბილისის მისადგომებთან კი არ გაჩერდებიან, არამედ სვლას გააგრძელებენ თბილისისკენ სააკაშვილის ერთხელ და სამუდამოდ დასამხობად»**

**ირაკლი უბილავა**

„არავის უნდა ეგონოს, რომ სააკაშვილი და მისი ხროვა იოლად დათმობს ხელისუფლებას. ის ახლა ცდილობს, ფასადური, კოსმეტიკური ცვლილებები ჩაატაროს და ჩვენ გაგვაბრიყვოს. საზოგადოება არ უნდა მოტყუვდეს. საზოგადოებას უნდა ახსოვდეს, რომ ესენი არიან მანიაკები და, თუ იგრძნეს, რომ კარგავენ ძალაუფლებას, უყოყმანოდ წავლენ ნებისმიერ სიბინძურეზე. მოსალოდნელია, მოაწყონ პროვოკაციები არჩევნების ჩაშლის მიზნით, ამიტომ ოპოზიციას ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარება მართებს."

საზოგადოება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ზურაბ კვარაცხელია: ახლა მთავარია, მშვიდობიანად და არჩევნების გზით წავართვათ ამ მუტანტებს მართვის სადავეები

**არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ გლდანის მე-8 საპყრობილეში პატიმართა წამების შოკისმომგვრელი ფაქტების გამომზეურებამ, ვითარება კარდინალურად შეცვალა. ამომრჩეველთა უმრავლესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ახლა არ არის რაღაც გარჩევების დრო, არამედ ერთად უნდა შეიკრან, რომ საქართველოში სამუდამოდ აღიკვეთოს ისეთი სისაძაგლეები, რომელთა მოწმენიც ამ დღეებში გავხდით. თუ რამდენად ეთანხმება ამ კონცეფციას სახალხო მოძრაობა „სამეგრელო" ამის შესახებ თავის მოსაზრებას გვიზიარებს ამ მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია.**

— საქართველოში რომ ქართველთმოძულე რეჟიმი მძვინვარებს, აქამდეც ვიცოდით. ეს იცოდა ყველა ჭკუათმყოფელმა და მეტ-ნაკლებად ინფორმირებულმა ადამიანმა, მაგრამ ის კადრები, რომლებიც ჩვენ ვიხილეთ ამ დღეებში და რომლებიც ეხება პენიტენციალურ სისტემაში არსებულ მდგომარეობას, ნამდვილად შოკისმომგვრელია. **აი, დემოკრატიის თავისუფლების და ე. წ. ლიბერალური ღირებულებების ლოზუნგით მოსული სააკაშვილის ხელისუფლების ნამდვილი და უმაკიაჟო სახე. ჯერ სად ვართ! შოკი თქვენ მაშინ ნახეთ, როცა ამ მანიაკალური რეჟიმის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული გამოვლინდება და საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი.** არჩევნებამდე ცოტა, ძალიან ცოტა დრო დარჩა, ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ სიტუაციაში, ამ კოშმარულ რეალობაში უკვე აღარ არის რაღაც კონცეფციებზე საუბრის დრო, დღეს აღარ არის დრო, ვარკვიოთ რაღაც საკითხები, ამას მერე მივხედოთ. ხომ ფაქტია, რომ **ქვეყანას მართავენ გიჟები და უკვე ყოველი დღე, ყოველი საათი,**

> **«დადგა გადამწყვეტი ჟამი. ჩვენ, ყველანი ერთად ახლა, ამ არჩევნებზე ან თავიდან მოვიშორებთ დამნაშავე ხელისუფლებას, ან სამუდამოდ მოვსპობთ ჩვენი გადარჩენის ყოველგვარ შანსსა და პერსპექტივას»**

**ყოველი წუთი ამათი მმართველობისა გვაახლოებს სრულ კატასტროფასთან,** ამიტომ ახლა მთავარია მშვიდობიანად, არჩევნების გზით წავართვათ ამ მუტანტებს მართვის სადავეები.

**— ბატონო ზურაბ, მიუხედავად განვითარებული მოვლენებისა, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, გარკვეული დემორალიზაციის ნიშნები შეიტანა ხელისუფლებაში, ოპოზიციას გარანტირებული აქვს გამარჯვება?**

— რა თქმა უნდა, — არა. უნდა გვახსოვდეს ისიც, თუ ვისთან გვაქვს საქმე. სიფხიზლეა საჭირო. არავის უნდა ეგონოს, რომ სააკაშვილი და მისი ხროვა იოლად დათმობს ხელისუფლებას. ის ახლა ცდილობს ფასადური, კოსმეტიკური ცვლილებები ჩაატაროს და ჩვენ გაგვაბრიყვოს. საზოგადოება არ უნდა მოტყუვდეს. **საზოგადოებას უნდა ახსოვდეს, რომ ესენი არიან მანიაკები და, თუ იგრძნეს, რომ კარგავენ ძალაუფლებას, უყოყმანოდ წავლენ ნებისმიერ სიბინძურეზე. მოსალოდნელია, მოაწყონ პროვოკაციები არჩევნების ჩაშლის მიზნით, ამიტომ ოპოზიციას ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარება მართებს.**

აქვე აუცილებლად ისიც მინდა ვთქვა, რომ **მხოლოდ ახალაიების ოჯახის სინდისზე როდია ყველა ჩვენი უბედურება.**

უბედურების სათავეები ცოტა უკან, არცთუ ისე შორეულ წარსულში, უნდა მოვიძიოთ, მაგრამ ახლა ამის ანალიზის დრო არ გვაქვს. ერთი რამ კი ახლავე კარგად უნდა გავაცნობიეროთ: **სანამ ხელისუფლებაში იბოგინებენ სააკაშვილები, მერაბიშვილები, ადეიშვილები, ბოკერიები, მაჭავარიანები, გვარამიები, შაშკინები და მათი ჯურის კრიმინალები, ჩვენი სამშობლოს საშველი არ იქნება. ესენი უნდა წავიდნენ!** აი, ეს უნდა გაიგოს და გაითავისოს ყველა წესიერმა და გონიერმა ადამიანმა, თორემ გარეწრებსა და უსაშველო ბრიყვებს ჩვენ აწი ვერაფერს შევაგნებინებთ. მათი ადგილი სწორედაც რომ იმ კლოაკაშია, რომელშიც ახლა არიან ჩაყვინთულნი.

**— ბატონო ზურაბ, კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, რისი სურვილიც ბევრს გააჩნია და მათ შორის თქვენც, როგორ ფიქრობთ, რამდენად გაამართლებს ის თქვენი მოძრაობის იმედებს?**

— მტკიცედ მწამს, რომ არჩევნებზე „ნაცმოძრაობის" დამარცხება შეაჩერებს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ნგრევის პროცესს, ხოლო იმაზე, თუ ვის როგორ წარმოგვიდგენია და გვესახება აღორძინების, განვითარების, გამთლიანების, შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის თუ საგარეო ვექტორის საკითხები, კი, ბატონო, ამაზე მერე ვისაუბროთ, ვიპაექროთ და ვინძლო გამოსავალიც ვიპოვოთ. დიდი იმედი მაქვს, ახალი ხელისუფლება ქვეყანაში შექმნის ისეთ დემოკრატიას, რომ ჩვენთან არსებულ ეროვნულ-პატრიოტულ პლატფორმაზე მდგარ ყველა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალას და, რა თქმა უნდა, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოსაც" მიეცემა იმის შესაძლებლობა, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი პოზიცია და, **რაც მთავარია, შეიქმნება იმის მყარი გარანტიაც, რომ ქართველ ერს მიეცეს იმის უფლებაცა და შესაძლებლობაც, აირჩიოს მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის უკეთესი გზა; ის გზა, რომელიც არ იქნება წანააღმდეგობაში არც ჩვენი სამშობლოს და არც ჩვენი მეზობელი ზესახელმწიფო რუსეთის გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ინტერესებთან. არავის უნდა დაავიწყდეს, რომ საქართველოსა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთთან ობიექტურ თანხვედრაშია.**

**— რას იტყვით 22 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილისა და 23 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილის მიერ ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე გამართული აქციების თაობაზე?**

— 22 სექტემბერს ზუგდიდში გამართულ აქციასთან დაკავშირებით მოვახდენ მარკ ტვენის ცნობილი სიტყვების პერიფრაზს, ვიტყვი, რომ **მოარული ხმა — თითქოს სამეგრელო სააკაშვილის რეჟიმის დასაყრდენს წარმოადგენს — ძალიან გაზვიადებული აღმოჩნდა. ჩემთვის ეს ამ აქციამდეც ცნობილი იყო, მაგრამ ნამდვილად სასიამოვნოა, რომ ამას ამიერიდან ქვეყანაც გაიგებს.** იმედი მაქვს, რეჟიმის მომხრეთა რიგები უახლოეს დღეებში კიდევ უფრო შეთხელდება და 1 ოქტომბერს ჩვენ კიდევ უფრო სასიამოვნო მოვლენის მომსწრენი გავხდებით. რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ნამდვილად მაქვს მიზეზი, ზუგდიდის თავისუფლების მოედანზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვით კმაყოფილი ვიყო, ხოლო 23 სექტემბერს სააკაშილის მომხრეთა მიერ გამართული აქციის თაობაზე, სადაც სახელისუფლო სტრუქტურებმა ძალდატანებით მოყარეს ადამიანები საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭულიდან, მე კომენტარს არ გავაკეთებ.

**— ბატონო ზურაბ, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე რას ეტყვით მოსახლეობას?**

— იმედი მაქვს, ახალი ხელისუფლება სახელმწიფოებრივად და პრაგმატულად შეაფასებს არსებულ რეალიებს და სახალხო მოძრაობა „სამეგრელოც" ამის იმედითა და რწმენით დაჟინებით მოუწოდებს თანამემამულეებს, გამოიჩინონ პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავლის წინაშე, ამიტომაც მივმართავ ჩემს საყვარელ ზუგდიდელებს — მეგრელებს. მივმართავ, როგორც ადგილობრივებს, ასევე დევნილებს: **დადგა გადამწყვეტი ჟამი. ჩვენ, ყველანი ერთად ახლა, ამ არჩევნებზე ან თავიდან მოვიშორებთ დამნაშავე ხელისუფლებას, ან სამუდამოდ მოვსპობთ ჩვენი გადარჩენის ყოველგვარ შანსს და პერსპექტივას.** ასე რომ, ჩემო ჯიშო და ჯილაგო, გაიხსენე შენი კოლხეთის და შენი იბერიის დიადი წარსული; გაიხსენე, საიდან მოდიხარ; გაიხსენე ათასწლეულების ქარტეხილებს გამოღწეული რომ ხარ; ნუ გახდები სამარცხვინო, კოლექტიური სუიციდის მონაწილე; გადაირჩინე თავი და იხსენი მამული ამ მანქურთებისგან"

ესაუბრა
**ლადო ქირია**, ზუგდიდი

**P.S. 23 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ შეჰყარა „სიყვითლე" ზუგდიდელებს, რადგან ზუგდიდს ისევ შეესია თბილისიდან ჩამოსული ასობით ყვითელი ავტობუსი. მიხეილ სააკაშვილი გაეჯიბრა ბიძინა ივანიშვილს და შეეცადა უფრო მეტი მხარდამჭერის გამოყვანას, მაგრამ, „სამწუხაროდ", ის ამ გაჯიბრებისას დამარცხდა.**

# სააკაშვილის რეფორმირებულ პენიტენციალურ სისტემაში უგზო-უკვლოდ გადაკარგულ მსჯავრდებულს 2 თვის შემდეგ მიაკვლიეს

**ამ ბოლო დროს საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა სულზე მოუსწრო გალის რაიონის მკვიდრს, ელვერდ კობერიძეს, და მის ნათესავებს, რადგან ამ პიროვნების ადგილსამყოფელი 27 ივლისიდან 21 სექტემბრამდე დაუდგენელი იყო.**

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში მცხოვრები, 44 წლის ელვერდ კობერიძე 2012 წლის 27 ივლისს ზუგდიდში ჩამოვიდა თავისი და მშობლების დახმარების თანხისა და პენსიის ასაღებად. იმავე დღეს, როგორც შემდგომ გაირკვა, ის პოლიციამ დააკავა და ისე, რომ მისი ოჯახისთვის არაფერი შეუტყობინებიათ, თბილისში წაიყვანეს.

4 სექტემბერს კობერიძის ნათესავებმა ზუგდიდელ ადვოკატ მებრძოლ ჭკადუას მიმართეს. **„ელვერ კობერიძის ნათესავებმა განმიცხადეს, რომ უკვე საკმაო ხანია, არ იციან მისი ადგილ-სამყოფელი, არ იციან ცოცხალია თუ მკვდარი. მე ჩავედი თბილისში და მივაკითხე იმ ავადსახსენებელ გლდანის მე-8 საპყრობილეს, რადგან საერთოდ იქ იმყოფებიან გამოძიებაში რიცხული ადამიანები, რომლებიც არ არიან მსჯავრდებულნი. იქ მითხრეს, რომ ასეთი პიროვნება აქ არ არისო, მაშინ მივმართე იქვე არსებულ მე-18 დაწესებულებას (ე.წ. რეზბალნიცას). ჯერ მითხრეს, აქ არისო, რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ კი განმიცხადეს, — არ არისო. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მივაკითხე მე-18 დაწესებულებას, რადგან ძველი თბილისის პროკურატურასა და საქალაქო სასამართლოში მითხრეს, რომ კობერიძე მე-18 დაწესებულებაში არისო. აქ კი ისევ განმიცხადეს, თქვენ არასწორი ინფორმაცია გაქვთო. 19 სექტემბერს მესამედ ჩავედი თბილისში და იგივე პროცესები განმეორდა. თუმცა უკვე ვითარება შეცვლილი იყო — მე-8 საპყრობილეში დატრიალებული მოვლენების შედეგად იძულებულნი გახდნენ, პასუხი გაეცათ ჩემ მიერ მთავარ პროკურატურაში დაწერილ საჩივარზე. ბოლოს და ბოლოს 21 სექტემბერს მივიღე პასუხი, რომ ელვერდ კობერიძე იმყოფებოდა მე-18 დაწესებულებაში",** — განაცხადა ადვოკატმა მებრძოლ ჭკადუამ.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელებმა ელვერდ კობერიძე 27 ივლისს დააკავეს, დადგენილება მისი დაკავების შესახებ დაიწერა 13 აგვისტოს, თითქოსდა მას აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა". 14 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობით მას შეუფარდა პატიმრობა. უცნაური ის არის, რომ კობერიძე ეთანხმება მის დაპატიმრებას, თანაც ის სასამართლო პროცესს არ დასწრებია. **„ელვერდ კობერიძე 27 ივლისს დააკავეს, 13 აგვისტოს კი, უკანონი პატიმრობაში მყოფს, თურმე ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა, რაც დაუჯერებელია. ასევე გაურკვეველია, თუ რატომ მოხვდა ის მე-18 დაწესებულებაში, რადგან აქ მხოლოდ ან მძიმედ დაავადებულები, ან მაგრად ნაცემი პატიმრები ხვდებიან",** — აცხადებს ადვოკატი მებრძოლ ჭკადუა.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში პოლიცია, პროკურატურა, გამოძიება, საპყრობილის ადმინისტრაცია ოჯახს ატყობინებს დაკავებული პიროვნების ადგილ-სამყოფელს. საქართველო კი ჯერ კიდევ შორს არის ამ ელემენტარული პროცედურისგან. დაკავებისას ელვერდ კობერიძეს მისი მშობლების საბუთებიც წაართვეს, რის გამოც 2 თვეა, მოხუცები პენსიისა და დახმარების თანხებს ვერ იღებენ.

ასე რომ, 18 სექტემბერს განვითარებული მოვლენის წყალობით მოძებნილი ელვერდ კობერიძე 26 სექტემბერს თავის ადვოკატს, მებრძოლ ჭკადუას, შეხვდება, 27 სექტემბერს კი სასამართლო პროცესია დანიშნული.

**ლადო ქირია**,
ზუგდიდი

ნაც-ტერორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც კი საპროტესტო მუხტი ჩაქრება, მაშინვე გაუარესდება ყველაფერი, ასჯერ მეტი მოხდება. მაქვს ინფორმაცია, რომ პატიმრებს ახლაც ძალიან ცუდ დღეში აგდებენ. ტუღუში არაფერს წარმოადგენს, გინდ ყოფილა ის და გინდ არა.**

# ყოფილ პატიმარს, დავით გაიხარაშვილს, ციხიდან შეატყობინეს, რომ პატიმრებს ისევ სცემენ, ამ დღეებში კიდევ 20 პატიმარია ნაცემი...



*დავით გაიხარაშვილი:*

# ტუღუშის დანიშვნას სჯობდა, მკვდარი დაესვენებინათ ციხეების უფროსად, ის უფრო მეტს გააკეთებდა პატიმრებისთვის

**დავით გაიხარაშვილი 2006 წელს ქურდობის ბრალდებით დააპატიმრეს, ციხის ე.წ. ბუნტისას სასიკვდილოდ სცემეს. პატიმრების დარბევას უშუალოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ბაჩო ახალაია და მისი ხელქვეითები ახორციელებდნენ. ციხის საავადმყოფოში ექიმებმა დავით გაიხარაშვილი საბოლოოდ დააინვალიდეს, დღეს ყოფილი პატიმარი ვერ გადაადგილდება და მისი ჯანმრთელობა უმძიმესია. ახლა მას ციხის ექიმთან, პროფესორ რამაზ აღლემაშვილთან სასამართლო დავა აქვს, მოითხოვს ფულად კომპენსაციას.**

**— ბატონო დავით, მართალია, თქვენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის ძალიან ძნელია იმის გახსენება, რაც განიცადეთ, წამების კვალი ნათლად გაჩნიათ, მაგრამ გთხოვთ, გვიამბოთ, რა მოხდა 2006 წლის 31 მარტს, როდესაც თქვენ დაგაპატიმრეს?**

— 2006 წლის მარტში დამაპატიმრეს. ჯერ პოლიციის სამმართველოში ვიყავი, მერე კაპეზეზე, ხოლო ბუნტის დღეს გადამიყვანეს ციხეში. ჯერ ბრალად წამიყენეს იარაღის უკანონოდ ტარება, შემდეგ ყაჩაღობა, ბოლოს მანქანის ქურდობა, რაც აბსურდი იყო. ჩემი მოწმეები და ადვოკატი ტარიელ ჩოჩიშვილი სასამართლო დარბაზიდან გააძევეს. არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა, დაზარალებული იძახდა, მშვენივრად ვიცი, ვინც მოიპარა ჩემი მანქანა, მაგრამ ეს ვინააო, ჩემზე ეკითხებოდა.

**— დაპატიმრებისას გცემეს?**

— რა თქმა უნდა, მცემეს, უნდოდათ, აღიარებითი ჩვენება მიმეცა, რასაც მე არ ვაძლეოდი. ისე დაიხურა ჩემი საქმე, ხელი არ მომიწერია მასზე.

**— რა ხდებოდა ციხეში გადაყვანის შემდეგ?**

— ძალიან აგრესიულად მექცეოდნენ, რაც მე ვერ ავიტანე, შელაპარაკებაც მომიხდა და წინააღმდეგობაც გავუწიე. ამის შემდეგ ჩამკეტეს კარანტინში, იმავე ღამეს ატყდა ბუნტი, 26 მარტი თენდებოდა, ღამის 4 საათზე ისმის ციხეში ხმაური... იქ თურმე ვიღაც პატიმარს აწამებდნენ და ისიც საშინელი ხმით ღრიალებდა და ითხოვდა შველას. საერთოდ, როდესაც ციხეში ან „რეზბალინცაზე" ვინმეს აწამებდნენ, სხვა პატიმრები სოლიდარობის ნიშნად ხმაურს ატეხავდნენ ხოლმე, ამჯერადაც ასე მოხდა. **პატიმრები მხოლოდ ხმაურობდნენ, კარი არ გაუტეხიათ, „კლუჩნიკებმა" თვითონ გააღეს ჩუმად კარი და გაიპარნენ, რათა ისე გამოჩენილიყო, თითქოს პატიმრებმა ბუნტი ავტეხეთ და კარი გავანგრიეთ. ახლა, როცა კარი გაიღო, პატიმრებს საკნებში რაღა გააჩერებდათ? პატიმრები დერეფანში გამოვიდნენ, საერთოდ, როგორც წესი, ციხის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს, ისროლოს მანამ, სანამ პატიმარი არ გამოცდება შენობას. აქ კი დერეფნებში გამოსულ პატიმრებს შენობაშივე აუტეხეს სროლა და უცბად მკვდარი პატიმრები მოცელილივით დაეცნენ.**

**— შეგიძლიათ გვითხრათ, რამდენი პატიმარი დახოცეს მაშინ?**

— ზუსტი ციფრი მხოლოდ ახალაიამ იცის. ბევრი დაიხოცა, მაგრამ სად გაიტანეს ცხედრები, ნამდვილად არ ვიცი.

**— მაშინ დახოცილი პატიმრის მშობლებმა და ახლობლებმა ხმა რატომ არ ამოიღეს?**

— ახლა რატომ არ ამოიღეს? გააუპატიურეს ბიჭები, მოკლეს... ორი დღე იყვირეს და გაჩერდნენ.

**— გცემეს?**

— როგორც მითხრეს, სპეცრაზმელები შემდგნენ წიხლით, ჩამარტყეს ხერხემალში და გონება დავკარგე. როცა გონს მოვედი, სასწრაფოს მანქანაში ვეგდე ცოცხალ-მკვდარი. გადამიყვანეს მეექვსე საპყრობილეში.

**— საავადმყოფოში რატომ არ გადაგიყვანეს?**

— ვინ გადამიყვანდა? ისევ დამაბრუნეს დერეფანში, ტკივილისგან ფეხზე ვერ ვდგებოდი, ორი ბიჭი მეხმარებოდა, როგორც კი ქვემოთ ჩამიყვანეს, იქ ბაჩო ახალაია დაგვხვდა თავისი ბიჭებით...

**— თავად ბაჩო ახალაია აწამებდა პატიმრებს? რა ნახეთ იქ?**

— მე იქ რაც ვნახე და ის, რასაც ბაჩო ახალაია აკეთებდა, წამებაზე უარესია, პირადად ბაჩო ახალაიამ მცემა, უფრო სწორად, მან ჯერ წიხლი ჩამარტყა და მერე მისი ბიჭები შემდგნენ. **ბაჩო პატიმრების ცემას ან იწყებდა, ან ამთავრებდა. ჯერ თვითონ ჩაარტყამდა წიხლს, მერე მისი ბიჭები აგრძელებდნენ ან, როცა ბიჭები მორჩებოდნენ ცემას, ის წიხლს დაუმატებდა.** ბაჩოს გარდა იყო ვინმე ხუჭუა, ის ბაჩოს მოადგილე იყო, თავისი სპეცნაზი ჰყავდა, პატიმრებს ლეწავდა და ამტვრევდა.

**— ახალაია პირადად ესწრებოდა პატიმრების წამებებს?**

— რა თქმა უნდა, თანაც ყოველთვის მაგარი მთვრალი შემოდიოდა პატიმრებთან.

**— გაგინებდათ?**

— ახალაია გვაგინებდა და ყველანაირ უწმაწურ სიტყვებს ამბობდა, გვაგინებდა დედაზე და ყველაფერზე, კონკრეტულად კი ამბობდა, „თქვენი დრო დამთავრდა, თქვენი დედა... ახლა ჩვენი დროაო...", მაგათი დრო რა არის, მე ვერ გავიგე.

> **«ბაჩო ახალაია პირადად იწყებდა პატიმრის ცემას, წიხლს ჩაგვარტყამდა და მერე მისი ბიჭები აგრძელებდნენ...»**

**— ისევ ბაჩო ახალაიაზე ჩაგეკითხებით, ის დროდადრო ატარებდა სადამსჯელო აქციებს თუ ყოველდღე?**

**— ბაჩო ახალია 3 თვე ციხიდან არ გამოსულა, თითქმის ყოველდღე ხდებოდა ცემა-ტყეპა, ერთი დღე არ გვასვენებდნენ, როგორც ხორცის საკეპი მანქანა ბრუნავს, ისე ამუშავებდნენ პატიმრებს...**

**— გაუპატიურების ფაქტები იყო?**

— ჩემს დროს არა, მაგრამ მერე დაიწყო მეექვსე დაწესებულებაში წამება, თუმცა სხვა კოლონიებში მაშინაც ხდებოდა.

**— ვინ მონაწილეობდა მასში?**

— ძირითადად, ახალაიას ხალხი იყო ჯალათები, მისი ბრძანებით მოქმედებდნენ. უმრავლესობას მეგრული გვარები ჰქონდა. **ერთი ჯალათი იყო გვარად მერაბიშვილი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა, ეს იყო უსაზიზღრესი კაცი, მას მეტისმეტი მოუვიდა და მერე მოაშორეს იქიდან.** თავში იმდენი მაქვს ნარტყამი, რომ ბევრი რამ აღარც მახსოვს...

**— „რეზბალნიცაზე" მოგაყვავი პატიმრები შეგყავდათ?**

— ნუ იტყვით, იქ ხდიდნენ მომაკვდავებს. დაავადებულ ადამიანს, მწვავე ტუბერკულოზიანს რომ ჯანმრთელთან განათავსებ, რა მოხდება, ხომ წარმოგიდგენიათ? იქ არც სათანადოდ მკურნალობენ პატიმრებს, არც სათანადოდ ეპყრობიან.

აი, მაგალითად, **დავით ასათიანი ექიმი კი არა, ჯალათია, ის ახლა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ზის, ასათიანი ჩამოყალიბებული მკვლელია, ახალაია და კალმახელიძე მასთან მონაგონია. არ ვიცი, დღემდე ამაზე ხმას რატომ არ იღებენ, ძალიან მიკვირს.**

**— როგორ გაგათავისუფლეს ციხიდან?**

— ექიმებმა იცოდნენ, რომ მაინც განწირული ვიყავი და მოვკვდებოდი, მაგრამ მანამდე, სანამ „რეზბალნიცაზე" გადამიყვანდნენ, მიხაილოვის საავადმყოფოში დამაწვინა დედაჩემმა. **ექიმმა, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან იყო შეკრული, საბოლოოდ დამაინვალიდა და დამღუპა. ამიტომ მიხაილოვის საავადმყოფოს ექიმ რამაზ აღლემაშვილისგან ვითხოვ კომპენსაციას ჩემი დაინვალიდებისთვის.**

**— რას მოითხოვთ მისგან?**

— რაც მე მეკუთვნის, ის დამიბრუნოს, ჯანმრთელობას ვგულისხმობ, თუ ვერ დამიბრუნებს, მაშინ გადამიხადოს და მე თავად დავიბრუნებ ჯანმრთელობას.

**— ამ საშინელი ფაქტებისა და ვიდეომასალის გამომზეურების შემდეგ კვლავ გრძელდება პატიმრების წამება?**

— უარესია. ახლა, **როგორც კი საპროტესტო მუხტი ჩაქრება, მაშინვე გაუარესდება ყველაფერი, ასჯერ მეტი მოხდება. მაქვს ინფორმაცია, რომ პატიმრებს ახლაც ძალიან ცუდ დღეში აგდებენ. ტუღუში არაფერს წარმოადგენს, გინდ ყოფილა ის და გინდ არა. რაც ტუღუში დაინიშნა, მას შემდეგ კიდევ ოცი პატიმარი სცემეს.** ახლა რომ ეუბნებიან სტუდენტებს, შედით და არჩევნებს ჩავატარებთო, ნეტავი ვისთვის ატარებენ არჩევნებს? ამბობენ ერთი კვირა ვაცადოთ ხელისუფლებასო, ერთი კვირა კი არა, შეიძლება ერთი წამი წყვეტდეს ადამიანის სიცოცხლეს. ახლახან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ისევ ნაცემი და გაუბედურებული არიან პატიმრები. **არც იმ საჩვენებლად დაპატიმრებულ ჯალათებს არ დასჯიან, ისინი რომ დასაჯონ, უარესს იტყვიან მაგათზე და ამიტომ არ სურთ ამის გამოაშკარავება.** არავის არ უნდა არჩევნები, ეს ყველაფერი ხალხის გადასარჩენად უნდა იყოს და ხალხს თუ გაწირავენ, მაშინ უარესს მიიღებენ....

> **«დავით ასათიანი ექიმი კი არა, ჯალათია, ის ახლა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ზის, ასათიანი ჩამოყალიბებული მკვლელია, ახალაია და კალმახელიძე მასთან მონაგონია»**

**— პატიმართა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი წამებაა?**

— სიკვდილიანობის მიზეზი უმეტეს შემთხვევაში წამებაა, ზოგი ამ არასათანადო მოპყრობის შედეგად ავადდება და კვდება. იცით, რამდენმა პატიმარმა ვერ გაუძლო წამებას და თავი მოიკლა? გადით და ნახეთ, უპატრონო სასაფლაოზე რამდენი პატიმარია დამარხული, ყველა მიცვალებული უნდა ამოითხაროს და ინახოს, ვის რა ორგანო აკლია.

**— დღეისათვის პატიმრების ახლობლებს კვლავ ეშინიათ?**

— **პატიმრების ახლობლებს კიდევ ეშინიათ და ვერ გავიგე, ახლა მაინც რისღა ეშინიათ? ისე არიან გაუბედურებული, გაუპატიურებული, კაცია თუ ქალი ველარ გაიგებ... ამაზე უარესი რაღა უნდა დაგვემართოს, შე დალოცვილო?..**

**— გიორგი ტუღუშის დანიშვნა პენიტენციალურ სისტემაში შეცვლის რაიმეს?**

— როგორ გითხრათ, გიორგი ტუღუში არც ღვინოა და არც წყალი, მე არ ვიცი, 500-გვერდიანი მოხსენება ჰქონდა თუ შიგ სვანური ლექსები ეწერა? ტუღუშის დანიშვნას სჯობდა, მკვდარი დაესვენებინათ ციხეების უფროსად, ის უფრო მეტს გააკეთებდა.

ესაუბრა **ეთერ ბალაძე**

„ის სისასტიკე, რაც ჩვენ ვნახეთ, ქართველებს არ ახასიათებს. ჩემი აზრით, ეს ამერიკელების „დამსახურებაა“! ეს ხომ ერი არაა! ესაა მთელი მსოფლიოდან მანდ შეგროვილი ნაგვის კონგლომერატი. მათ არ აქვთ ფესვები, ტრადიციები და ამიტომ ვერ იტანენ ძველ ერებს, მათ შორის, ჩვენც! ყველაფერს აკეთებენ, რომ მათსავით პრიმიტიულ დონემდე დაგვიყვანონ, ნახირად გვაქციონ! ამიტომაც ზრდიან სააკაშვილისნაირ მანქურთებს!“

451 გრადუსი ფარენგეიტით
www.geworld.net
...ქის №6, ტელ: 234-32-95

# მალხაზ შატბერაშვილი: ვინც ხმას მისცემს «ნაციონალურ მოძრაობას», ის საკუთარ შვილებს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს!

**დოსტოევსკი წერდა: „თუ საზოგადოებას სურს, შეამოწმოს თავისი ცივილიზაციის დონე, ციხეში შეიხედოს“.**

**მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა! ამჟამინდელმა დემოკრატიის ხარისხმა ჩვენ, 21-ე საუკუნის ქართველობას, საკუთარი „ცივილიზაციის დონის“ შემოწმება ძალზე გაგვიადვილა. დღეს ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის გასარკვევად სულაც აღარაა საჭირო რომელიღაც საპყრობილის კარის შეღება, სავსებით საკმარისია, იხილო ქვეყნის პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, „დამამშვიდებელი საშუალებებით“ დასიებული, ჩაშავებული სიფათი ან თვალი შეავლო აწ უკვე ყოფილი „პატიმრების მინისტრის“, ხათუნა კალმახელიძის, სილიკონით „გარემონტებულ“ ფიზიონომიას!**

**დღევანდელი ჩემი მოსაუბრე, ყოფილი პატიმარი, მალხაზ შატბერაშვილი, საინტერესო პიროვნებაა იმითაც, რომ ის მერვე საპყრობილემაც ვერ გატეხა.**

— ყველა პატიმარი ხვდება მერვე საპყრობილეში და მერე ხდება მათი გადანაწილება ზონებში. **გასამართლების შემდეგ ეტაპს ელოდებიან ზოგნი ერთ კვირას, ზოგნი კი წელიწადზე მეტხანს. პატიმრისთვის აქ ჯოჯოხეთი პირველი წუთებიდან იწყება.** ჯერ „შმონია“, როდესაც გიხევენ ფეხსაცმელს, კურტკას, მერე შეყავხარ ოთახში ანკეტის შესავსებად და თითების ანაბეჭდის დასატოვებლად. იქ ზის ვიღაც თვალებგადმოკარკლული ახალგაზრდა. ჯერ შენს ანკეტას ეცნობა და, თუ დაოჯახებული ხარ, გეკითხება, — სანამ აქ იჯდები, ვინ „იხმარს“ შენს ცოლსო. აი, ამას რომ ჰკითხავ დამწყვდეულ კაცს, არაა სადიზმი?! შემდეგ, სანამ კორპუსში აგიყვანენ, ჯოჯოხეთის მეორე წრე გელის — კარანტინი. **წარმოიდგინე 6-კაციანი კამერა, რომელშიც დამწყვდეულია 30-35 კაცი. აუტანელი სიცხეა, ოფლისგან ყველა კედელი სველია; ამდენი ადამიანის სუნთქვისგან დაორთქლილი ჭერიდან წყალი წვეთავს...**

მე აქ რვა დღე მაყურყუტეს!

მომდევნო „თავგადასავალი“ კორპუსში აყვანით იწყება. კორპუსებში სართულებია და ყოველ სართულს თავისი ოფიცერი ჰყავს. თითოეულ მათგან „პრიომკაზე“ გამოჰყავს თავისი პატიმრები, სახით აყენებენ კედელთან და თითო-თითოს იძახებენ. გამოძახებული ალყაშემორტყმულია „ვირებით“. ეკითხებიან რომელი მუხლით ხარ, პასუხობ და ამ დროს ჯერ ერთი წამოგარტყამს, მერე — მეორე... ამით გაჩვენებენ და **გაჩვევენ, რომ, რასაც მოისურვებენ, იმას გაგიკეთებენ... არ აქვს მნიშვნელობა, კარგად იქცევი თუ ცუდად, მთავარია, რა ხასიათზე იქნება ოფიცერი.**

ის კი მუდამ მიზეზს ეძებს: კამერიდან გამოვიდა ხმაური, ვიღაცა შეეპასუხა — შეცვივდებიან და ყველას სცემენ. მე, ვთქვათ, მოუსვენარი ვარ, რაღაცას ვაშავებ, კარგი, მცემე, მაგრამ რა შუაშია ის მოხუცი კაცი, რომელიც ჩემს კამერაშია; რატომ სცემ მას უმოწყალოდ?!

> **«ნორმალური კაცი მანდ დიდხანს ვერ გაძლებს, რა ხელფასიც არ უნდა უხადონ. როგორია, ყოველდღე უყურო ადამიანის წამებას?!»**

## „პალაჩები“

**ჯალათად რომ იმუშავო, სამი კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილო: იყო „ნაციონალური“ პარტიის აქტიური წევრი, ლონიერი და პათოლოგიური დეგენერატი; აგრეთვე, არ უნდა გქონდეს ღირსება და ნამუსი!** ციხეში არაფერი იმალება. ყველამ ვიცოდით, რომელი პატიმარი უნდა ეცემათ. ეკზეკუციას ატარებდნენ კორპუსის ბოლოში მდებარე საშხაპეებში. მართალია, იქ სისხლის გუბეებს არ გვახვედრებდნენ, როცა დასაბანად მივყავდით, მაგრამ სისხლს ბოლომდე შეგნებულად არ რეცხავდნენ, რათა გვენახა...

არც ერთი დირექტორი არ ემორჩილებოდა საერთაშორისო კანონით დადგენილ ნორმებს. ყველა თავისი ხუშტურით მოდიოდა; **აბა, კარგი ბიჭი ყოფილიყავი და უკმაყოფილება გამოგეთქვა, — გაგაცამტვერებდნენ!** უნდა გითხრა, რომ **ამ კუნთმაგარმა სადისტებმა ცემაც არ იციან. შეიძლება ადამიანს ისე დაარტყან, რომ მოკლან! ასე რამდენი შემოაკვდათ!**

## „ცოცხი“

უკვე გითხარი, რომ ციხეში არაფერი იმალება! რა თქმა უნდა, მსმენია მაგ საზიზღრობაზე, თუმცა არ მჯეროდა... შეიძლება მჯეროდა კიდეც, მაგრამ ვერ წარმომედგინა! აი, დავუშვათ, გაიგე ამბავი, რომ ვეფხვმა თავისი მომთვინიერებელი დაგლიჯა. ეს ერთია, მაგრამ ამ საზარელ სცენას პირადად რომ ნახავ, ეს სულ სხვაა! ასევე დამემართა, როდესაც ეგ კადრები ვნახე. კინაღამ გონება დავკარგე! **ამ საშინელებას ნორმალური ფსიქიკის ადამიანი ვერ ჩაიდენს და ვერც იკადრებს, რადგან მსხვერპლზე უფრო შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს.** დავუშვათ, ნორმალურ ადამიანს გონება დაუბნელდა და ეგეთი რამ ჩაიდინა, მერე რომ გაითავისებს, ალბათ, ან თავს მოიკლავს, ან გაგიჟდება! **ის სისასტიკე, რაც ჩვენ ვნახეთ, ქართველებს არ ახასიათებს. ჩემი აზრით, ეს ამერიკელების „დამსახურებაა“!**

> **«ამ საშინელებას ნორმალური ფსიქიკის ადამიანი ვერ ჩაიდენს და ვერც იკადრებს, რადგან მსხვერპლზე უფრო შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს!»**

ეს ხომ ერი არაა! ესაა მთელი მსოფლიოდან მანდ შეგროვილი ნაგვის კონგლომერატი. მათ არ აქვთ ფესვები, ტრადიციები და ამიტომ ვერ იტანენ ძველ ერებს, მათ შორის, ჩვენც! ყველაფერს აკეთებენ, რომ მათსავით პრიმიტიულ დონემდე დაგვიყვანონ, ნახირად გვაქციონ! ამიტომაც ზრდიან სააკაშვილისნაირ მანქურთებს! მე ვცხოვრობდი ამერიკაში და ვაკვირდებოდი მის მოქალაქეებს — მათ უმრავლესობას დაკარგული აქვს ინდივიდუალობა და ჩამოყალიბებული ზომბია!

## „თვითმკვლელები“

**ციხეში თავს ვერ მოიკლავ! „ადინოჩკაში“ არავინაა, „შმონები“ ყოველდღეა. „გაჭრა-გამოჭრაზე“ ლაპარაკიც ზედმეტია. თავის ჩამოხრჩობის შესაძლებლობა ნულს უდრის, რადგან თოკის შოვნის ვარიანტი არ არსებობს.** ერთი კამერიდან მეორეში სიგარეტი ძაფით რომ ჩაუშვა და ის გიპოვონ, მოგკლავენ! ხოლო ორივე კამერას შავ დღეს დააყრიან! ვერც პატიმარი პატიმარს მოაკვლევინებს თავს. **ციხის ადმინისტრაცია „თვითმკვლელს“ უწოდებს ცემაში მოკლულ ადამიანს. პირადად ვნახე ასეთი „თვითმკვლელი“, ვითომ თავი რომ ჩამოიხრჩო.** ერთი რამის თქმა შემიძლია, ჩამოხრჩობილს სხვანაირი სახე აქვს...

> **«ციხის ადმინისტრაცია «თვითმკვლელს» უწოდებს ცემაში მოკლულ ადამიანს. პირადად ვნახე ასეთი «თვითმკვლელი», ვითომ თავი რომ ჩამოიხრჩო»**

## „არ ვიცოდით!“

**სისულელეა! რას ჰქვია არ იცოდნენ! ზღაპრებს ნუ ყვებიან!** კალმახელიძე ზონაში გვესტუმრა. მაშინ ვიყავით „რეზბალნიცის“ შენობაში. 250 კაცზე, ჟარგონს ვიხმარ, ერთი „აჩკო“ (ტუალეტი) გვქონდა. იქიდან დილით რომ გამოდიოდი, საღამოსთვის რიგს ახლიდან იკავებდი! ჰოდა, **მოვიდა კალმახელიძე და იცი, ტელევიზიებს თავი სად გადააღებინა? დაბლა ოთახში, რომლის მხოლოდ ერთი კედელი იყო გათეთრებული და იქვე სტომატოლოგიური „კრესლო“ იდგა. აი, ასეთი ფონით „დაიმშვენა“ თავი მინისტრმა!** პატიმრების სანახავად იგი ზემოთ არ ამოსულა, რომ გაეგო, თუ რა დღეში ვიყავით! მერე ერთმა ჟურნალისტმა უთხრა, პატიმარი მოგიკვდათო. მან კი განუცხადა: ამ თემაზე არ მინდა საუბარიო. რას ჰქვია „არ მინდა საუბარი“?! **ის კაცი აჩვენეს, უფრო ზუსტად, კაცი არ იყო — ჩონჩხი იდო, ფაშისტების ნაწამებს უფრო ჰგავდა, ვიდრე „გულის შეტევით“ გარდაცვლილს!**

**ყველამ, სააკაშვილიდან დაწყებული „კლუჩნიკით“ დამთავრებული, კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა საპყრობილეებში! აბა, როცა ციხის დირექტორად ნიშნავ ნაკაცარს, ზედმეტსახელად „ქილერას“, რას უნდა ელოდო?! მაგ მკვლელის ნება-სურვილის ანაბარად ტოვებ პატიმრებს?!**

ახლა რომ ლაპარაკობენ, გამოვიძიებთო, რა გამოძიებაა საჭირო?! ვინც მაგ ციხეში ვიჯექით და ვინც ახლა ზის, დაგვიყენეთ წინ ეს ტიპები. ყველას სახეზე ვიცნობთ, ვინ სცემდა და ვინ — არა, ვინ სადისტია, ვინ — ნორმალური. თუმცა „ნორმალური“ იქ დიდი იშვიათობაა. **ნორმალური კაცი მანდ დიდხანს ვერ გაძლებს, რა ხელფასიც არ უნდა უხადონ. როგორია, ყოველდღე უყურო ადამიანის წამებას?!**

გარემო უთუოდ მოქმედებს ადამიანზე. თუ გაქვს მიდრეკილება სადისტობისკენ, დარჩები, თუ ვერ გაუძლებ, — წამოხვალ!

მერვე საპყრობილეში პატიმრებს ყოველდღე მორალურად ანგრევენ! მე მინდა მივმართო პატიმრების მშობლებსა და ახლობლებს: **1 ოქტომბერს არ შემოხაზოთ №5! ამით საკუთარ შვილებს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანთ. თუ სააკაშვილი დარჩება, ყველა, ახლა ვითომ დაპატიმრებული ჯალათი, გახელებული დაბრუნდება ციხეში!**

ჩაიწერა
**გიორგი კორძაძემ**

> **«სისულელეა! რას ჰქვია არ იცოდნენ! ზღაპრებს ნუ ყვებიან! ყველამ, სააკაშვილიდან დაწყებული «კლუჩნიკით» დამთავრებული, კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა საპყრობილეებში! აბა, როცა ციხის დირექტორად ნიშნავ ნაკაცარს, ზედმეტსახელად «ქილერას», რას უნდა ელოდო?! მაგ მკვლელის ნება-სურვილის ანაბარად ტოვებ პატიმრებს?!»**

მსოფლიო

## ეკვადორი თანახმაა, ჯულიან ასანჯი შვეიცარიულმა მხარემ დაკითხოს

**შვეიცარიული მხარის თანხმობის შემთხვევაში, ეკვადორი მზადაა, „ვიკილიქსის“ დამფუძნებელი ჯულიან ასანჯი მისი დაცვის ქვეშ შვეიცარიულ მხარეს დასაკითხად გადასცეს.** ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, დაკითხვა, შესაძლოა, შვეიცარიაში ეკვადორის დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში გაიმართოს ან თუნდაც ლონდონში არსებულ შვეიცარიის საელჩოში, თუ ბრიტანეთი უფლებას მისცემს ეკვადორს, ასანჯი შენობიდან გაიყვანოს. ამ დროისთვის ჯულიან ასანჯი ლონდონში ეკვადორის საელჩოს შენობაში რჩება.



## კომპასი-ფეხსაცმელი

**ლონდონის ერთ-ერთ მაღაზიაში იყიდება ფეხსაცმელი, რომელიც პატრონს სახლის გზას უჩვენებს.** მარცხენა ფეხსაცმელი სინათლის ინდიკატორებითაა აღჭურვილი (იგი პატრონს სივრცეში ორიენტირებაში ეხმარება). მარჯვენა ფეხსაცმელი კი „თბილა/ცივა“-ს პრინციპით ადამიანს დანიშნულების ადგილიდან დაშორებას კარნახობს. ფეხსაცმელში GPS ნავიგატორია ჩამონტაჟებული. USB კაბელით მისი კომპიუტერთან შეერთება, დანიშნულების ადგილის კოორდინატების შეტანა და მისი დატენვაა შესაძლებელი.

დღევანდელი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ყველაფერი იცოდა — პატიმრებს მათი განკარგულებით აწამებდნენ!

გამოსვლის დღიდან გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ სისტემატიურად აშუქებდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებისადმი არაჰუმანური მოპყრობის, წამების თუ გარდაცვალების ფაქტებს, რომელთა შესახებ მსჯავრდებულთა ადვოკატები და მათი ოჯახის წევრები გვაწვდიდნენ ინფორმაციებს. სხვადასხვა გზით მოპოვებული მასალებით წიგნიც კი გამოვეცით „უუფლებობის ზონა“, რომელიც პირუთვნელად ამხელდა საპატიმროებში გამეფებულ უსამართლობას.
აქვე გთავაზობთ მცირე კოლაჟს, თუ რას წერდა „საქართველო და მსოფლიო“ 2009-2012 წლების განმავლობაში.

## ნულოვანი ტოლერანტობა გრძელდება, ციხეში შესული ადამიანი განწირულია!

**უჩა ნანუაშვილი:**

— ცოტა ხნის წინათ №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებული **ვალერი ჯაფარიძე** გარდაიცვალა. მის უფლებებს „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ იცავდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. ამის მიუხედავად, მას არანაირი სამედიცინო დახმარება არ გაუწიეს, რაც საბოლოოდ ვალერი ჯაფარიძის გარდაცვალების მიზეზი გახდა. ადვოკატმა არაერთხელ აცნობა სასჯელაღსრულების დაწესებულებას პატიმრის მდგომარეობა, მაგრამ ამას მათი მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. სამწუხაროდ, ეს ფაქტი არ არის პირველი და, ალბათ, არც უკანასკნელი. **ციხის ადმინისტრაციის უყურადღებობითა და გულგრილობით ასეულობით ამგვარი მძიმე შემთხვევა ხდება. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი სახელმწიფო სისტემის პოლიტიკის შედეგია. ნულოვანი ტოლერანტობა კვლავ გრძელდება. ციხეში შესული ადამიანი, ფაქტობრივად, უკვე განწირულია. პატიმარი ერთგვარი მსხვერპლია და არავინ ფიქრობს მის გამოსწორებასა თუ შემდგომ რეაბილიტაციაზე, რადგან ეს საკითხი სახელმწიფოსთვის დღეს პრიორიტეტული არ არის.**



## პატიმრებს წყლით სავსე პოლიეთილენის ბოთლით სცემენ

**გიორგი თევზაძე:**

— პატიმარ ირაკლი მდინარაძის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, ექსპერტიზას ამის შესახებ რაიმე დასკვნა არ გაუკეთებია. მდინარაძე 260-ე მუხლის მეორე ნაწილით იხდიდა სასჯელს. მას 10 წელი ჰქონდა მისჯილი. აქედან 4 წელი უკვე მოხდილი ჰქონდა. გარდაცვლილის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ **მდინარაძეს ყელის არეში აღენიშნებოდა დაზიანების კვალი. პატიმრის ახლობლებს ეჭვი აქვთ, რომ იგი ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა. ოჯახს პატიმრის გარდაცვალება ადმინისტრაციამ კი არ შეატყობინა, არამედ პატიმრებმა.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტში პატიმართა მიმართ მიდგომა არაადეკვატურია, ადგილი აქვს პატიმრების ცემის, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს. პატიმრებს წყლით სავსე პოლიეთილენის ბოთლით სცემენ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ჯერჯერობით დუმს და არავითარ კომენტარს არ აკეთებს. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი პატიმარი ილუპება გაურკვეველ ვითარებაში. **დიდი ხანია, უფლებადამცველი ორგანიზაციები ციხეებში შესვლისა და მონიტორინგის უფლებას ვითხოვთ, მაგრამ ამას დღემდე ვერ მივაღწიეთ, ვინაიდან ჩაკეტილი ციხის გახსნა არ სურს ხელისუფლებას, არ უნდა, საზოგადოებამდე მივიდეს ციხეებში არსებული მძიმე მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია.** გარდაცვლილის ოჯახის წევრების თქმით, ირაკლი მდინარაძე სრულიად ჯანმრთელი იყო. სამწუხაროდ, ბევრი ფაქტი გვაქვს ისეთი, რომელიც პატიმრების გაუგებარ მდგომარეობაში გარდაცვალებას უკავშირდება.



## პატიმრებს ემუქრებოდნენ გაუპატიურებით და ისეთი რამეებით, რომ ადამიანი შეიძლება შეიშალოს

**ნანა კაკაბაძე:**

— საერთოდ, რაც ბიძინა ივანიშვილი მოვიდა პოლიტიკაში, პატიმართა ცხოვრება გახდა აუტანელი. პირადად ჩემთვის ცნობილია არაადამიანური მოპყრობის რამდენიმე ფაქტი. მაგალითად, ამასწინათ 26 მაისს ქუთაისში დაკავებული ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი, რომელმაც ხუთი დღე გაატარა ციხეში, მიყვებოდა, რომ იქ პირობები იყო გაუსაძლისი. რაც შეეხება მოპყრობას ადმინისტრაციის მხრიდან, ამაზე საერთოდ ლაპარაკი არ მაქვს, ისეთი საშინელებები მიამბეს. წარმოიდგინეთ, **საკვები მიჰქონდათ დღეში ერთხელ და, სანამ საკანში შეიტანდნენ, კონტროლიორები პატიმრის თვალწინ რიგრიგობით აფურთხებდნენ შიგ. რამე უკმაყოფილება რომ გამოეთქვათ, ალბათ, ცემით ტყავს გააძრობდნენ, და ჰყავდათ ეს ბავშვები ასე, სადისტურად, გამომწყვდეული.**

გარდა ამისა, როგორც ყოველთვის, ხდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, **პატიმრებს ემუქრებოდნენ გაუპატიურებით და ისეთი რამეებით, რომ ადამიანი შეიძლება შეიშალოს.** აი, ასეთი საშინელებები ტრიალებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და დღითიდღე ეს ხდება სულ უფრო მასშტაბური, სულ უფრო მწვავე ხასიათის, იმიტომ, რომ რეჟიმი, რომელიც ყველანაირად ცდილობს, ძალაუფლება შეინარჩუნოს, მაგრამ ამავე დროს ხედავს, რომ საზოგადოებაში არანაირი დასაყრდენი არ აქვს, არის კატასტროფულად მზარდი და შეუვალი.

## ციხე გადაიქცა ადგილად, სადაც მიმდინარეობს ქართველი ერის ფარული გენოციდი

**ნანა კაკაბაძე:**

— გასულ კვირას გლდანის №8 დაწესებულებაში პატიმარი **გეგიკ ელიბეგოვი** გარდაიცვალა.

არაფერი განსხვავებული და განსაკუთრებული ამ შემთხვევაში არ მომხდარა, სამწუხაროდ, ჩვენს სასჯელაღსრულების სისტემაში ასეთი შემთხვევები უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და, ფაქტობრივად, არავის უკვირს, როცა მსჯავრდებული კვდება, მისი სიკვდილის მიზეზი კი გაურკვეველია. მეტიც, ჩვენ დავინტერესდით, რა იყო პატიმართა გარდაცვალების მიზეზი. აღმოჩნდა, რომ მარტო ერთი კვირის განმავლობაში ოთხი ადამიანი გამოასვენეს საქართველოს ციხეებიდან. ჩვენისთანა მცირერიცხოვანი მოსახლეობისთვის ეს არის იმდენად მაღალი, კატასტროფული მაჩვენებელი, რომ **ხელისუფლება ახლა, წესით, 24-საათიან რეჟიმში უნდა მუშაობდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამის ნაცვლად სასჯელაღსრულების სამინისტრო თითოეულ ფაქტზე, თითოეულ შემთხვევაზე მაქსიმალურად ცდილობს, შექმნას ინფორმაციული ვაკუუმი, რათა სიმართლე არ მივიდეს ფართო საზოგადოებამდე; ხალხმა რეალურად არ იცის, რა ხდება დღეს საპყრობილეებში; ციხე, ფაქტობრივად, გადაქცეულია ადგილად, სადაც მიმდინარეობს ქართველი ერის ფარული გენოციდი...**

18 მოქმედი ციხეა დღეს საქართველოში და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ არც ერთ მათგანში საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული სტანდარტები დაცული არ არის. ყველგან ერთი და იგივე მდგომარეობაა — გაუსაძლისი პირობები, უჰაერობა, უხარისხო საკვები, რომელსაც საერთოდ არ ამოწმებენ, გადატვირთულობა, სამედიცინო მომსახურების არაეფექტიანობა და ა. შ. ამასთან, **ციხის ადმინისტრაცია მსჯავრდებულებს ეპყრობა ისე, რომ პატიმართა აბსოლუტური უმრავლესობა განადგურებულია მორალურად და ფსიქოლოგიურად.** ამ ხალხს უკვე დაკარგული აქვს ყველაფრის რწმენა, ბევრს აღარც კი უნდა იქიდან ცოცხლად გამოსვლა, ისეთი უბედურებები დამართეს...

**— გეგიკ ელიბეგოვის სიკვდილის მიზეზად სასჯელაღსრულების სამინისტრომ ინფარქტი დაასახელა. რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ ეს დიაგნოზი?**

— სასჯელაღსრულების სამინისტრო, როგორც სჩვევია ხოლმე ქალბატონი კალმახელიძის უწყებას, ალბათ, არც გაავრცელებდა ამ განცხადებას და საერთოდ გაასაიდუმლოებდა პატიმრის გარდაცვალებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს, უბრალოდ, არ გამოდიოდა, ვინაიდან მსჯავრდებულის ძმა არის „ქართული ოცნების“ წევრი, ანუ ფაქტი ადრე თუ გვიან მაინც გახდებოდა ცნობილი და ამათ დაასწრეს. რაც შეეხება გარდაცვალების მიზეზს, დარწმუნებული ვარ, არანაირი გულის შეტევა მას არ ჰქონია. ეს არის სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ შეთხზული ზღაპარი, მაგრამ,



ასეც რომ ყოფილიყო, დამნაშავე მაინც არის ციხის ადმინისტრაცია; **როცა მსჯავრდებულს აქვს ჯანმრთელობის ასეთი სერიოზული პრობლემა, ადმინისტრაცია ელემენტარულად ვალდებულია, იზრუნოს იმაზე, რომ ადამიანს მკურნალობა ჩაუტარდეს დროულად.** დღეს არა თუ მკურნალობის საშუალება არაა ციხეებში, ჯანმრთელი რომ შედის მსჯავრდებული საკანში, იქიდან გამოსულს უკვე ათასი დაავადება და ინფექცია აქვს, თუ საერთოდ გამოაღწია ცოცხალმა...

ტულუშის მოსვლით ხელისუფლებამ ფაქტობრივად დაისვენა, იმიტომ, რომ ახლა სააკაშვილის რეჟიმმა იცის, რაც უნდა მოხდეს საპყრობილეებში, თუნდაც ყოველდღიურად ათობით და ასობით პატიმარი აწამონ, არსად ეს ამბავი არ გაჟონავს. მაქსიმუმ, რაც შეიძლება ომბუდსმენმა გააკეთოს, არის ის, რომ დაწერს დასკვნას და წაიკითხავს პარლამენტში. იქნება კამათი, ვითომ დახოცავენ ერთმანეთს სიტყვიერად და მორჩა. საქმით ის ხელისუფლებას პრობლემებს არ შეუქმნის...

## ერთ-ერთ პატიმარს საკუთარი ხელით გაათხრევინეს საფლავი, აქ უნდა დაგმარხოთო

**ლალი აფციაური:**

— ის, რომ უფლებადამცველებს კონკრეტიკა აკლიათ, ძირითადად ორი მიზეზითაა გამოწვეული: ერთი იმით, რომ მას შემდეგ, რაც სააკაშვილის რეჟიმი დამყარდა, ციხეებში რაიმე მონიტორინგის ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელია; და მეორე იმით, რომ თვითონ მსჯავრდებულები არ საუბრობენ ფაქტებზე. თუმცა, ამის მიუხედავად, უფლებადამცველების მხრიდან კანონდარღვევის არგახმაურებას, ცხადია, გამართლება არ აქვს. პირიქით, ამით ისინი ერთგვარ სასათბურე პირობებსაც უქმნიან არსებულ რეჟიმს.

იმის მიუხედავად, რომ არანაირი კონტროლის საშუალება არ გვაქვს დღესდღეობით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, იქიდან მაინც უამრავი ინფორმაცია გამოდის.

ციხის კედლები უკვე ველარ უძლებს იმ საშინელებას, რომელიც იქ ტრიალებს. მაგალითად, აქციებამდე რამდენიმე დღით ადრე, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ჩაატარა, **პრესა და რადიო აკრძალეს საკნებში, ასევე გათიშეს ტელეფონები და პატიმრებს ოჯახთან არ აკავშირებენ. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის იმ ფორმებზე, რომლებიც ხათუნა კალმახელიძის მინისტრობის დროს დამკვიდრდა, არაფერს ვამბობ, მსჯავრდებულებს ისეთ რაღაცებს უკეთებდნენ, რომ ბევრი უკვე ფსიქიურადაა დაავადებული. ერთ-ერთ პატიმარს საკუთარი ხელით გაათხრევინეს საფლავი, აქ უნდა დაგმარხოთო. მერე ეუბნებიან, რა აზრი აქვს შენს ცხოვრებას, აგერ იარაღი და თავი მოიკალიო.** ერთი სიტყვით, ხდება რაღაც საშინელება, გაუგონარი ფაქტები, რაც, არა თუ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, საერთოდ არც ერთ ეპოქასა და პერიოდში არ მომხდარა.





## 2009-2012 წლები: ამონარიდები გაზეთ «საქართველოს და მსოფლიოს» პუბლიკაციებიდან

# ამის შესახებ «საქართველო და მსოფლიო» ყოველ ნომერში სისტემატურად წერდა!

დექავე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პატიმარი პეტრე ოვანოვი: იქ მყოფმა პიროვნებებმა არაადამიანური ცემის შემდეგ «დუბინკით» გამაუპატიურეს



საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების ცემისა თუ გარდაცვალების ფაქტებზე უფლებადამცველები შესაბამის უწყებებს რეაგირებას გამუდმებით სთხოვენ, მაგრამ ვითარება ამ დრომდე უცვლელია. მეტიც, პატიმარ პეტრე ოვანოვის წერილში აღწერილი შემთხვევა ყოველგვარი სისასტიკის ზღვარს აჭარბებს. მსჯავრდებული ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობას ცემაში, წამებასა და გაუპატიურებაში ადანაშაულებს და კონკრეტული პირების ვინაობასაც ასახელებს. როგორც პატიმარი წერს, „ქსნის №15 დახურული ტიპის დაწესებულების თანამშრომლები აწარმოებდნენ საღამოს შემოვლას, რა დროსაც მე, პეტრე ოვანოვს, მითხრეს, რომ უნდა გავყოლოდი მათ ადმინისტრაციის შენობაში. იქ მისვლისთანავე დაიწყეს ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდეგ კი მცემეს, რაც იშვიათი არ არის და ხშირად ხდება პატიმრების მიმართ. თუმცა **ფაქტი, რომელიც ჩემ მიმართ ჩაიდინეს, არანაირი ადამიანური ღირსების საზღვრებში არ თავსდება, კერძოდ: იქ მყოფმა პიროვნებებმა ამ არაადამიანური ცემის შემდეგ „დუბინკით“ გამაუპატიურეს და თან დამემუქრნენ, თუ ამ ამბავს გავახმაურებდი, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა და ვეღარ მიშველიდა ვეღარავინ“**, — აღნიშნავს პატიმარი ციხიდან გამოგზავნილ წერილში.

„საქართველო და მსოფლიოს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ წევრი, მსჯავრდებულ პეტრე ოვანოვის ადვოკატი *ლადო მაჭარაშვილი* ესაუბრება.

— პეტრე ოვანოვს აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, რის გამოც ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ითხოვდა, შეემოწმებინა ექიმს და მისთვის შესაბამისი მკურნალობა ჩაეტარებინათ. მას მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელ მედიკამენტებს აძლევდნენ... ამიტომ მინისტრს მისწერა, რომ, მიუხედავად არაერთგზის მიმართვისა, დაწესებულების ხელმძღვანელობა ყურადღებას არ მაქცევსო. ამ საჩივრების გამო, დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის ის მიუღებელი პირი გახდა. პეტრე ოვანოვს აფრთხილებდნენ, თუ არ გაჩუმდებოდა, ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

მსჯავრდებულის ამჟამინდელი მდგომარეობა ჩემთვის უცნობია, ვინაიდან მას შემდეგ, რაც პეტრე ოვანოვის თხოვნით გავმართეთ ბრიფინგი და ციხეში მომხდარი შემთხვევა გავახმაურეთ, მან დამირეკა და მითხრა, რომ, ჩვენი შეთანხმების მიუხედავად, გავჩერებულიყავი. გამიჩნდა ეჭვი, რომ, შესაძლოა, მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ. ამას გარდა, ჩემს ეჭვებს ამყარებს რამდენიმე ფაქტი და რატომ:

***ჯერ ერთი***, როდესაც პეტრე ოვანოვს შევხვდი და ვისაუბრეთ, დამავიწყდა, მისთვის ჩემი ტელეფონის ნომერი დამეტოვებინა, რათა საჭიროების შემთხვევაში, როგორც მის ადვოკატს, დამკავშირებოდა. თუმცა, ამის მიუხედავად, მან დამირეკა. ანუ, გამოდის, რომ ციხეში ვიღაცამ მისცა ჩემი ტელეფონის ნომერი და დაარეკინა. **მეორე მნიშვნელოვანი ფაქტია** ის, რომ პატიმარი მირეკავდა ერთი საათის განმავლობაში (ვინაიდან მე სასამართლო პროცესზე ვიმყოფებოდი, ტელეფონს ვერ ვუპასუხე). არადა, როგორც წესი, დახურული ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულს მაქსიმუმ 5 წუთით აძლევენ ტელეფონზე დარეკვის უფლებას. წარმოიდგინეთ მსჯავრდებული, რომელიც ერთი საათის განმავლობაში დგას და ელოდება, როდის უპასუხებენ მის ზარს, ციხის პირობებში ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. **მესამე:** ვერ დავადასტურებ, რომ ტელეფონით მართლაც პეტრე ოვანოვს ველაპარაკე. არ არის გამორიცხული, მისი სახელით სხვა პირი დამკავშირებოდა და, ვინაიდან ოვანოვი მხოლოდ ერთხელ ვნახე, მისი ხმის იდენტიფიკაციას ვერ მოვახდენდი.

ამას გარდა, ჩვენ ვისაუბრეთ და პეტრე ოვანოვმა კარგად იცოდა, რომ ამ ამბის გახმაურების შემდეგ შესაძლო იყო მასზე ზეწოლის განხორციელება, მაგრამ განაცხადა, რომ ყველაფრისთვის მზად იყო და ბოლომდე იბრძოლებდა.

— **„ძალიან გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და ყურადღება ჩემ მიმართ, რათა რაიმე იმედი და გარანტია მქონდეს ამ პიროვნებებისგან დასაცავად. მუქარის ასრულება ამათთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, აქ არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რაც ამათ შეაჩერებს და დამიცავს. მოგმართავთ თხოვნით, რომ ეს ამბავი ეცნობოს ადამიანის უფლებების დაცვის ყველა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს“, — წერს ოვანოვი ციხიდან გამოგზავნილ წერილში. როგორც მისი ადვოკატი, რა ბერკეტებს ფლობთ ამ ეტაპზე პატიმრის დასახმარებლად?**

— სანამ პეტრე ოვანოვი დამირეკავდა და მეტყოდა, რომ გავჩერებულიყავი, მე უკვე პროკურატურაშიც მქონდა საჩივარი გაგზავნილი და მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას ვითხოვ. ხათუნა კალმახელიძის სახელზეც მაქვს გაგზავნილი საჩივარი. ამას გარდა, საქმე გაგზავნილი მაქვს ყველა დიპლომატიური კორპუსისთვის და სახალხო დამცველიც ჩართულია ამ საქმეში. აღნიშნული ორგანოები ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ დაიწყონ ფაქტის გამოძიება.

უახლოეს დღეებში ვაპირებ პატიმარ პეტრე ოვანოვის ნახვას და, თუ მას სურვილი ექნება, დავეხმარები, მაგრამ, თუ მე, როგორც ადვოკატს, აცილება დამახვედრეს, მისი ნახვის უფლება აღარ მექნება და არ არის გამორიცხული, პეტრე ოვანოვი აიძულონ, ასე მოიქცეს.

— **შოთა თოლორდავა, ლევან ლეჟავა, გიორგი ფარჯანაძე, დიმა ჩხეიძე... მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი პეტრე ოვანოვი თავის წერილში ამ ადამიანებს პირდაპირ სდებს ბრალს, რა რეაგირება მოჰყვა მის წერილს თქვენ მიერ ჩამოთვლილი დაწესებულებებიდან ან ციხის ადმინისტრაციის მხრიდან?**

— არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, გარდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტროს განცხადებისა. „ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტი სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებით შეგნებულად ავრცელებს ცრუ ინფორმაციას საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, რომელიც შეურაცხყოფს როგორც პენიტენციალური სისტემის მოხელეებს, ასევე ბრალდებულებს და მსჯავრდებულებს“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. თუმცა ალოგიკურია სამინისტროს ეს განცხადება, ვინაიდან ჩვენ არ ვართ პოლიტიკური სუბიექტი, „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ არასამთავრობო ორგანიზაციაა და, ამას გარდა, მე ადვოკატი ვარ, ანუ არანაირი კავშირი არ გვაქვს პოლიტიკასთან. ამის მიუხედავად, სამინისტრო სპეციალურად ცდილობს, ეს შემთხვევა პოლიტიკას დაუკავშიროს. ამას გარდა, სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, თუ გაუპატიურების შემთხვევა ამა წლის 24 თებერვალს მოხდა, რამდენიმე თვის დაგვიანებით რატომ გახდა ჩვენთვის ცნობილიო. არადა, წერილი მხოლოდ იმიტომ მოვიდა ჩვენამდე დაგვიანებით, რომ ოვანოვმა მისი ციხიდან გამოგზავნა ვერ მოახერხა, ვერავის ანდო, რადგან აღნიშნული წერილი რომ ციხის ადმინისტრაციას ჩავარდნოდა ხელში, ხომ წარმოგიდგენიათ, პატიმარი რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მსჯავრდებული გათავისუფლდა, მან მოახერხა და გამოატანა წერილი. პეტრე ოვანოვი აცხადებს, რომ ის შეძლებს, დაამტკიცოს, რომ გააუპატიურეს. ასე რომ, კალმახელიძის განცხადება სიცრუეა.

— **რას ყვებიან პატიმრები, წამების რა მეთოდებს მიმართავენ ციხის თანამშრომლები?**

— გაუპატიურების ფაქტები, დარწმუნებული ვარ, ბევრია, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, პატიმრებს არ სურთ, ინფორმაცია საჯარო გახდეს.

# გესტაპოს მეთოდები — ქართულ საპატიმროში

**„ყოველ დილით, შემოწმებისას, გაშიშვლებას გვაიძულებენ, შემდეგ კი შიშვლებს შეუბრალებლად გვცემენ, სანამ არ მობეზრდებათ. ხელებდაწყობილ მდგომარეობაში რამდენიმე საათს გვაჩერებენ და, თუ რომელიმე დავიღლებით, ყველას კოლექტიურად გვსჯიან და „ინბოქსში“ გვიშვებენ, რომელიც 3 კვმ-ია, საწოლიც კი არ არის და ძირსაც რომ არ წამოვწვეთ, ცივ წყალს გვისხამენ“**, — ასე ახასიათებს ქუთაისის ნომერ მეორე საპატიმრო დაწესებულებას სახალხო დამცველის, გიორგი ტუღუშის, ანგარიშში ერთ-ერთი პატიმარი.

რა მდგომარეობაა ქუთაისის ციხეში? მართლა აშიშვლებენ ადამიანებს? ხორციელდება პატიმრებზე სექსუალური ძალადობა? ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის ოფისმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონიტორინგი განახორციელა აღნიშნულ საპატიმროზე.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებულია 1464 პატიმარი. პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ თანამშრომლები მათ ექცევიან უხეშად, გამომწვევად და დამამცირებლად.

პატიმრების თქმით, ნებისმიერი კონტაქტი დაწესებულების თანამშრომლებთან შეიძლება მათი მხრიდან კონფლიქტისა და შეურაცხყოფის მიზეზი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებს ერთ საათზე მეტი ხნით ეძლევათ უფლება, გავიდნენ სუფთა ჰაერზე, მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ ისინი ერიდებიან აღნიშნული უფლებით სარგებლობას, რადგანაც იმ შემთხვევებშიც კი, თუ ერთი პატიმარი მეორეს მიესალმება, გასეირნება წყდება და პატიმრებს აბრუნებენ საკნებში. ამგვარად, კვლავ **გამოიყენება კოლექტიური დასჯის მეთოდები — ერთი პატიმრის გადაცდომისთვის ისჯება მთელი საკანი,** რაც ადმინისტრაციისთვის ზეწოლის დამატებითი მექანიზმია. ყველაზე ხშირად არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი დისციპლინურ პასუხისმგებლობადაკისრებული და კარანტინში განთავსებული პატიმრები ხდებიან. მათი თქმით, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, სამარტოო საკანში გადაყვანის ნაცვლად, როგორც ამას კანონი ითვალისწინებდა, პატიმართა უმეტესობა ე. წ. „ბოქსში“ გადაჰყავთ („ბოქსი“, დაახლოებით, 2-3 კვ.მ ფართის მქონე საკანია, რომელშიც არც მაგიდა დგას, არც სკამი და არც საწოლი და დასჯილ პატიმრებს ათავსებდნენ საცვლებისამარა, ფეხშიშვლებს, 3-დან 24 საათამდე ხანგრძლივობით).

ე. წ. ბოქსებში ყოფნისას ადმინისტრაციის თანამშრომლები იატაკზე წყალს ასხამდნენ, რომ პატიმრებს წამოწოლის საშუალება საერთოდ მოსპობოდათ.

პატიმრების თქმით, **კარის ყოველი გახმაურებისას მათ აიძულებენ, თავზე ხელებდაწყობილები დადგნენ ფანჯრისკენ სახით.** იმ შემთხვევაში, თუ რომელიმემ ვერ მოასწრო საწოლის მეორე სართულიდან დროულად ჩამოსვლა და ადმინისტრაციის მიერ მითითებულ მდგომარეობაში დადგომა, მთელი საკანი ისჯება. პატიმართა თქმით, ამ შემთხვევაში **დასჯა გულისხმობს მათ დაჩოქებას თავზე ხელებდაწყობილ მდგომარეობაში, რაც 1-2 საათიც კი გაგრძელებულა.**

**პატიმრები ასევე აღნიშნავდნენ, რომ კარანტინის საკნიდან შემოწმებაზე გასვლისას თანამშრომლები მათ მუცელში ან გვერდებში იდაყვებს ურტყამენ.**

ყველაზე ხშირად პატიმრები არასათანადო მოპყრობის ფაქტების მონაწილედ ასახელებდნენ დაწესებულების დირექტორ **დიმიტრი ჯიჭონაიას.** ასევე აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებული „აქტიურობით“ ამ მხრივ გამოირჩეოდა დაწესებულების სოციალური სამსახურის უფროსი **ირაკლი ჯიშკარიანი.**

დაწესებულებაში გამეფებულ შიშის სინდრომზე მეტყველებს ისიც, რომ, პატიმრების თქმით, ისინი უკიდურესი საჭიროების შემთხვევაშიც კი ერიდებიან სამედიცინო დახმარების მოთხოვნას. ერთ-ერთი პატიმრის თქმით, იგი მანამ ერიდებოდა ექიმის დაძახებას, სანამ მდგომარეობა არ გაურთულდა და სასწრაფოდ საოპერაციო არ გახდა.

სახალხო დამცველის მონიტორინგის ფარგლებში, გაუსაძლის პირობებზე საუბრობენ თავად პატიმრებიც.

**გოგიტა ზ.:** „ჩემს საკანში შემოვიდა სპეციალური დანიშნულების რაზმისა და ადმინისტრაციის დაახლოებით 15 თანამშრომელი, მათ შორის — **დიმიტრი ჯიჭონაია, მიშა გიგაური, რომან რობაქიძე, აჩიკო ტაბატაძე და ვინმე მამუკა.** ჩაატარეს ჩხრეკა, რის შემდეგაც ცემით გამატარეს ე. წ. კორიდორში, შემდეგ კი დამიწყეს ცემა, რა დროსაც გონება დავკარგე. ამის შემდეგ გონზე მოსასვლელად დამასხეს წყალი, ხოლო შემდეგ ჩამიყვანეს „ბოქსებში“, სადაც შიშველ მდგომარეობაში 7 საათი გამაჩერეს“.

**2009-2012 წლები: ამონარიდები გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» პუბლიკაციებიდან**

დექავე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ყველაფერი იცოდა — პატიმრებს მათი განკარგულებით აწამებდნენ!

## ლალი აფციაური: სამართალდამცავ ორგანოებში მკვლელები არიან

**შინაგან საქმეთა მინისტრის — ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ბოლო 4 წლის მანძილზე პოლიციელის იარაღით არც ერთი მოქალაქე არ დაღუპულა, ხოლო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ ხათუნა კალმახელიძის მტკიცებით, 2012 წელს პატიმრების გარდაცვალების მაჩვენებელი შემცირდა. მინისტრების განცხადებების მიუხედავად, მათი საქმიანობის ირგვლივ დღემდე უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა რჩება. გორის რაიონის პოლიციის შენობაში დაკავებული თამაზ ჯღირაძისა და ხაშურის პოლიციაში გარდაცვლილი სოსო ქიმერიძის შემდეგ, ზუგდიდელ ბადრი ტაბიძის მკვლელობაშიც პოლიციის დანაშაულზე საუბრობენ. ხოლო რამდენიმე დღის წინ კიდევ ორი პატიმრის — თენგიზ ბელქანიასა და ზურაბ დელიანიძის — გარდაცვალების შესახებ გახდა ცნობილი. გარდაცვლილთა ოჯახები პატიმრების სიკვდილში კვლავ სასჯელაღსრულების სამინისტროს სდებენ ბრალს. რამდენად სარწმუნოა მინისტრების განცხადებები და რამდენად დაცულია საქართველოში ადამიანის უფლებები, „საქართველო და მსოფლიოს“ ადვოკატი ლალი აფციაური ესაუბრება, რომელიც უმოქმედობაში ადანაშაულებს კოლეგებს, სახალხო დამცველს, საზოგადოებას და, მათ შორის, საკუთარ თავსაც:**

— შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების სამინისტროების თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულის წამახალისებელი ისევ და ისევ ჩვენი სახელმწიფო და მისი მეთაური მიხეილ სააკაშვილია. ვანო მერაბიშვილის განცხადება, თითქოს ბოლო 4 წლის მანძილზე პოლიციელის ხელით არავინ გარდაცვლილა, აბსოლუტური სიცრუეა. საქართველოს პოლიციაში დასაკითხად მიყვანილი ადამიანები კიბიდან თურმე უბრალოდ „გორდებიან“ ან დაკითხვის დროს გული უსკდებათ, რაც, რა თქმა უნდა, ტყუილია.

გაითვალისწინეთ, რომ ეს არის ცნობილი და გახმაურებული შემთხვევები, რისი უარყოფაც ხელისუფლების მხრიდან უკვე შეუძლებელია, მაგრამ ბევრი ფაქტია, რაც არ ვიცით, ვინაიდან გარდაცვლილების ოჯახები სერიოზულ



ზეწოლას განიცდიან.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ სხვა გარდაცვალების ფაქტებიც არსებობს, რაც საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია?**

— რა თქმა უნდა, არსებობს. ამაზე კითხვაც არ შეიძლება გაჩნდეს. ასე რომ, ვანო მერაბიშვილსა და ხათუნა კალმახელიძეს სატრაბახო არაფერი აქვთ. როცა ადამიანს გამეტებით სცემ, თავს არტყმევინებ კედელზე, ეს ნიშნავს, რომ მას სასიკვდილოდ იმეტებ. საამაყო ნამდვილად არ არის, როცა სამართალდამცავ ორგანოებში მკვლელები არიან.

**— თუმცა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის, განცხადებით, პენიტენციალურ დაწესებულებებში 2012 წელს პატიმართა გარდაცვალების ფაქტები შემცირდა. თქვენ რა სტატისტიკურ მონაცემს ფლობთ?**

— ხათუნა კალმახელიძე შემცირებაში რას გულისხმობს? 150 პატიმრის გარდაცვალება თუ მცირედ მიაჩნია, არ ვიცი. ყველა, **პატიმრების 99% მაინც, განიცდის ფიზიკურ ზეწოლას, აღარაფერს ვამბობ მორალურ ზეწოლაზე.** სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: **მიმდინარეობს პატიმრების სასტიკად წამება, ცემა-ტყეპა, მათ სასტიკ პირობებში ამყოფებენ. საქართველოს ციხეებში კატასტროფული მდგომარეობაა. ყველა სიბოროტე, რაც კი შეიძლება ადამიანის წინააღმდეგ მოიფიქრონ და განახორციელონ, საქართველოს ციხეებში ხდება.**

**— რატომ არ იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ფაქტებს და რატომ არ სჯის დამნაშავე თანამშრომლებს, ეს ხომ მათ იმიჯზეც დადებითად აისახება?**

— მაშინ, როცა ქვეყანაში ნულოვანი ტოლერანტობაა გამოცხადებული და სახელმწიფოს მეთაურისგან პირდაპირ აქვთ ნაბრძანები, ყველას ესროლეთ და კბილები ჩაუმტვრიეთო, რატომ უნდა დასაჯონ? **დღეს არც შსს და არც სასჯელაღსრულების სამინისტრო, თავის არც ერთ თანამშრომელს არ დასჯის, ვინაიდან ხალხში შიშის ფაქტორის დანერგვა უფრო სჭირდებათ.**

**— ქვეყანაში უამრავი უფლებადამცველია, ასევე ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, მათ ურთიერთობა აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რატომ არ მიჰყევით ბოლომდე რომელიმე საქმეს?**

— სწორი კითხვაა, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ უპასუხისმგებლოები ვართ, არავის ბედი არ გვადარდებს და ყველაფერი საკუთარი კეთილდღეობისთვის გვჭირდება. ვგულისხმობ ჩემს კოლეგებს, ადვოკატებს, ქვეყანაში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მე, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვგულისხმობ... თუნდაც ზურაბ დელიანიძის გარდაცვალების ფაქტის გამო, მთელი **თბილისი ქუჩაში უნდა იყოს გამოსული, მაგრამ ჩვენ ამას არ ვაკეთებთ.**

ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, ჩვენი ბრალია, ვინაიდან თითოეულ დანაშაულზე სათანადოდ არ მოვთხოვეთ პასუხი ხელისუფლებას, ვილაპარაკეთ და დაგვავიწყდა. საერთაშორისო ორგანიზაციების იმედზე კი არ უნდა ვიყოთ, ხელისუფლებას ჩვენ უნდა ვთხოვდეთ პასუხს და მაშინ ვერ გაგვიბედავდნენ ამდენს. მთელი მსოფლიო საპროტესტო აქციებმა მოიცვა, ჩვენ კი კაბინეტებიდან ვაპროტესტებთ.

**— გარდაცვლილი ზურაბ დელიანიძის ოჯახის განცხადებით, ის სასტიკად არის ნაწამები, ამიტომ ოჯახი გაჩერებას არ აპირებს. რით შეიძლება დაეხმაროთ უფლებადამცველები?**

— ჩემი პატიმარი რომ ასეთ მდგომარეობაში ვნახო, როგორშიც ზურაბ დელიანიძე, არ ვიცი, რას ვიზამ, მაგრამ პირობას გაძლევთ, ქვა-ქვაზე არ დარჩება. ამიტომ ჩემს პატიმრებს, სიმართლე გითხრათ, ერიდებიან. ბოლო პერიოდში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ზვიადაძის საქმე იყო გახმაურებული, რომელიც სასტიკად სცემეს, მაგრამ №7 საპყრობილის თანამშრომლებმა არ იცოდნენ, რომ მე ვიცავდი. ის დაპატიმრების დღესვე უცემიათ. როცა მივმართე სახალხო დამცველს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუგს ვერ ვიტყვი, დაუყოვნებლივ დაინიშნა ექსპერტიზა და ეს ფაქტი მან თავის დასკვნაშიც მოიხსენია.

## დღემდე გაურკვეველია, პატიმარმა საყვარელიძემ ყური თვითონ მოიჭრა თუ წამებისას მოაჭრეს

**გიორგი თევზაძე:**

— სამწუხაროდ, ციხეები გადაიქცა პატიმრების ცემისა და წამების ადგილად, სადაც წამება და არაადამიანური მოპყრობა აუცილებელ პროცედურად იქცა. გახშირდა პატიმართა სიკვდილიანობაც. პატიმართა დიდი ნაწილი ტუბერკულოზით არის დაავადებული. პატიმრების წამების ფაქტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ციხიდან გამოდის, ზღვაში წვეთია, ვინაიდან პატიმართა მშობლები ამ ფაქტებს არ ახმაურებენ, რადგან პატიმარს, რომელიც ამ ფაქტებს გაამხელს, ციხეში სასტიკად აწამებენ. ადვოკატებიც ხშირად იძულებულნი არიან, ხმამაღლა არ ისაუბრონ ნაწამებ პატიმრებზე.

პატიმარი **მურმან კალანდია** ზუგდიდის ციხეში ადმინისტრაციამ სასტიკად სცემა; მას სხეულზე წამების კვალიც ემჩნეოდა და თბილისში გადმოყვანისას გარდაიცვალა. კალანდიას სამწლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, სასჯელის ვადა კი 2012 წლის აპრილში ეწურებოდა. გარდაცვლილს ჩაუტარდა ექსპერტიზა, გარეგნული დათვალიერებით აღენიშნებოდა დაზიანებები, გატეხილი ჰქონდა ცხვირი, მომტვრეული ჰქონდა თითი და სხეულზე ცემის კვალი — წითელი ზოლები ეტყობოდა. **როგორც ჩანს, პატიმარს ხელკეტებით სცემდნენ, სიგარეტით დამწვარი ჰქონდა ხელის მტევანი.** ფაქტი ერთია: სანამ ეს ფაქტი მოხდებოდა, პატიმარი მოინახულა დედამ. როგორც დედა ამბობს, მისი შვილი ჯანმრთელი იყო და არაფერს უჩიოდა.

პატიმარი **ტარიელ საყვარელიძე,** რომელიც რუსთავის ციხეში იხდიდა სასჯელს, ფსიქიკური ნაკლის მქონე იყო. მას სისტემატურად სცემდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები. როგორც მისი ადვოკატისგან საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, პატიმარმა ყური მოიჭრა და შეჭამა. დღემდე გაურკვეველია, პატიმარმა საყვარელიძემ ყური თვითონ მოიჭრა თუ წამებისას მოაჭრეს.

მძიმე მდგომარეობაა გლდანის მე-8 სამკურნალო დაწესებულებაში, იქ გადაყვანას პატიმრები სერიოზულად ეწინააღმდეგებიან.

**— რა მხრივ არის მძიმე მდგომარეობა: აწამებენ თუ პირობებია მძიმე?**

— მიზეზი ცემა-წამებაა. ალბათ, გახსოვთ რამდენიმე ხნის წინ ამ დაწესებულებაში მომხდარი გახმაურებული ფაქტი, როდესაც მსჯავრდებული კახაბერ ბარათაშვილი იმიტომ სცემეს, რომ თირკმლის ტკივილის გამო ექიმის



გამოძახება ითხოვა. ბარათაშვილი ისევ მძიმე მდომარეობაშია და სასჯელს იხდის.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა **ივანე მენაფირე,** რომელსაც სიმსივნის დიაგნოზი ჰქონდა. იგი მსჯავრდებული იყო სსკ-ის 177 მუხლით და ექვსი წელი და ექვსი თვე ჰქონდა მისჯილი. მენაფირეს ადვოკატი შოთა გალაშვილი სისტემატურად ითხოვდა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას, ხოლო დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩასატარებლად — ისტორიის ამონაწერს, რაც სამი თვის მანძილზე არ მისცეს და შეგნებულად გააჭიანურეს. ექსპერტიზის მოთხოვნის შემდეგ პატიმარი ცემეს, წაართვეს ყავარჯნები, არ აძლევდნენ ეტლს, იმ დროს, როდესაც მას გადაადგილება არ შეეძლო, არ უტარებდნენ შესაბამის სამედიცინო მკურნალობას. შედეგად მისმა ჭრილობებმა ლპობა იწყო. ადვოკატი შოთა გელაშვილი რამდენიმეჯერ არ შეუშვეს თავისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან — ივანე მენაფირესთან, რაც კანონმდებლობის უხეში დარღვევა; დაირღვა როგორც პატიმრობაში მყოფი პირის, ისე ადვოკატის კანონიერი უფლებები. **ივანე მენაფირე ციხეში გარდაიცვალა და ამის მიზეზი გლდანის ციხის ადმინისტრაცია იყო, რომელიც ავადმყოფ პატიმარს სცემდა და დროულად არ უმკურნალა.** პატიმრებს უბრალოდ გადაჩურჩულებისთვისაც სცემენ.

**— ციხის საავადმყოფოში გადმოყვანილი პატიმრები თუ ამბობენ რამეს?**

— ვერც ციხის საავადმყოფოში ამბობენ პატიმრები სიმართლეს. იქ, ფაქტობრივად, მომაკვდავი პატიმრები მოჰყავთ, მათ საუბრის თავიც აღარ აქვთ. ციხის საავადმყოფოშიც არის ზეწოლა; იქ ძალიან ძნელია ადვაკატის და თუნდაც ახლობლების შესვლა.

## ქეთი ბექაური: წალენჯიხის პოლიციის უფროსმა დაკავებულ არქანიას 20 ღერი სიგარეტი მიაწვა იღლიაში

— ზუსტად ახლა მე ვიცავ მსჯავრდებულ ლაშა არქანიას, რომელიც ისეა ნაცემი და ნაწამები, რომ ლაპარაკსაც კი ვერ ახერხებს წესიერად. ეს ადამიანი გახლავთ ბიძაშვილი იმ მალხაზ არქანიასი, რომლის მიმართაც, შეიძლება გახსოვთ კიდეც, გაუპატიურების მცდელობას ჰქონდა ადგილი ზუგდიდის მეოთხე დაწესებულებაში. სხვათა შორის, ამ საქმეში მონაწილეობდა მეგის ქარდავაც...

**ლაშა არქანია 2010 წლის 14 ივლისს დააკავეს და, სანამ განყოფილებაში მიიყვანდნენ, წალენჯიხის პოლიციის უფროსმა სოსო აბაშიძემ მას ერთი კოლოფი სიგარეტი მიაწვა იღლიაში.** შემდეგ იგი გადაიყვანეს იზოლატორში და იქ უკვე მის მიმართ გამოყენებულ იქნა ფიზიკური ზემოქმედების ისეთი ფორმები, რომ არ



ვიცი, საერთოდ როგორ გადარჩა ეს ადამიანი ცოცხალი. ასეთი ფაქტები უამრავია და უარესებიც ხდება, მაგრამ ხელისუფლება საგულდაგულოდ ასაიდუმლოებს. შესაბამისად, ჩვენთვის, უფლებადამცველებისთვისაც კი არ არის ბოლომდე ცნობილი, რა ხდება რეალურად ციხეებში; თავის მხრივ, მსჯავრდებულები ისე არიან დაშინებულნი, რომ ხმის ამოღებას ვერ ბედავენ...

## წერილი ციხიდან



რუსთავის №2 კოლონიის პატიმარი რამაზ პატარაია მასზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის გამო უმძიმეს მდგომარეობაშია. ის **ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ისე სასტიკად სცემეს, რომ პარალიზებული აქვს ქვედა კიდურები და ეტლით გადაადგილდება. მიუხედავად ამისა, მასზე ფიზიკური ზეწოლა დღემდე გრძელდება.** გამოძიება კი განზრახ ჭიანურდება.

## 2009–2012 წლები: ამონარიდები გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» პუბლიკაციებიდან

# ამის შესახებ «საქართველო და მსოფლიო» ყოველ ნომერში სისტემატურად წერდა!

დეჟავუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## არავინ იცის, ხვალ და ზეგ კიდევ ვის გადმოაგდებენ ფანჯრიდან და ვის ამოხდიან სულს ცემაში



გელა ნიკოლეიშვილი:

— ხაშურის პოლიციის განყოფილებაში ადამიანი დაიღუპა თუ მოკლეს, გაურკვეველია და ამ დროს, ფაქტობრივად, არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. იმ სიმბოლურ გათავისუფლებას სამსახურიდან და ეჭვმიტანილი თანამშრომლის გადაყვანას კადრების განკარგულებაში დასჯას ვერ დავარქმევთ, იმიტომ, რომ ეს ნამდვილად არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მსგავსი დანაშაული ითვალისწინებს კანონით. ის კი არა, დარწმუნებული ვარ, ხვალ და ზეგ იმ თანამშრომელს სადმე უკეთეს ადგილას გადაიყვანენ და დააწინაურებენ კიდეც.

## პატიმარი, რომელიც ერთი კვირით ადრე იტყობინებოდა, რომ მას მოკლავდნენ, მკვდარია

26 წლის კახაბერ თედლიაშვილი, რომელმაც ციხეში სამი წელი და სამი თვე გაატარა, 30 აპრილს იქიდან გამოასვენეს. ოფიციალური ვერსიით, მან თავი მარლით ჩამოიხრჩო, თუმცა საწინააღმდეგოს აცხადებენ მისი ოჯახის წევრები და ასევე საწინააღმდეგოს მეტყველებს ციხიდან გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე გამოგზავნილი წერილები სასჯელაღსრულების მინისტრ ხათუნა კალმახელიძის, სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშის, პარლამენტის წევრ ლაშა თორდიასა და სხვადასხვა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციისთვის. კახაბერ თედლიაშვილის წერილი, რომლის ადრესატიც სახალხო დამცველი გიორგი ტუღუშია, 2011 წლის 12 აპრილით არის დათარიღებული.

## ნანა კაკაბაძე: ციხე, წინასწარი დაკავების იზოლატორი თუ პოლიციის განყოფილება ის ადგილია, რომლიდანაც, ძალიან მცირე შანსია, ცოცხალმა გამოაღწიო...



— სამწუხაროდ, იყო რამდენიმე მკვლელობა, რომელიც დღემდე გაუხსნელია. ასევე მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ ჩვიდმეტი წლის ბავშვი, რომელიც შეესწრო ერთ-ერთ მკვლელობას, აბსოლუტურად უმიზეზოდ, უსაფუძვლოდ დააკავეს და იმის მიუხედავად, რომ მისი დაკითხვის უფლებაც კი არ ჰქონდათ მშობლის ან პედაგოგის გარეშე, აიძულებდნენ, თავის თავზე აეღო ეს დანაშაული. ბავშვს ეტყობოდა წამების ნიშნები და შეიძლება არ დაიჯეროთ, ისე სასტიკად იყო ნაცემი, რომ მთელი სხეული — ფეხებიდან ყურებამდე ჰქონდა ჩალურჯებული. გარდა ამისა, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ეს ბავშვი იყო დაკავებული, მშობლებს არ მისცეს შვილის ნახვის უფლება და ბოლოს, როცა იგი, როგორც იქნა, დაიხსნეს და გამოიყვანეს იზოლატორიდან, ბავშვი უკვე ფეხზე ვეღარ დგებოდა.

## მსჯავრდებული კახა ბარათაშვილი ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს



**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, იურისტი ნინო გობრონიძე:**

— კახა ბარათაშვილი სასჯელს №17 დაწესებულებაში იხდიდა, მსჯავრდებული, ფაქტობრივად, სიკვდილის პირამდე იყო. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები და შემდეგ, როცა ციხის ადმინისტრაცია დარწმუნდა, რომ პატიმარს სჭირდებოდა სასწრაფო ოპერაცია თირკმელებზე, გადაიყვანეს №18 დაწესებულებაში, რომელიც არის სამკურნალო დაწესებულება. ჩვენ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, მოგვმართა მისმა ადვოკატმა კახა მუმლაძემ, რომელმაც თქვა, რომ, როგორც მას პატიმარმა განუცხადა, ბარათაშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას. ეს ძალადობა გამოიხატებოდა იმაში, რომ, **როცა მას ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები და ითხოვდა ექიმს, იგი ჩაიყვანეს პროზექტურაში, სცემეს, გააშიშვლეს, მიასხეს ცივი წყალი და დაემუქრნენ, თუ კიდევ მოითხოვდა სამედიცინო დახმარებას, ფიზიკური ზემოქმედება მასზე ისევ გაგრძელდებოდა.** ასევე, როგორც კახა მუმლაძემ განაცხადა, **იყო მუქარა სექსუალური ძალადობის კუთხითაც, რასაც თვითონ მსჯავრდებული ადასტურებს.** ...ამის შემდეგ უკვე ბარათაშვილი გადაყვანილ იქნა ფსიქიატრიულ პალატაში, სადაც მას გაუკეთდა ოპერაცია. ოპერაციიდან რამდენიმე დღეში კი ისევ გაგრძელდა მუქარა, ოღონდ ამჯერად არა მხოლოდ პატიმრის, არამედ უკვე მისი ოჯახის წევრების მიმართაც...

## ლალი აფციაური: ციხეებში პატიმრებს სპეციალური დენის ხელსაწყოთი აწამებენ. ამგვარი ელექტროხელსაწყოთი წამების კვალი კარგად ჩანს გარდაცვლილ გოდელაძის ფოტოებზე



ყველა ნაწამები და ნაცემი პატიმრის ექსპერტიზის დასკვნა მაქვს, რითაც დასტურდება, რა ვითარებაა დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენს ვსაუბრობთ უფლებადამცველები, კონკრეტულ ფაქტებს ვასახელებთ, საჩივრები შეგვაქვს პროკურატურაში, რათა სისხლის სამართლის საქმე აღიძრას და გამოძიება დაიწყოს, ამ დრომდე ერთი ადამიანიც კი არ დასჯილა.

## ძალიან ხშირია პატიმრების გაუპატიურების შემთხვევები, ბევრი მათგანი დაინვალიდებული ტოვებს ციხეს



**ლალი აფციაური:**

— საერთაშორისო ორგანიზაციები სასჯელღსრულების დაწესებულებებზე რეალურ ინფორმაციას ფლობს. მე მაქვს პატიმარ უჩა გოდელაძის წამების ფოტომასალა, რომელიც პირადად გადავეცი საქართველოში ვიზიტისას ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარ თომას ჰამერბერგს. ყველა ნაწამები და ნაცემი პატიმრის ექსპერტიზის დასკვნა მაქვს, რითაც დასტურდება, რა ვითარებაა დღეს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. მიუხედავად იმისა, რომ ამდენს ვსაუბრობთ უფლებადამცველები, კონკრეტულ ფაქტებს ვასახელებთ, საჩივრები შეგვაქვს პროკურატურაში, რათა სისხლის სამართლის საქმე აღიძრას და გამოძიება დაიწყოს, ამ დრომდე ერთი ადამიანიც კი არ დასჯილა. შევშფოთდებით, შევიცხადებთ, რაიმე ფაქტი თუ მოხდება, და აქ დამთავრდება ყველაფერი. ხელისუფლებას არც აინტერესებს საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები.

## თომას ჰამერბერგს საქართველოში პატიმრების გარდაცვალების და წამების შესახებ სპეციალურ ანგარიშს წარუდგენენ

**როცა პენიტენციალურ სისტემაში ქვეყანაზე უარყოფითი ანგარიშები არსებობს, იქ დემოკრატიაზე საუბარი არ შეიძლება. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის, თომას ჰამერბერგის სპეციალური მიწვევით ადვოკატი მანანა კობახიძე და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი სტრასბურგში მიემგზავრებიან. კომისარს პრაქტიკოსი ადვოკატებისგან მართლმსაჯულების ხარისხზე დეტალური ინფორმაცია აინტერესებს.**

**„საქართველო და მსოფლიოს" მანანა კობახიძე ვიზიტთან დაკავშირებით ესაუბრა:**

– ევროსაბჭოს ეგიდით ადამიანის უფლებათა დამცველებს შორის შეხვედრაზე, რომელსაც თომას ჰამერბერგი უძღვება, ძირითადი აქცენტი წამების აკრძალვაზე გაკეთდება. შეხვედრაზე ერთ-ერთი პრიორიტეტული თემა ადამიანის უფლებათა დამცველთა მდგომარეობა იქნება. ჩვენ წამოვწევთ საკითხებს, როგორიცაა საქართველოში პატიმრების მდგომარეობა, ადვოკატების მიმართ მოპყრობა.



## სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კიდევ ერთი პატიმარი მოკლეს



„საქართველო და მსოფლიო" გასულ ნომერში წერდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება 36 წლის პატიმარი, **ნიკოლოზ მჭედლიშვილი, რომელსაც ორი მომაკვდინებელი დაავადება: შიდსი და ტუბერკულოზი საპატიმროში შეჰყარეს.** პატიმარი ვერ გადაადგილდებოდა დამოუკიდებლად. ადვოკატის განცხადებით, მას ნაწოლებისგან სხეულის ლპობა ჰქონდა დაწყებული, მაგრამ, მიუხედავად არაერთი შუამდგომლობისა, მის მიმართ სასჯელის გადავადება არ მოხდა. 29 მაისს ნიკოლოზ მჭედლიშვილი პალატიდან რეანიმაციაში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე საათში გარდაიცვალა. **ნიკოლოზ მჭედლიშვილთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ არაერთი რეკომენდაცია მისცა საქართველოს მთავრობას, თუმცა არც ერთი მათგანი არ შესრულებულა.**

## 2009-2012 წლები: ამონარიდები გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» პუბლიკაციებიდან

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მორწმუნე საზოგადოების უმრავლესობა, უაღრესად შეშფოთებულია ხელისუფლების მეხოტბე მღვდელმთავართა ცინიკური და გულგრილი დამოკიდებულებით მოცემული ვითარების მიმართ, რაც ძალიან დიდ იმედგაცრუებასა და გულაყრას იწვევს ადამიანთა განწყობილებაში სასულიერო იერარქთადმი.**

# «დუმილით გაიცემა ღმერთი!»

## წერილი კათოლიკოს-პატრიარქს!

**დიდო მეუფეო, მწყემსმთავარო, კათოლიკოს-პატრიარქო ივერიის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისაო, ძვირფასო მამათმთავარო, მოგმართავთ შვილობრივი სიყვარულით, კეთილკრძალულებითი ძრწოლითა და ღრმა მოწიწებით.**

**მოციქულთა მოსაყდრეო!**

ვუმზერთ რა ჩვენს მრავალჭირნახულ სამშობლოს, ისტორიული სინამდვილის სიგრძეზე, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, დაბეჯითებით ვრწმუნდებით, რომ ეკლესია მუდამჟამს იყო დესპანი საყოველთაო მშვიდობისა და გარანტი სახელმწიფოებრივი კეთილდღეობისა თუ სტაბილურობისა.

**მრევლი და ზოგადად ქართული საზოგადოება ნათლად ვაცნობიერებთ, რომ დედაეკლესია არის საყოველთაო საუნჯე თითოეული მართლმორწმუნე პიროვნებისთვის და იგი არასდროს გახდება მხარე ადამიანთა გარკვეული ერთობის სასარგებლოდ, არამედ პირიქით, სამოქალაქო სივრცესა თუ პოლიტიკურ არეალში, მისი მამობრივი არბიტრაჟი ხელს შეუწყობს ნებისმიერ, თუნდაც კონტრასტულად განსხვავებულ პარტიულ ძალებს შორის ძმადმოყვარების, ურთიერთდაახლოებისა და მომრიგებლობის იდეას. თუმცა საქართველოში, იმ ფონზე, როცა ხელისუფლება სრულიად დისკრედიტირებულია, ეკლესიამ მოიპოვა არა მხოლოდ მორალური, არამედ პოლიტიკური ავტორიტეტიც. მას შეუძლია პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა და ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა.**

თანამედროვე სამყაროში ეკლესიის აქტიურობის მრავალი დადებითი მაგალითი არსებობს. ეკლესიამ სერიოზული როლი შეასრულა (და ასრულებს) სიცილიაში მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში; გერმანიაში სამღვდელოების ნაწილი მწვავედ უპირისპირდებოდა ფაშიზმს; ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეპისკოპოსები ილაშქრებდნენ „სიკვდილის ბრიგადების" და ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ. ქართულ რეალობაში კი **თუნდაც კათოლიკოს-პატრიარქის, წმინდა ამბროსის (ხელაია) მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი გავიხსენოთ, რაც გახლდათ ერის, მაშინდელი ტკივილით დაწერილი პეტიცია, რომელმაც მსოფლიო თანამეგობრობას ღიად და გამჭვირვალედ წარმოუდგინა ის ავბედითი მდგომარეობა, რომელიც ჩვენს იმდროინდელ სამშობლოში სუფევდა. ეკლესიას არა მხოლოდ უფლება აქვს ასე მოიქცეს, არამედ ასეთი აქტიურობა პირდაპირ გამომდინარეობს მისი ბუნებიდან.**

**ბრძენო მესაჭეო!**

სეკულარისტული ელიტიდან მავანნი მიიჩნევენ, რომ ეკლესია ყრუ ნეიტრალიტეტსა და სახელმწიფოებრივ ინდიფერენტულობას უნდა იცავდეს, რამეთუ, მათი მტკიცებით, იგი რეტროგრადულ ინსტიტუციას წარმოადგენს, რომელიც ვითომდა აფერხებს ქვეყნის პროგრესირებასა და ლიბერალ-დემოკრატიულ განვითარებას, რაც ერთგვარად გამომწვევი და დამამცირებელი გზავნილია მოდერნისტი ნოვატორების მხრიდან. ამ ფონზე, **მრევლის ჯანსაღი ნაწილი დაინტერესებულია იმით, თუ რას აკეთებს საპატრიარქო საიმისოდ, რომ კვალიფიციურად განუმარტოს საზოგადოებას იმ გამოწვევებისა და თანამედროვე წინააღმდეგობების შესახებ, რომლებიც გლობალიზაციის პროცესმა მოიტანა.**

**მართლმკვეთელო მწყემსო!**

დღეს, მაშინ, როცა ესოდენ უჭირს ჩვენს დაჩაგრულ და დამცირებულ ერს, თქვენი მამხილებელი და მკაცრი საყვირის მოლოდინში, ძლივძლივობითღა ვიხანგრძლივებთ პატივაყრილ, ღირსებაშელახულ, სიწმინდეშებღალულ და შეურაცხყოფილ სიცოცხლეს, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან თითოეული ჩვენგანის ოჯახს მიადგა. **მატერიალურ სიდუხჭირესა და საარსებო პრობლემებს, სულიერი ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების სასტიკი ხელყოფაც დაერთო, რამაც მორალურად გაანადგურა თავისუფლებისმოყვარე ჩვენი ბედკრული საზოგადოება. იმ ფონზე, როცა საპატიმროებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანთა გაუგონარი ტანჯვა-წამება მიმდინარეობს, წმ. სინოდის მღვდელმთავართა მცირე, მაგრამ გარკვეული ნაწილი** (რომელიც კონფორმისტული და ხელისუფლებისადმი მაამებლური თუ ანგარებითი ტრფობით არის ცნობილი), **არათუ ამხელს, არამედ აბსოლუტურად არ იმჩნევს, არ გმობს იმ შემაძრწუნებელ, ჯერ არნახულ სისასტიკესა და ბოროტებას, რომელიც ტელეეკრანებზე მთელმა მსოფლიომ იხილა.** მეტიც, ისინი კვლავინდებურად არღვევენ ამბიონის დანიშნულებას, თავიანთ ე.წ. ქადაგებებში, მკვახე მოწოდებებით, წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან „ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ, ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და წნეხს ახორციელებენ მრევლზე და სინოდალურ გადაწყვეტილებას „სასულიერო პირთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შესახებ" უხეშად ეწინააღმდეგებიან.

**მორწმუნე საზოგადოების უმრავლესობა, უაღრესად შეშფოთებულია ხელისუფლების მეხოტბე მღვდელმთავართა ცინიკური და გულგრილი დამოკიდებულებით მოცემული ვითარების მიმართ, რაც ძალიან დიდ იმედგაცრუებასა და გულაყრას იწვევს ადამიანთა განწყობილებაში სასულიერო იერარქთადმი.** ამ ყველაფრის შემხედვარეს მახსენდება წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები: **„ლომი, იქედნე, გველი უფრო დიდსულოვანნი და თავმდაბალნი არიან ამპარტავან ეპისკოპოსებთან შედარებით, რომლებშიც სიყვარულის ნაპერწკალიც კი არ არის. კარგად შეხედე და შენ ცხვრის ტყავში მგელს აღმოაჩენ. და თუ იგი მგელი არ არის, მაშინ დამიმტკიცოს ეს არა სიტყვებით, არამედ საქმით. ჩემთვის ფასი არა აქვს იმ სწავლებას, რომელიც ეწინააღმდეგება ცხოვრებას..."** ვაითუ ეს სიტყვები ამჟამინდელ ჩვენს რეალობას ასახავს... არაფრით არ მინდა დავიჯერო, მაგრამ ფაქტები ჯიუტად ამაზე მეტყველებენ.

იმისათვის, რათა განგვიქარწყლდეს ადამიანური ეჭვები და ჩვენეული, ცოდვისმიერი სისუსტით დანახული მწარე და თავზარდამცემი სინამდვილე, **უმორჩილესად გთხოვთ, მკვეთრი რეაგირება მოახდინოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განგვიმარტოთ ეპისკოპატის წევრთა ესოდენ უცნაური თვითნებობა, რაზედაც მათთან ერთად პასუხისმგებლობა თქვენც გაკისრიათ მოწყალე უფლის, იესო მაცხოვრის წინაშე.**

**ზნეობისა და ვაჟკაცობის ქომაგო მამათმთავარო!**

მაშინ, როცა ჩვენს სოციუმში მოსახლეობის უმეტესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, ხორციელ საზრდოს მოკლებული ხალხი სულიერ მანანას ეპოტინება და შველას სამღვდელო დასიდან მოელის. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში იერარქთა (შავი სამღვდელოება, ბერ-მონაზვნობა) ამგვარად დაწინაურებული ყოფა საგრძნობლად არყევს სამოციქულო ინსტიტუტის რეპუტაციასა და აქვეითებს სიმპათიებს უპოვარებისა და სისადავისთვის მოწოდებულ სასულიერო პირთა მიმართ, რაც დამატებითი საზრუნავი უნდა იყოს, თქვენი, როგორც ღარიბ-ღატაკთა, ქვრივობოლთა და შეჭირვებულთა გულშემატკივრის მხრიდან. **ვიცნობ რა თქვენს სულგრძელობასა და პიროვნულ თვისებებს, მე, როგორც რიგით სულიერ შვილს, მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ გულწრფელად განიცდით ქვეყანაში არსებულ მდარე მდგომარეობას და დაუცხრომლად იღვწით პრობლემათა დაძლევის გზაზე. სწორედ ეს მაძლევს იმედს იმისას, რომ უფრო მეტად პრინციპულ და მკაფიო პოზიციებს დააფიქსირებთ აწ უკვე საყოველთაოდ გამომზეურებულ იმ მანკიერებებსა და უკეთურობებზე, რამაც დაასნეულა თქვენთვის ღმრთისაგან მობარებული ფარა, რომლის მწყემსსაც, ზეციური ეკლესიის მეუფემ — უფალმა იესო ქრისტემ, სიფხიზლისთვის ხმამაღლა დაუბარა — „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის"** (იოანე. 10,11).

შესაძლოა, ცოტა პათეტიკურად ჟღერდეს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ **ჩვენი პრობლემის გასაღები საეკლესიო სასამართლოს** (დიკასტერია) **აღდგენასა და მის რეალურ ფუნქციონირებაშია, რაც შედარებით უფრო დაარეგულირებდა მმართველობით წესრიგს, მონიტორინგს გაუწევდა სასულიერო პირთა ყოფაცხოვრებასა და მათ უფლება-მოვალეობებს.** ვფიქრობ, რომ **აუცილებელია პროფესიონალიზმისა და მაღალი კომპეტენციის ნიშნით სტრუქტურაში დადგენილ იქნან განსწავლული სპეციალისტები.** სამწუხაროდ, ეს საკითხიც გაურკვეველ მიზეზთა გამო დღემდე გადაუჭრელია, რაც ეჭვებით სავსე შეკითხვებს ბადებს საპატრიარქოს მისამართით.

მრევლი აღლევებულია იმითაც, რომ ხელისუფლების მხრიდან ინტენსიურად ხორციელდება მატერიალური დაინტერესებით ადამიანთა მოისყიდვა თუ გადაბირება, რაც ღირსების შემბღალავი მეთოდებით აღესრულება და ერთგვარ „სულიერ პროზელიტიზმს" წარმოადგენს. იგი, აგრეთვე, სისხლის სამართლის დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, რაზეც თქვენი ყურადღების მიპყრობა უცილობელ საჭიროებად მიმაჩნია, რამეთუ **უფლისგან ნაბოძები უმაღლესი ჯილდოს — შინაგანი სილაღისა და სოციალურ-სულიერი თავისუფლების სანაცვლოდ ადამიანები დროებით კმაყოფაზე ცვლიან მარადიულ ფასეულობებს და თავიანთი ინსტინქტებითა თუ შეგნებით ემონებიან წარმავალ სარგებელს.**

**ქრისტეში საყვარელო მშობელო!**

ულირს სასულიერო პირთა შევრდომით რატომ ვაძლევთ მტერს, იმის უფლებას, რომ საპატრიარქოს სახელს ჩირქი მოსცხოს, იქედნური სულით გაჯერებულ სისინს მიეცეს და იძახოს, რომ ეკლესია უმოქმედო და პასიურიაო?! ზოგს მიაჩნია, რომ სიჩუმე ეკლესიის სისტემის მნიშვნელოვან გარანტად იქცა და, ვინც ამ მდუმარებას არღვევს, მხოლოდ მას სჯიან და არა იმას, ვინც რეალურად დასასჯელია! **რატომ ხდება ასე ქრისტეს მისტიური სხეულის წიაღში? რატომ არის ასეთი დახუთულობა და სულიერი სტაგნაცია? რატომ ვართ ასეთ სტატიკურ მდგომარეობაში ზნეობრივ, ინტელექტუალურ და სულიერ ჭრილში? რატომ არის ბურუსით მოცული ხიდჩატეხილობა იერარქიასა და მრევლს შორის? რატომ ხდება ხშირი კანონდარღვევები, როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართლის სიბრტყეზე? გასაგებია, რომ ეს ქვეყნიური, ანუ მებრძოლი ეკლესიაა და მიწიერ გარემოში დიდია ბრძოლა და დაბრკოლება, მაგრამ ამდენი? ასეთი დიდი დოზით? საბელით შოლტის დაწვნის დრო ხომ არ მოვიდა და ქვაბ-ავაზაკთა გამორეკვისა ტაძრიდან?**

მებადრუცე იუდას შთამომავალთა ამბორით მე მტკივა თქვენი მაკურთხეველი მარჯვენა, უწმინდესო და უნეტარესო! ამდენის მოთმენა უკვე შეუძლებელია! არ მინდა დაგვავიწყდეს ყველასათვის საგულისხმო, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის უმკაცრესი გაფრთხილება: **„დუმილით გაიცემა ღმერთი!".**

**არ მინდა, ჩემს სულიერ პატრონს ეშინოდეს ბიბლიური სიტყვებისა: „არა არს დაფარულ, რომელი არა გაცხადდეს!".**

მიუხედავად ბევრი ადამიანური წყენისა, უკმაყოფილებისა და იმედგაცრუებისა, რაც გულსა და გონებაში დამიგროვდა, მაინც ძალიან მიყვარხართ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო... ვსასოებ უფალს, რომ თქვენს ცრემლიან ლოცვას შეისმენს და აღარ გამახსენებს თქვენ მიერ ხელდასხმულ მღდელმთავრებზე ფიქრისას **წმ. იოანე დამასკელის** უმძიმეს სიტყვებს, რომელიც მან თავისი მოღვაწეობის პერიოდში წარმოთქვა უსახურ სასულიერო პირთა სამხილებლად: **„ჩვენი დროის ეპისკოპოსები მხოლოდ ცხენებზე, მიწის მოსავალზე, ცხვრის ფარებსა და ფულად შემოსავალზე ზრუნავენ... ხოლო რაც შეეხება სამოძღვრო საქმიანობას, ეპისკოპოსები ოდნავადაც არ ფიქრობენ თავიანთი სამწყსოს სულებზე".**

ვაცნობიერებ რა, რომ თქვენი სიტყვა საკმაოდ ფაზიქად და სენსიტიურად აღიქმება საზოგადოებაში, შესაბამისად არ მოველი უკიდურესად მძაფრ განცხადებებს თქვენი მხრიდან, რაც, რა თქმა უნდა, სიფრთხილითა და წინდახედულობით იქნება განპირობებული.

შემინდეთ კადნიერება და ეპისტოლარული ფორმა აზრის გამოხატვისა, რომელიც დარდმა და ემოციამ მაიძულა.

**„აჰა, ესერა, მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან".**

**მარად თქვენი მორჩილი და ცოდვილი შვილი:**

**გიორგი ტიგინაშვილი,**
**თეოლოგი**



**წმ. სინოდის მღვდელმთავართა მცირე, მაგრამ გარკვეული ნაწილი, არათუ ამხელს, არამედ აბსოლუტურად არ იმჩნევს, არ გმობს იმ შემაძრწუნებელ, ჯერ არნახულ სისასტიკესა და ბოროტებას, რომელიც ტელეეკრანებზე მთელმა მსოფლიომ იხილა**

**ახლა მთავარია არჩევანი, რომ ქვეყანა გადარჩეს და თითოეულ თქვენგანს მიეცეს მომავალი ცხოვრების შანსი. დანგრეულია ეკონომიკა, მოშლილია სახელმწიფო სტრუქტურა, ვიღაცები სხედან მაღალ თანამდებობებზე და კეთილად არიან. ვიღაცებს ერთ-ორ კაპიკს მიუგდებენ ერთჯერადად და ამაზე მიდის ადამიანი. ესაა ღირსების შელახვა. არ გააკეთოთ ეს! ღვთის წყალობით დალაგდება ქვეყანა და სახელმწიფო.**

რეაქცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეუფე ილარიონი: ეს ხელისუფლება არის ბოროტება და ამიტომ თავისი არსებობა უნდა დაამთავროს!

**მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა, მეუფე ილარიონმა ღვთისმშობლობას, 21 სექტემბერს მრევლს ქადაგების დროს მიმართა:**

„ყოველთვის ვერიდებოდი პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას, მაგრამ დღეს თავს ამის უფლებას ვაძლევ, რადგან ვფიქრობ, რომ ეს პოლიტიკური განცხადება არაა. საზოგადოებამ ჭეშმარიტება უნდა იცოდეს. ალბათ, ყველამ იხილეთ ის ამაზრზენი, შემაშფოთებელი და ჩვენი ქვეყნისთვის სახიფათო ფაქტები, რომლებმაც მთელი საქართველო შეაძრწუნა. არ ვიცი, ამას რა დავარქვა. ესაა არაადამიანური. არ აქვს სახელი და ეს შეურაცხყოფა, რომელიც ჩვენ ვიხილეთ, მარტო იმ საცოდავ ადამიანებზე კი არ განხორციელდა, არამედ მთელ ქართველ ერზე. ამით შეურაცხყოფილია მთელი საქართველო. შეურაცხყოფილია ამ უგვანო ხელისუფლების მიერ, რომელსაც უნდა საქართველო და ქართველი ერი დააჩოქოს. მაგრამ ქათველებმა ისტორია ვიცით. უარესი გვინახავს. მტერიც ბევრი გვყოლია, მუსლიმანური სამყარო, შაჰ აბასები, ჯალალ ედ დინები გამოგვივლია, მაგრამ შენი ხელისუფალი რომ ამას გიკეთებს, ეს დასაგმობი ფაქტია. სხვა არ მაინტერესებს, ვინც შეურაცხყოფს ქართველებს, ისაა წყეული და დაწყველილი და ვინც ამ ამაზრზენი ფაქტების თანამომაწილე გახდება.

დღეს ქრათველმა უნდა გააკეთოს არჩევანი სიმართლესა და სიცრუეს, ბოროტებასა და სიკეთეს შორის და მე პირდაპირ გეტყვით, ეს ხელისუფლება არის ბოროტება და ბოროტებამ უნდა დაამთავროს თავისი არსებობა, თუ არადა შეიძლება იგივე ყველას თავს განმეორდეს. მათ თავისი გეგმები აქვთ. „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელიც თითქოს ფარდის მიღმა დგას, ყველაფერ ამას განაგებს. ითქვა კიდეც მეუფე იობის მიერ, რომ საქართველოს სახელიც კი შეიძლება შეუცვალონ და ვეთანხმები ამ აზრს. ადამიანი არის ხატი ღმრთისა და არ ვარჩევ, ვინ დგას მარცხნივ თუ მარჯვნივ. მე ვარჩევ ადამიანებს სიკეთისა და ბოროტების მიხედვით. ჩვენ ფაქტის წინაშე დავდექით. ვნახეთ ეს საშინელება, რომელმაც გამოაფხიზლა ქართველი საზოგადოება. **ესაა ჩვენი ტკივილი. ყოფნა-არყოფნის ჟამია დღეს, ამიტომ მოგიწოდებთ, გააკეთოთ სწორი არჩევანი.** ნათესაობაზე კი არაა დაყრდნობილი ერის ბედი – სიმართლეზეა. თუ ჩე-



**ყოფნა-არყოფნის ჟამია დღეს, ამიტომ მოგიწოდებთ, გააკეთოთ სწორი არჩევანი. ნათესაობაზე კი არაა დაყრდნობილი ერის ბედი — სიმართლეზეა. თუ ჩემი ძმა ან ნათესავი იმ მხარეს დგას, ღმერთმა არ გაახაროს**

მი ძმა ან ნათესავი იმ მხარეს დგას, ღმერთმა არ გაახაროს. ესაა ნეობოლშევიზმი, ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ვითომ დემოკრატიას ქადაგებს, არადა, 5-10 კაცია, რომელთაც ყველაფერზე მონოპოლია აქვთ — ძალადობაზე, უწესობაზე, უზნეობაზე. თუ თავი უზნეოა, მაშინ ეცემა ერი. თუ თავი არის ზნეობრივი და ღვთიური, ყველაფერი კარგადაა. ამიტომ გვმართებს დღეს გამოფხილზება და სწორი გადაწყვეტილების მიღება. გამგები გაიგებს და მიხვდება. პასუხისმგებელია ყველა სინდისის წინაშე. ღმერთს და საკუთარ თავს ვერ მოატყუებ. სინდისი მთელი შენი ცხოვრების მანძილზე შეგაწუხებს და ღმერთმა ყველა დაიფაროს ამისგან. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გაუხსნას ქართველ ერს გონება და დაიფაროს საქართველო. დარწმუნებული ვარ, რომ დაიფარავას კიდეც, მაგრამ ჩვენზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მე მზად ვარ, პირველი შევეწირო ჩვენ ერს და ქვეყანას და, თუ ეს საზოგადოებამ კიდევ ვერ დაინახა და გაიგო, 10 წელია, აქ ვარ, მაშინ ჩვენ არაფერი გვესაქმება. თუ ხალხს არ ესმის თავისი მწყემსმთავრისა, მაშინ დაავადებულია ასეთი სამწყსო. დაავადება ისეთი სენია, რომელიც ზემდგომებს ახლა გააჩნიათ, კეთროვნები არიან. კეთრი კიდე გადამდებია და ბევრი დააავადეს, ბევრი გაიყიდა რაღაცის გამო. არ შეიძლება გაყიდო სული, გინდ იყოს ეს ფინანსური დაინტერესების ან ტერორის გამო. ვერავის ვერაფარით დააშინებენ. ვისაც არ ეშინია, ვერაფერს დააკლებენ. და თუ გჯერა ღვთისა, გაიმარჯვებ, და თუ გჯერა ეშმაკისა, ჩაგითრევს.

ხშირად მომისმენია იმაზე ვარ ნაწყენიო. აქ კონკრეტულ პიროვნებაზე არაა. იმ პიროვნებას მივხედავთ და მოვუვლით მერე, **ახლა მთავარია არჩევანი, რომ ქვეყანა გადარჩეს და თითოეულ თქვენგანს მიეცეს მომავალი ცხოვრების შანსი. დანგრეულია ეკონომიკა, მოშლილია სახელმწიფო სტრუქტურა, ვიღაცები სხედან მაღალ თანამდებობებზე და კეთილად არიან. ვიღაცებს ერთ-ორ კაპიკს მიუგდებენ ერთჯერადად და ამაზე მიდის ადამიანი. ესაა ღირსების შელახვა. არ გააკეთოთ ეს! ღვთის წყალობით დალაგდება ქვეყანა და სახელმწიფო.**

3 დღეა, მოსვენება არ მქონია. ვერ ვისვენებ, სანამ ეს ბოროტება არ მოისპობა. მაქსიმალურად ეცადნენ, ეს კადრები დაემალათ, მაგრამ ციხე შიგნიდან ტყდებაო. გამოჩნდნენ ვიღაც ღირსეულები, ვინაც ველარ აიტანა ეს და გამოააშკარავა. მადლობა ღმერთს! თუ ამის მერე ადამიანი კიდევ იმათკენ დადგება, მას სახე ექნება დაკარგული. არ აპატიებს ღმერთი. უნდა გადავდოთ პირადული წყენა და ერი და ბერი დავდგეთ ერთად. გაბედულად ვლაპარაკობ ყოველთვის, პირისპირ შემიძლია ვესაუბრო ამაზე პრეზიდენტს, ახალაიებს, ადეიშვილს, გოროზიას და მისაუბრია კიდეც. არაერთხელ მიმხილებია, მაგრამ დღეს საზოგადოება რატომღაც შეშინებულია. არ ვიცი, რატომ. სვანეთი იყო განსაკუთრებულად გამორჩეული ყოველთვის ერთობაში და ეს ერთობა უნდა შედგეს. მე თქვენ გვერდით ვარ და ღმერთი არს ჩვენთან“, — იქადაგა მეუფე ილარიონმა.

# თქვენო უწმინდესობავ, არჩევნების გამყალბებლებს შეჩვენებისა და ანათემის გარდა ვერაფერი შეაჩერებს!



**მოგმართავთ მონა ღვთისა, თქვენ, საქართველოს სულიერ მამას, უდიდესი პატივისცემით, მოკრძალებითა და ამავე დროს უკიდურესი პირდაპირობით! დიახ, უკიდურესი, რადგან უკიდურესი შეჭირვების ჟამი უდგას დღეს ჩვენს სამშობლოს. უფრო მეტიც, მოახლოებული არჩევნები ყოფნა-არყოფნის მნიშვნელობისაა საქართველოსთვის!**

თქვენი გასული პარასკევის ქადაგებიდან რამდენიმე პასაჟმა გაუგებრობა და უკმაყოფილებაც გამოიწვია არა მხოლოდ მორწმუნე მრევლისა, არამედ საერთოდ საზოგადოების უმრავლესობისა, რაც ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ და ამიტომაც ჩათვალეთ, ალბათ, საჭიროდ დამატებითი განმარტებების გაკეთება.

**საზოგადოებას ისიც კარგად მოგვეხსენება, თუ როგორ და რატომ ხვდება ხოლმე თქვენს ქადაგებებში თუ ეპისტოლეებში უცნაური პასაჟები. უფრო მეტიც, იქამდც კი გათავხედდნენ, რომ თქვენ თვალწინ საერთოდ გამოტოვეს ამასწინათ თქვენი ეპისტოლეს კითხვისას ის პასაჟი, რომელშიც თქვენ ღიად საუბრობდით ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის დაუშვებლობაზე!**

ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ქცევა საპატრიარქოს მიმართ საზოგადოებას ხშირად უჩენს საფუძვლიან შეკითხვებს, რის მაგალითადაც თქვენ მიერ ცალსახად და მკაცრად დაგმობილი პატიმრების გაუპატიურების ფაქტების შემდეგ ამ ყველაფრის ერთ-ერთი „შემოქმედის“, სადისტი დათა ახალაიასი და მისი მარჯვენა ხელის, სოსო თოფურიძის, ელვისებური ვიზიტი იყო თქვენთან, საზოგადოებამ ჩათვალა, რომ სწორედ ამის გამო დაფიქსირდა პარასკევის ქადაგებაში ის პასაჟები, რომლებმაც, ვიმეორებ, გაუგებრობა გამოიწვია!

**საზოგადოება ასევე ნათლად ხედავს, რომ შოკიდან გამოსული პრეზიდენტი, სწორედ იმ პასაჟების ტექსტებით გვესაუბრება** (რომ „მსგავსი რამ სხვა ქვეყნებშიც ხდება“, რომ „ზოგიერთები სარგებლობენ შექმნილი მდგომარეობით და საქართველოში არასტაბილურობის შემოტანა სურთ“) **ჩვეული რიხით და აქეთ გვემუქრება პირდაპირი ტექსტით, ბეჭებზე დადებით!**

თუმცა რაღა გვემუქრება — უკვე დაიწყო პირდაპირი რეპრესიები! დღე არ გავა, რომ არ დააპატიმრონ „ქართული ოცნების“ აქტივისტები. **დააპატიმრეს დაჩი ცაგურია და კიდევ 4 აქტიური ახალგაზრდა,** რომელთაც 10-დან, 40 დღემდე პატიმრობა მიუსაჯეს. გუშინ უკვე სტუდენტობასაც დაერივნენ — პირველი 2-3 დღის მანძილზე პატრული სტუდენტებთან ახლოს მიკარებასაც თუ ვერ ბედავდა, ორშაბათს ფილარმონიასთან პირველი მასიური ძალისმიერი აქციაც ჩაატარეს, ხოლო გვიან ღამით უნივერსტეტთან **დააკავეს სახლში მიმავალი სანდრო ცაგარელი,** რომელიც ამჯერად იოლად გადარჩა, 400 ლარით დააჯარიმეს...

თქვენო უწმინდესობავ! სიტუაციის აშკარა ესკალაცია სახეზეა და, რაც დრო გავა, ტემპერატურა უფრო აიწევს, რადგანაც, ვიმეორებ, ამ არჩევნებს (თუ მივედით საერთოდ იქამდე) სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს!

ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბების ალბათობა ძალიან მაღალია, გაყალბებას კი აუცილებლად მოჰყვება მასობრივი პროტესტი, რაც ადვილი შესაძლებელია, გადაიზარდოს სამოქალაქო დაპირისპირებაში, აქედან გამომდინარე სავალაო შედეგებით.

მაგრამ არჩევნების გაყალბებას სჭირდება ადამიანური რესურსი და ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც კრძალავს და სჯის არჩევნების გამყალბებლებს, ვერ ასრულებს სათანადო შემაკავებელი ფაქტორის როლს, დროული და ფრიად მისასალმებელი იქნებოდა, ეკლესიას მკაცრად აღეკვეთა არჩევნების გაყალბების ცდუნება.

**თქვენო უწმინდესობავ, თუკი ეკლესია მის ხელთარსებული საშუალებებით (ანატჰემა, შეჩვენება ან სხვა ფორმა, რაც საპატრიარქოს უკეთ მოეხსენება) მკაცრად გააფრთხილებს როგორც ამ საქმეში უკვე არაერთგზის შემჩნეულ მოხელეებსა თუ გაყალბების რიგით შემსრულებლებს, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს არჩევნების გაყალბების ალბათობას და ვინძლო უდიდესი ტრაგედიაც აგვაცილოს თავიდან.**

თუ კი ამ წერილით რაიმე სახის კადნიერება ჩავიდინე, თქვენო უწმინდესობავ, გთხოვთ, მომიტევოთ რეგვენს. უფალს ვთხოვ შენდობას, რამეთუ ჩემი კადნიერების ერთადერთი მოტივი მხოლოდ სამშობლოს სიყვარულია!

**მოკრძალებითა და ქრისტესმიერი სიყვარულით**

**დავით მხეიძე**

სხვისი თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა საქართველოს აქვს დიდი ქართული ოცნება — როგორმე განთავისუფლდეს ცნობილი ჰალსტუხების მჭამელი პრეზიდენტისგან. ამის გაკეთება იოლი საქმე არაა, რადგან ესოდენ უჩვეულო გასტრონომიული მიდრეკილებების ადამიანი დიდი სიამოვნებით ნთქავს ოპოზიციასაც და გზიდან იშორებს ყველა სახიფათო მოწინააღმდეგეს.**

# ქართული ციხის ჯოჯოხეთმა მსოფლიო შეაძრწუნა

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელმა ჟან-კლოდ მინიონმა „დაუშვებელი სისასტიკე“ უწოდა გლდანის მე-8 საპყრობილეში პატიმართა წამების ფაქტებს და ხაზი გაუსვა, რომ ამას ადგილი ჰქონდა ევროსაბჭოს წევრ ქვეყანაში.**



სტუდენტების საპროტესტო მარში

„მრავალი ტელევიზიის მიერ ტრანსლირებული კადრების ნახვით შოკირებული და შეძრწუნებული ვიყავი, იმდენად სასტიკად ეპყრობიან მცველები პატიმრებს საქართველოს ერთ-ერთ ციხეში. და ამგვარ დაუშვებელ სისასტიკეს ადგილი ჰქონდა ევროსაბჭოს წევრ ქვეყანაში“, — ნათქვამია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის განცხადებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ აპირებს დამნაშავეების დასჯას.

„ვიმედოვნებ, რომ ყველა, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებულია ამ საშინელ საქმესთან, დაკავებული თანამდებობის მიუხედავად, დადგენილ იქნებიან და დაისჯებიან კანონის შესაბამისად,“ — ხაზი გაუსვა ჟან-კლოდ მინიონმა.

„ევროპის საბჭოს ევროპული კომიტეტის რეკომენდაციები წამებისა და არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობის აღკვეთის შესახებ, რომელშიც მუდმივად აკონტროლებენ, თუ როგორ ექცევიან ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების პატიმრებს, უნდა იყოს სახელმძღვანელი საქართველოს ხელისუფლებისთვის იმისათვის, რომ მსგავსი სიტუაციები არ განმეორდეს“, — ნათქვამია განცხადებაში.

გაეროს საბავშვო ფონდმა **იუნისეფმა** განიკითხა ბავშვების უფლებების დარღვევა საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში. ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, არც ერთი ბავშვი არ უნდა გახდეს წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შეურაცხმყოფელი მოპყრობის ან სასჯელის ობიექტი.

**იუნისეფმა** ასევე შეშფოთება გამოხატა არასათანადო მოპყრობის გამო ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში, რომლის შესახებაც აღნიშნული იყო საქართველოს სახალხო დამცველის 9 სექტემბრის განცხადებაში და მიმართავს ქვეყნის ხელისუფლებას, ადეკვატური რეაგირება მოახდინოს ამ შემთხვევაზე.

იუნისეფმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, საგულდაგულოდ გამოიძიოს დაკავებულ ან თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანებთან მოპყრობის ფაქტები, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც და უზრუნველყონ მსხვერპლთა და ძალადობის მოწმეთა უსაფრთხოება.

„ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ადამიანთა უფლებების დაცვა“, — ხაზგასმულია ორგანიზაციის განცხადებაში.

გაეროს ბავშვთა ფონდი აღნიშნავს, რომ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად საქართველოსეხმარება არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების რეფორმირებაში და მზადაა, განაგრძოს ამ სფეროში მხარდაჭერა.

ევროპული დიპლომატიის ხელმძღვანელი შეძრულია შოკისმომგვრელი ვიდეოს გამო, რომლის თანახმადაც გლდანის ციხეში პატიმრებს არაადამიანურად ეპყრობიან. ამის შესახებ ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც კეტრინ ეშტონის პრეს-სამსახურმა გამოაქვეყნა.

**კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ყველა ქვეყანა ვალდებულია, უკომენტაროდ დაემორჩილოს მოთხოვნას წამებისა და სასტიკი მოპყრობის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ. კეტრინ ეშტონი ასევე ხაზს უსვამს აუცილებლობას, საგულდაგულოდ და გამჭვირვალედ იქნეს გამოძიებული და შემდეგ ასევე წარიმართოს სასამართლო პროცესი დამნაშავეების წინააღმდეგ.**

ეშტონმა მხედველობაში მიიღო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა პირველი ნაბიჯები ამ საკითხის გადასაჭრელად, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დამნაშავენი უნდა დაისაჯონ.

**მომხდარს გამოეხმაურა მსოფლიო პრესა და უამრავი ექსპერტი. რეინჰარდ ვეზერმა „FRANKFURTER ALLGEMEINE“-ს ფურცლებზე განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის განცხადება „ნულოვანი ტო-** ►

# ირტყით ვარდისფერი ცოცხი



**საქართველოზე ახლა ამბობენ, რომ ის ჰგავს ვაშლს, რომელიც გარეგნულად ლამაზად გამოიყურება, შიგნიდან კი მატლებისგანაა გამოხრული. როგორ არ ეცადნენ ამერიკელი „იმიჯმეიკერები“ მისგან „დემოკრატიის ვიტრინის“ შექმნას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. პრეზიდენტი მიშიკო ყალბი დემოკრატი აღმოჩნდა და მისი ყველა ნაქები „მიღწევა“ — კორუფციასთან ბრძოლიდან არნახულ ეკონომიკურ ზრდამდე — მხოლოდ პიარ-წარმატებების, რომლებსაც აშშ-ის ერთი საბეჭდი მანქანის პროდუქციით ანაზღაურებენ.**

იქ, სადაც პიარშიკები „რევოლუციურ ვარდებს“ ხატავდნენ, დღეს არნახულად ყვავის ავტორიტარობისა და მაფიოზობის ნარეკალი.

**ახლა საქართველოს აქვს დიდი ქართული ოცნება — როგორმე განთავისუფლდეს ცნობილი ჰალსტუხების მჭამელი პრეზიდენტისგან. ამის გაკეთება იოლი საქმე არაა, რადგან ესოდენ უჩვეულო გასტრონომიული მიდრეკილებების ადამიანი დიდი სიამოვნებით ნთქავს ოპოზიციასაც და გზიდან იშორებს ყველა სახიფათო მოწინააღმდეგეს.** პრემიერი ზურაბ ჟვანია გაგუდული იპოვეს, ბადრი პატარკაციშვილი უცებ გულის შეტევით გარდაიცვალა, პარტიის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა წაართვეს, თამაზ თეთრაძე საქართველოში დააკავეს რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით, ერთ კვირაში კი იგი ციხეში გარდაიცვალა „გულის შეტევით“.

მაგრამ ჭიანი ვაშლი დიდხანს არ შეინახება. ქართულ სახელმწიფოში დაგროვილმა სიდამპლემ გამოჟონა. ვიდეოკადრებმა, რომელზეც ასახული იყო, თუ როგორ აწამებენ ხალხს ქართულ ციხეში, ქართველი ხალხის მოთმინების ფიალა აავსო. „იმ სახელმწიფოს შექმნა, სადაც უკანონობა, უნამუსობა და უსამართლობა მეფობს, ამ ხელისუფლების მიზანი იყო და მან ამას მიაღწია“, — ირწმუნება ოპოზიცია.

**საქართველოს ციხეებში დანაშაულთა შესახებ დიდი ხანია ცნობილი. ივლისში დაახლოებით 700-მა პატიმარმა ქსნის ციხიდან მისწერეს სახალხო დამცველს, გიორგი ტუღუშს, იქ გამეფებული ძალადობის თაობაზე. ოპოზიცია ითხოვდა პატიმართა წამების შეწყვეტას, მათ თაობაზე იტყობინებოდა სახალხო დამცველის 2011 წლის მოხსენება. ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვდა სასჯელაღსრულების მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის, გადადგომას.**

„სულელი თოჯინა ხათუნა კალმახელიძე და მისი მსგავსი ამორალური ქალი-მინისტრები, რომლებიც სააკაშვილმა შემოიკრიბა, უნდა წავიდნენ. მათთან ერთად პრეზიდენტს ქვეყანა აღსასრულისკენ მიჰყავს. მათ პასუხი უნდა აგონ მთელი ხალხის წინაშე და მკაცრად უნდა დაისაჯონ“, — ამბობდა საპროტესტო აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

„დემოკრატიის“ მოთამაშე მიშიკომ სასჯელაღსრულების მინისტრის ურთულეს თანამდებობაზე დანიშნა ოცდაათი წლის ქალბატონი, რომლის ერთადერთ ღირსებას აშშ-ში მიღებული პოლიტოლოგის დიპლომი წარმოადგენდა. ახლა ის საჩქაროდ გადადგა, მაგრამ უშველის კი ეს და დაიხსნის პასუხისმგებლობისგან იმ დანაშაულის გამო, რომელიც მის სისტემაში ხდებოდა?

ციხის სკანდალის შემდეგ სააკაშვილს ძალიან გაუჭირდება საპარლამენტო არჩევნების მოგება.

ტელეკომპანია „მაესტროს“ წამყვანმა შალვა რამიშვილმა ქართველებს საარჩევნო ურნებთან მშვიდობიანი ამბოხისაკენ მოუწოდა და, როგორც ექსპერტები აცხადებენ, ამგვარი ამბოხის ალბათობა ძალიან დიდია.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა სერგეი მარკოვს დამკვირვებლის სტატუსით დასწრებოდა საპარლამენტო არჩევნებს. ცნობილი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება. ეს არჩევნები უკიდურესად მნიშვნელოვანია სააკაშვილისთვის. ხელისუფლების შენარჩუნება მისთვის გადარჩენაა, რამდენადაც ადამიანთა უდიდესი რაოდენობა დარწმუნებულია, რომ, თუ სააკაშვილი ხელისუფლებაში აღარ იქნება, დაუყოვნებლივ დაიწყება მისი დანაშაულებების გამოძიება.

**ათასობით სტუდენტმა თბილისის ცენტრში ცოცხებით გაიარა, ახალგაზრდების მხარდამჭერმა ხალხმა საკუთარი სახლების ფანჯრებში გადმოკიდა ცოცხები.**

**საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ „ცოცხების კონტრრევოლუციით“ მთავრდება.**

file-fr.ru

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში პატიმრების რაოდენობა გასამმაგდა. ახლა საქართველო, სადაც 100 ათას მოსახლეზე 514 პატიმარი მოდის, ამ მხრივ ევროპაში პირველ ადგილზეა, მსოფლიოში კი — მეექვსეზე. უფრო მეტიც, ომბუდსმენის მონაცემებით, სასჯელაღსრულების ადგილებში სიკვდილიანობამ იმატა, მაგალითად, 2009 წლის მონაცემები 2010 წელს 50%-ით გაიზარდა.

სხვისი თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლერანტობის“ შესახებ უკანონობასთან ბრძოლაში უფრო მეტი იყო, ვიდრე სახელმწიფოს ბრძოლა დამნაშავეობრივ სამყაროსთან, მაშინ რევოლუციონერები ამ ბრძოლას ქვეყანაში ხელისუფლების ხელში აღებისათვის ბრძოლად აღიქვამდნენ.

მისივე თქმით, 1 ოქტომბერს არჩევნებში სააკაშვილს 2003 წლიდან ამ დრომდე პირველად დაუპირისპირდება სერიოზული მოწინააღმდეგე — მულტიმილიარდერ ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“.

მეორე მხრივ, ვეზერი აცხადებს, რომ საქართველო პატიმრების რაოდენობის მიხედვით ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზეა. „მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დაწყებიდან საქართველოს ციხეებში პატიმრების რაოდენობა გასამმაგდა და ნულოვანი ტოლერანტობის გამო ციხეში ხანგრძლივი ვადით ხვდებიან ყველაზე უმნიშვნელო დანაშაულისთვისაც კი. 2006 წელს დაუნდობლად ჩაახშეს ამბოხი ორ ციხეში, არსებობს ინფორმაცია 20 მოკლულის შესახებ. წარმოუდგენელია, მაგრამ თვით სააკაშვილის მოწინააღმდეგენიც კი თანხმდებიან აზრს, რომ მან მოახერხა ქვეყანაში პოლიციის პარპაშისა და კორუფციის აღკვეთა. დღემდე ეს სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად ითვლებოდა“.

**„DER SPIEGEL“ წერს, რომ ციხის სკანდალი არჩევნების მიჯნაზე მნიშვნელოვნად დააზარალებს სააკაშვილის რეპუტაციას, რომელიც საქართველოში რეფორმატორად ითვლებოდა.** „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სააკაშვილმა რკინის ხელით გაატარა სამართალდამცავი და იუსტიციის ორგანოების, ასევე ადმინისტრაციის რეფორმები და გაათავისუფლა არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების ყველა თანამშრომელი, არამედ ათასობით ჩინოვნიკი და მოსამართლე, რათა დაეძლია კორუფცია და თვითნებობა ამ სისტემებში. ამ დრომდე ითვლებოდა, რომ მან ეს შეძლო, ახლა კი ანალიტიკური სააგენტოები სააკაშვილის მოწინააღმდეგეს, ერთ დროს მის მომხრე ბიძინა ივანიშვილს არჩევნებზე კარგი შედეგების მიღწევას უწინასწარმეტყველებენ“.

**„The New York Times“-ს აინტერესებს, როდის იქნა გადაღებული ვიდეო და აღნიშნავს, რომ ხელისუფლება არ უარყოფს მის ნამდვილობას.** გაზეთის ცნობით, ვიდეო მაშინვე გამოიყენა ოპოზიციამ მოახლოებულ არჩევნებზე გამარჯვების მისაღწევად და ხელისუფლების გასაკრიტიკებლად. გამოცემა პროკურატურის ვერსიას ახმოვანებს შეკვეთილი ვიდეოს თაობაზე, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს ციხეებში დამნაშავეების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ პატიმართა რაოდენობა გააოთხმაგა და 10 წელზე ნაკლებ დროში 6 ათასიდან 24 ათასამდე გაზარდა.

# საქართველო: რეფორმები ციხის კართან დასრულდა

**არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გაჩაღებულმა ციხის სკანდალმა შესაძლოა საქართველოში პოლიტიკური ძალების გადანაწილებაზე მოახდინოს გავლენა. ამასთან, ეს ყველაფერი მთელ რიგ შეკითხვებს ბადებს. საქართველოს ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევა დახარჯა, რომ თავი წარმოეჩინა როგორც დემოკრატიზაციისაკენ კურსის ამრჩევ ხელისუფლებად. საბჭოთა მემკვიდრეობასთან ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ძალოვანი სტრუქტურების რეფორმებმა: ცვლილებები პოლიციაში, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გამარტივება და ასე შემდეგ. ამ ყველაფერს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და სამაგალითო იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა ლიბერალისთვის. ამ ყველაფრის ფონზე გლდანის ციხეში გადაღებული კადრები სერიოზულ დარტყმას აყენებს საქართველოს იმიჯს საერთაშორისო საზოგადოების თვალში. რატომ მოხდა ეს მაინცდამაინც საქართველოს ციხეში? აღნიშნავს თუ არა ეს, რომ რეფორმები მართლაც ციხის კართან დასრულდა?**



## კანონიერ ქურდებთან ბრძოლა

აქ რამდენიმე პუნქტია გასახსენებელი: ჯერ ერთი, ჩატარდა საქართველოს ციხეების რეფორმა. ეს სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტიც კი იყო.

მაგრამ ამ რეფორმის მიზანი იყო „კანონიერი ქურდების“ განადგურება. არსებობს ოფიციალური განცხადებებისა და სტატიების დიდი რაოდენობა, რომლებშიც ხელისუფლება შექებულია ამ ბრძოლაში წარმატებებისთვის. რის ფასად და რა მეთოდებით ხორციელდებოდა ეს ყველაფერი, მნიშვნელოვანი არ იყო.

მეორეც, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებსა და ქართულ ციხეებში პატიმრებისადმი სასტიკი მოპყრობის შესახებ ადრეც იყო ცნობილი. ამის შესახებ მუდმივად იუწყებოდნენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

თავად ომბუცმენიც კი ყოველ წელს აქვეყნებდა ძალადობის კონკრეტულ შემთხვევებს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ არსებობს ქართულ ციხეში სასჯელმოხდილი დაზარალებულების ჩვენებები.

**რატომ არავინ აღშფოთდა ადრე?**

**ზოგიერთები დუმდნენ იმიტომ, რომ არ არსებობდა საკმარისად დამაჯერებელი მტკიცებულებები, სხვები — იმიტომ, რომ დარწმუნებულნი იყვნენ საკუთარი გამოსვლების უშედეგობაში** იქ, სადაც უმრავლესობას ურჩევნია,სჯეროდეს ზღაპრული მითისა „კეთილისმყოფელი და მამაცი მმართველების წყალობით დემოკრატიაზე მშვიდობიანი და უმტკივნეულო გადასვლის“ შესახებ.

**იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ეშინოდათ.**

მაგრამ ძალადობის ფაქტების საკუთარი თვალით ხილვა სულ სხვა რამაა და ამან განაპირობა ღრმა ემოციური შოკი მოსახლეობის უმრავლესობაში, რომელსაც, უბრალოდ, არ სჯერა, რომ სახელისუფლო სტრუქტურებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

მესამეც**, ეს დარღვევები შეუძლებელია განხილულ იქნეს იზოლირებულ მოვლენებად.** პირიქით, ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ საუბარია გავრცელებულ მოვლენაზე, შესაძლოა, სისტემატიურზეც კი.

მრავალი შეძრა ციხის გუშაგების ცალსახა მისწრაფებამ, დაემცირებინათ პატიმრები და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **ეს პოლიტიკის ნაწილია და მიმართულია კანონიერი ქურდების სისტემის დანგრევისკენ**.

განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია იმანაც, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პოლიცია შეიგზავნა.

არადა, სწორედ შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია იდგა პენიტენციალური ადმინისტრაციის სათავეში, როდესაც 2005 წელს კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო.

**ძალადობის ფაქტების საკუთარი თვალით ხილვა სულ სხვა რამაა და ამან განაპირობა ღრმა ემოციური შოკი მოსახლეობის უმრავლესობაში**

## „ვარდების რევოლუციის“ ციხის სტატისტიკა

ეს დარღვევები უნდა განვიხილოთ სასამართლო სისტემისა და კრიმინალთან ბრძოლის რეფორმების უფრო ფართო კონტექსტში. სწორედ ამ რეფორმებმა განაპირობა პატიმართა რაოდენობის ზრდა.

**„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში პატიმრების რაოდენობა გასამმაგდა. ახლა საქართველო, სადაც 100 ათას მოსახლეზე 514 პატიმარი მოდის, ამ მხრივ ევროპაში პირველ ადგილზეა, მსოფლიოში კი — მეექვსეზე.**

**უფრო მეტიც, ომბუდსმენის მონაცემებით, სასჯელაღსრულების ადგილებში სიკვდილიანობამ იმატა, მაგალითად, 2009 წლის მონაცემები 2010 წელს 50%-ით გაიზარდა.**

სისხლის სამართლის პასუხისგების სისტემა აწყობილ იქნა ისე, რომ გარკვეულწილად წახალისებულიც კი იყო ბრალდებულების წინააღმდეგ ძალის გამოყენება. მთავარ როლს ასრულებდა საკუთარი დანაშაულის აღიარება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „plea bargain“-ის პროცედურა შემოიღეს. ამ პროცედურის დროს შეთანხმება იდება ბრალმდებელსა და დაცვას შორის, დაცვა პირობას დებს, რომ არ გააპროტესტებს ბრალდებებს, სანაცვლოდ კი ბრალდება პირობას დებს, წამოაყენონ სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც იმაზე ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე თავიდან იგულისხმებოდა.

**ციხეში ძალადობის ფაქტები კვლავ აყენებს დღის წესრიგში რთულ საკითხს იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს დემოკრატიისაკენ მიმავალმა ხელისუფლებამ, რათა ამოძირკვოს საბჭოთა კავშირისაგან მემკვიდრეობით მიღებული ინსტიტუციონალური ძალადობა.**

ამ შემთხვევაში შესაძლოა საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ციხეებსა და საზოგადოებაში ძალადობის მაღალი დონის შენარჩუნებას და მის ლეგიტიმიზაციასაც კი.

## ახალი არასტაბილურობა

**ძნელი სათქმელია, რა პოლიტიკურ შედეგებს მოიტანს ეს სკანდალი, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მთავრობის რეაქციაზეც.შინაგან საქმეთა მინისტრის, ბაჩო ახალაიას, გადადგომა ადასტურებს, რომ ხელისუფლება მზადაა რეფორმებისთვის, მაგრამ არავინ იცის, რომ ეს საკმარისი იქნება.ქუჩაში გამოვიდნენ ახალგაზრდა ადამიანები, რომლებსაც ადრე პოლიტიკა არ აინტერესებდათ.**

ახლანდელმა პერიოდმა შეიძლება საქართველოში დესტაბილიზაციის ახალ პერიოდს დაუდოს სათავე. **თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებს არჩევნებში, ამომრჩეველი დაეჭვდება ამ არჩევნების კეთილსინდისიერებაში და არ აღიარებს შედეგებს. თუ ოპოზიცია გაიმარჯვებს, რაც ნაკლებსავარაუდო იყო აქამდე, ამან შეიძლება ინსტიტუციონალური კრიზისი განაპირობოს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ.**

ამ ყველაფერში კარგი მომენტებიც არის: პატიმრებთან სასტიკი მოპყრობის ფაქტები გახსნილია, საზოგადოება საქმის კურსშია, ხელისუფლება კი იღებს ვალდებულებას, ბოლო მოუღოს ამ ყველაფერს.

გარდა ამისა, მომხდარი არის იმის დადასტურება, რომ პოლიტიკური თამაშები საქართველოში უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

**bbc.co.uk**

მოკლედ

## ფრანგულმა ჟურნალმა მუჰამედის კარიკატურა დაბეჭდა

**ფრანგულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა Charlie Hebdo მოციქული მუჰამედის კარიკატურა დაბეჭდა. ამის შესახებ ფრანგული მედია იტყობინება. ჟურნალის პირველ გვერდზე გამოსახულია მუსლიმანი ინვალიდის ეტლში, რომელიც წარმოთქვამს ფრაზას „არაფერია სასაცილო“.** ილუსტრაციის სათაურია „ხელშეუხებელნი 2“ და წარმოადგენს პოპულარული ფრანგული ფილმის „ხელშეუხებელნი“ პაროდიას. ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ტელეარხ iTele-ში განაცხადა, რომ კარიკატურა შოკისმომგვრელი იქნება იმათთვის, ვისაც უნდა, რომ იყოს გაოგნებული იმ გაზეთის კითხვისას, რომელსაც არასოდეს კითხულობს. მისივე თქმით, კარიკატურები მუჰამედზე მხოლოდ საბაბია იმათთვის, ვისაც საბაბი სჭირდება. მას შემდეგ, რაც ფრანგულ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია Charlie Hebdo-ში კარიკატურების დაბეჭდვის შესახებ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჟან-მარკ ეირომ გამოსცა სპეციალური კომუნიკე, რომელშიც ყველას მოუწოდა პასუხიმგებლობისკენ. კარიკატურების გამოქვეყნება იმ პირობებში, როდესაც მთელ მსოფლიოში არ ცხრება ვნებათაღელვა სკანდალური ფილმის გამო, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაამწვავებს არსებულ ვითარებას.

სხვისი თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რა არის საქართველოს ყველაზე დიდი მიღწევები სააკაშვილის რეჟიმის განმავლობაში? სწორია, არაკორუმპირებული ძალოვანი სტრუქტურები, წესრიგის დამყარება და „კანონიერი ქურდების“ განადგურება. აი, ამ ვიდეოზე ყველამ დაინახა „მსოფლიოში ყველაზე არაკორუმპირებული ძალოვნები“ მთელი თავიანთი ბრწყინვალებით. როგორც ჩანს, ისტორიკოსები მართალს ამბობენ იმის შესახებ, რომ ყველაზე არაკორუმპირებული პოლიცია მესამე რეიხს ჰყავდა.



# სააკაშვილის მომხრეებს ცოცხებით გახვეტავენ

**საქართველოში გრძელდება საპროტესტო აქციები, რომლებიც მას შემდეგ დაიწყო, რაც ტელევიზიით აჩვენეს გლდანის №8 საპყრობილეში პატიმრების წამებისა და შეურაცხყოფის ამსახველი შოკისმომგვრელი კადრები. ექსპერტებმა უკვე უწინასწარმეტყველეს საქართველოში მმართველ პარტიას არჩევნებზე დამარცხება. საქართველოს პროკურატურა კი აპირებს დაამტკიცოს, რომ ფილმი გადაღებულია „ხელისუფლების დისკრედიტაციის“ მიზნით და მისმა ავტორებმა ამ საქმით ორი მილიონი დოლარი იშოვეს.**

საქართველოს მრავალ ქალაქში გრძელდება საპროტესტო აქციები, რომელთა მონაწილეებისუმრავლესობა ახალგაზრდობაა, რაც დამკვირვებლებს აძლევთ საფუძველს, განაცხადონ, რომ ქვეყანაში ახალი ხარისხის საპროტესტო მოძრაობა დაიწყო. „ოპოზიციის პოლიტიკოსებმა უშედეგოდ მიმართეს სტუდენტებს, აქტიურად გამოსულიყვნენ საპროტესტო მოძრაობისას 2007-2009 წლებში, მაგრამ მხოლოდ პატიმართა წამებისა და განსაკუთრებით ადამიანთა გაუპატიურების ფაქტებმა აიძულა საზოგადოების ეს კატეგორია, ქუჩაში გამოსულიყო“, — განაცხადა დამოუკიდებელმა ექსპერტმა ნიკა იმნაიშვილმა „კომერსანტთან“ საუბარში.

სტუდენტები შინაგან საქმეთა უკვე ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას, დაპატიმრებას ითხოვენ. ისინი ახალაიას სახლთან მივიდნენ თბილისის ცენტრში და ყოფილი მაღალი რანგის ჩინოვნიკის სადარბაზოს წინ ცოცხები დაყარეს, რითაც სკანდალური ვიდეოს ერთ-ერთი ყველაზე შოკისმომგვრელ სცენაზე მიანიშნეს. ძმები დათა და ბაჩო ახალაიები (დათა ახალაია ამ დრომდეც რჩება თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე), ისევე, როგორც მათი მამა — სამეგრელოს რეგიონის ყოფილი პროკურორი როლანდ ახალაია — საქართველოს ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის, უახლოეს თანამებრძოლებად ითვლებოდნენ.



**საქართველომ ადამიანთა წამება წინასაარჩევნო მიზნების მისაღწევ საშუალებად აქცია. ახლა თბილისის ციხის სკანდალს იყენებს ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც**

საქართველომ ადამიანთა წამება წინასაარჩევნო მიზნების მისაღწევ საშუალებად აქცია. ახლა თბილისის ციხის სკანდალს იყენებს ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც.

ახალგაზრდების კოლონებმა ფილარმონიის შენობაზეც მიიტანეს იერიში — მათ არ მოეწონათ, რომ ვიღაც ერთობოდა მაშინ, როდესაც ისინი სამართლიანობისთვის იბრძოდნენ. იმ მომენტში სცენაზე „ვერის უბნის მელოდიები“ გადიოდა. დემონსტრანტებმა ჩაშალეს სპექტაკლი სცენაზე ცოცხების სროლით. გარდა ამისა, მათ წითელი საღებავი გადაასხეს სპექტაკლის ერთ-ერთი მონაწილის, ვახტანგ კიკაბიძის, ვარსკვლავს. **„მიტინგებს მანამ განვაგრძობთ, ვიდრე სამართლიანობა არ იზეიმებს, ჩვენ ვერაფერი შეგვაჩერებს,** — უთხრა კომერსანტს ახალგაზრდების ერთ-ერთმა ლიდერმა დაჩი ცაგურიამ. — **ჩვენ ვამხელთ არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ ყველას, ვინც მასთან თანამშრომლობდა“.**

ზოგიერთი ქართველი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ უკანასკნელი მოვლენები მნიშვნელოვნად შეასუსტებს საქართველოს მმართველ პარტიას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ საპარლამენტო არჩევნების წინ, რომელიც 1 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს. **„ვერ წარმომიდგენია ადამიანი, რომელიც მომხდარის შემდეგ „ნაციონალურ პარტიას“ მისცემს ხმას,** — განუცხადა „კომერსანტს“ პოლიტოლოგმა გიორგი ხუხაშვილმა. — **ახლა ჩვენს თვალწინაა საკაშვილის მმართველობის აღსასრული, რაც გაფორმდება კიდეც 1 ოქტომბერს“.**

სხვა ექსპერტები პირიქით, აქებენ ხელისუფლებას ელვისებური რეაქციის გამო. **„ამგვარი ფაქტები ყველა ქვეყანაში ხდება, აშშ-შიც კი. ჩვენმა ხელისუფლებამ ელვისებურად მოახდინა რეაგირება ათეულობით დამნაშავის დაკავებითა და უყურადღებო ჩინოვნიკების თანამდებობებიდან მოხსნით“,** — ამბობს არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანება „ევროპული საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ქეთი გაბიანი. — **დესტაბილიზაციას ადგილი არ ექნება. ძალოვანი სტრუქტურები საკმაოდ ძლიერნი არიან იმისათვის, რომ ქაოსი არ დაუშვან“.**

პარასკევს საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოუწოდა ახალგაზრდებს, დროებით შეეწყვიტათ მიტინგები, რათა მათ გამოსვლებს ტრაგიკული მოვლენები არ მოჰყოლოდა. სტუდენტების ლიდერები დაემორჩილნენ ▶

# სააკაშვილის რეჟიმს ბოძი გადაუხერხეს

**საქართველოს ციხის სკანდალმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ბაჩო ახალაიას, გადადგომა განაპირობა. ბაჩო ახალაიამ, რომელიც საქართველოს ამჟამინდელი რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი ბოძი იყო, განაცხადა, რომ მიდის თანამდებობიდან, რადგან მომხდარის გამო „პოლიტიკურ და მორალურ პასუხისმგებლობას გრძნობს“. ოპოზიცია კი ახალაიას გასამართლებას მოითხოვს.**

ახალაიების კლანი, ორი ძმა და მათი მამა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ექსპროკურორი, ამჟამად დეპუტატობის კანდიდატი როლანდ ახალაია ვანო მერაბიშვილთან ერთად შედიან სააკაშვილის „უახლოეს წრეში“ და მისი ხელისუფლების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ. ისინი არასდროს ულალატებენ, იმიტომ, რომ რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში ციხე არის ყველაზე მცირე, რაც მათ შეიძლება ელოდეს. ისინი ვერსად გაიქცევიან, რადგან ისეთი ტვირთი ჰკიდიათ და ისეთ სისხლში არიან მოსვრილნი, რომლის ჩამორეცხვაც შეუძლებელია.

**ბაჩო ახალაიას ძმა, დავით (დათა) ახალაია, ამჟამად საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეა, მანამდე კი სათავეში ედგა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ანალოგიურ უწყებას ედგა სათავეში. სწორედ ამ უწყებაზე იყო გადაცემული სახელმწიფოს ნაციონალური უშიშროების სამინისტროს ყველა ფუნქცია. მთავარი ჩეკისტის თანამდებობიდან დათა ახალაია მას შემდეგ წავიდა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში ჩაუდგა მისი ძმა ბაჩო ახალაია მიმდინარე წლის ივლისში.** ამ ყველაფრის შესახებ ცნობა ერთგვარი სენსაცია იყო. ხელისუფლება დიდი ხნის მანძილზე მალავდა, რომ დათა ახალაიას კვლავ ეკავა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი: ოფიციალურად აცხადებდნენ, რომ ის თანამდებობიდან გაათავისუფლეს გირგვლიანის საქმის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ სანდრო გირგვლიანი, ბანკის ახალგაზრდა თანამშრომელი, მოკლული იპოვეს 2006 წლის 28 იანვარს. **უშუალოდ ამის წინ თბილისის ერთ-ერთ კაფეში მას ჩხუბი მოუვიდა პოლიციის მაღალჩინოვნიკებთან, რომელთა შორის იყვნენ ახალაია და მისი მოადგილე ოლეგ მელნიკოვი. ოფიცრები კაფეში მივიდნენ მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, მეუღლესთან, თაკო სალაყაიასთან, ერთად. ინციდენტის შემდეგ გირგვლიანი გაიტაცეს და მოკლეს.** მკვლელების ვინაობა დადგენილია — ისინი პოლიციის თანამშრომლები არიან. გარდაცვლილის ნათესავები ახალაიას პასუხისგებაში მიცემას ითხოვენ, რადგან მიაჩნიათ, რომ სწორედ მან ბრძანა გირგვლიანთან გასწორება. საქმემ აღშფოთების ტალღა გამოიწვია, რის შემდეგაც ხელისუფლება იძულებული გახდა, გადაემალა ახალაია და მას სპეცსამსახურების ხელმძღვანელობა საზოგადოებისგან მალულად უწევდა.



**გამორიცხული არაა, რომ რაღაც ანალოგიური გააკეთონ ახლა მის ძმასთან დაკავშირებითაც: ის ძალზე ღირებული კადრია, განსაკუთრებით არჩევნების წინ, არჩევნებისა, რომლის დროსაც შინაგან საქმეთა მინისტრზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული.** მით უფრო, ამგვარ ღირებულ და ბრძოლებში ნაწრთობ მინისტრზე, რომელიც 2003 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტში“ — „ვარდების რევოლუციის“ მთავარ ლაბორატორიაში მუშაობდა და სააკაშვილის მხარდამხარ შევარდა პარლამენტში იქიდან შევარდნაძის გამოსაგდებად. ვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას დაიკავებდა, ბაჩო ახალაია თავდაცვის მინისტრად მუშაობდა (2009-2012), თავდაცვის მინისტრის მოადგილედ (2008-2009) იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსად (2005-2009). **ოპოზიცია მას „სიკვდილის ესკადრონების“ შექმნაში ადანაშაულებს სხვათა შორის, დღეს მის ძმას იმაშიც სდებენ ბრალს, რომ სწორედ მან შეუკვეთა მოსკოვში გენერალ რომან დუმბაძის, აჭარის ექსმეთაურის ასლან აბაშიძის მომხრის მკვლელობა სააკაშვილისთვის „საჩუქრად“. რაც შეეხება მათ მამას, როლანდ ახა-** ▶

**ისინი ვერსად გაიქცევიან, რადგან ისეთი ტვირთი ჰკიდიათ და ისეთ სისხლში არიან მოსვრილნი, რომლის ჩამორეცხვაც შეუძლებელია**

## საქართველოს ახალი არაფერი გაუგია, „მაგრამ ყველაფრის დაუფარავად ხილვა შოკია, შოკი კი ყოველთვის ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობს“

სხვისი თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურს და პირობა დადეს, რომ ორშაბათიდან სააკაშვილის რეზიდენციასთან განაახლებენ მიტინგებსა და მსვლელობებს. ოპოზიციური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტს მოუწოდა, დაუყოვნებლივ გადამდგარიყო. **„ეს მისთვის ერთადერთი შესაძლო გზაა და მას ჯერ კიდევ შეუძლია ამ გზით ისარგებლოს“**, — განაცხადა მილიარდერმა პარასკევს თავის წინასაარჩევნო მიტინგზე.

**ამავე დროს ქვეყნის მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა პირობას დებს, რომ უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს რაღაც მასალებს იმის დასამტკიცებლად, რომ სენსაციური ვიდეოს ავტორი, გლდანის ციხის ყოფილი თანამშრომელი ვლადიმერ ბედუკაძე შეკვეთას ასრულებდა და ამ კადრების გავრცელებისათვის ორი მილიონი დოლარი მიიღო „ხელისუფლების დისკრედიტაციით დაინტერესებული მესამე პირებისგან“. ახლა ბედუკაძე ბრიუსელში იმყოფება და ბელგიის ხელისუფლებას პოლიტიკურ თავშესაფარს სთხოვს.**

ახლა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას საქართველოში ბაჩო ახალაიას ნაცვლად ეკა ზღულაძე ასრულებს. იგი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, კანდიდატურად ითვლება. თავის პირველ განცხადებაში ზღულაძემ პირობა დადო, რომ განაგრძობს რეფორმებს და უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისას.

kommersant.ru

**ლაიამ დიდი წვლილი შეიტანა სამეგრელოში ოპოზიციის ლიკვიდაციაში მხარეში პროკურორობის პერიოდში.**

ხანდახან ხდება, რომ შიგნიდან გამომპალი რეჟიმები უმნიშვნელო ბიძგისგანაც იშლება. სწორედ ასეთ ბიძგად შეიძლება იქცეს სააკაშვილისთვის გლდანის ციხეში წამებათა ამსახველი ვიდეო. საქართველოს მოსახლეობამ ხომ მშვენივრად იცის, რომ ის, რაც ვიდეოზეა ასახული, მხოლოდ გლდანის ციხეში არ ხდება. და ეს ერთი ეპიზოდი არაა. ეს სისტემაა. სწორედ ასე აშენებდა სააკაშვილი თავის „დემოკრატიის შუქურას“.

**რა არის საქართველოს ყველაზე დიდი მიღწევები სააკაშვილის რეჟიმის განმავლობაში? სწორია, არაკორუმპირებული ძალოვანი სტრუქტურები, წესრიგის დამყარება და „კანონიერი ქურდების“ განადგურება. აი, ამ ვიდეოზე ყველამ დაინახა „მსოფლიოში ყველაზე არაკორუმპირებული ძალოვნები“ მთელი თავიანთი ბრწყინვალებით. როგორც ჩანს, ისტორიკოსები მართალს ამბობენ იმის შესახებ, რომ ყველაზე არაკორუმპირებული პოლიცია მესამე რეიხს ჰყავდა.**

mk.ru

# სააკაშვილი ციხის კანონებით გასცემს პასუხს

**არჩევნებამდე რამდენიმე დღის წინ მთელი საქართველოს შემძვრელმა ვიდეომ ქვეყანა ვერ გახლიჩა. პირიქით, შესაძლოა ისინი, ვინც ასე ზუსტად დაგეგმა წინასაარჩევნო გზა, ვერც ივარაუდებდა, რომ ქვეყანა გაერთიანდებოდა იმ შოკისგან, რომელიც ნანახმა მოჰგვარა. ის კი, რაც ამ ქვეყანამ ნახა, ბავშვებმა და უფროსებმა, რომელთაც სუსტი გული აქვთ, არ უნდა ნახონ. ხელისუფლება, როგორც ჩანს, თავიდან იმედოვნებდა, რომ თავიდან აიცილებდა მომხდარს და შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტზე განათავსა ვიდეოჩანაწერი, რომელიც გადაღებულია ფარული კამერით გლდანის ციხეში. არც თუ სუფთა კადრებიდან შეიძლება მიხვედრა, რომ იქ პატიმრებს სცემენ.**



სხვა ყველაფრის პუბლიკაცია, როგორც სამინისტროში განაცხადეს, დაუშვებელი იყო საზოგადოებრივი ჩვენებისთვის, თუმცა იმავე საღამოს გაირკვა, რომ გამოქვეყნებული ლაით-ვერსია მხოლოდ სრულმასშტაბიანი დემონსტრირების ანონსი იყო, დემონსტრირებისა, რომელიც ორმა ოპოზიციურმა არხმა მოაწყო. **ქვეყანამ საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ სცემენ პატიმრებს, რომ მათ აუპატიურებენ ხელკეტებითა და ცოცხებით და ეს ხდება ყოველდღიურად, რასაც უკვე მიეჩვიენენ ციხის თანამშრომლები და რაც აღარ აკვირვებთ პატიმრებს.**

არჩევნებამდე ათი დღით ადრე ქვეყანა შეიძმუხნა.

იმას, რომ მთელი ეს ისტორია პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტური თეთრი ძაფითაა ნაკერი, საქართველოში ეთანხმება ყველა, მიუხედავად პოლიტიკური ორიენტაციისა.

**არავის გაჰკვირვებია, რომ ჯერ კიდევ 2011 წელს გაკეთებული ჩანაწერები თავის დროს ელოდა და ეს დროც დადგა. როგორც გაირკვა, ამ ვიდეოების არსებობის შესახებ იცოდა გაცილებით მეტმა ადამიანმა, ვიდრე გადაღებისთვის იყო საჭირო და ესეც არავის ეუხერხულება.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცებაზე, რომ მთელ ოპერაციას ამავე ციხეში მჯდომი თამაზ თამაზაშვილი, საქართველოს მთავარი ოპოზიციონერის, ბიძინა ივანიშვილის, მეგობარი ხელმძღვანელობდა, აღარავის ეცინება.აღარ ეცინებათ იმიტომ, რომ, ყველაფერი ზუსტად ასეც რომ იყოს, ეს აბსოლუტურად არაფერს ცვლის.

კითხვაზე, თუ როგორ შეეძლო ყოვლისშემძლე პრემიერ-მინისტრს, სულ ცოტა ხნის წინ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრსა და პრეზიდენტის მარჯვენა ხელს გამოეჰპარვოდა ამხელა ძალის პირდაპირი დარტყმა, კონსპიროლოგიის გარეშე პასუხი არ მოიძებნება. მაგრამ იმის ვარაუდიც კი, რომ იგი მართლაც ორმაგ თამაშს თამაშობს და მისი გამარჯვების შემთხვევაში თავის დაზღვევის მიზნით ივანიშვილსაც ეხმარება, დიდად არავის აინტრიგებს.

მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რაც ყველამ ნახა და გაიგონა. ამასთან, აბსოლუტურად არავის გაჰკვირვებია არც ეს ნანახი და გაგონილი. ამ ტელეჩვენებიდან საქართველოში ახალი არავის არაფერი გაუგია.

**ის, რომ საქართველოში ციხეები ნამდვილი ჯოჯოხეთია, ყველამ ყოველთვის იცოდა, სხვათა შორის სააკაშვილამდე დიდი ხნით ადრეც.** სააკაშვილმა კი, სხვათა შორის, იუსტიციის მინისტრობით დაიწყო. ის, რომ ვიდეოზე ასახულის გამო დამნაშავედ ახლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი დასახელდა, ასევე არავის აღელვებს. საქართველოში მას, უკვე დიდი ხანია, თვლიან მალიუტა სკურატოვის ადგილობრივ განსახიერებად, თანაც სააკაშვილის ეპოქაში.

საქართველოში იმასაც ხვდებიან, რომ რუსეთის ან სხვა პოსტსაბჭოთა ციხეებიც ანალოგიური ჯოჯოხეთია, მაგრამ ეს უკვე არ წარმოადგენს გამართლებად, რადგან საქართველოში უკვე მიეჩვივნენ, არ შეადარონ თავი მათ, ვინც გზადაგზა იღებს ქრთამს — და ესეც სააკაშვილია.

მეორეს მხრივ, ჯერ კიდევ საბჭოთა დროს რესპუბლიკის ბრენდი, ისეთივე, როგორც ღვინო და თბილ ჰაერში გაჯერებული კორუფცია, კანონიერი ქურდებიც იყვნენ. მათ წინააღმდეგ გამოცხადებული ომი სააკაშვილის რეფორმების ისეთივე ბრენდად იქცა, როგორიც ადმინისტრაციული რეფორმა.

**„ჩვენ, ყველამ, ვიცოდით, რომ კანონიერი ქურდები გაიქცნენ საქართველოდან იმიტომაც, რომ მათაც კი ეშინოდათ ჩვენი ციხეების,** — იხსენებს ერთი ქართველი ჟურნალისტი, — **და ჩვენ მოგვწონდა, რომ მიშამ გაანადგურა კანონიერი ქურდები და არც კი გვიკითხავს იმის შესახებ, თუ რის ფასად მიიღწეოდა ეს გამარჯვება“.**

რეფორმა ყოველთვის დაუნდობელია, განსაკუთრებით რადიკალური რეფორმა, არარადიკალურ რეფორმას კი, როგორც პოსტსაბჭოთა პრაქტიკა ადასტურებს, აზრი არ აქვს. მაგრამ არის პრობლემა, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპაში გაართვეს თავი, საქართველოში კი — ვერა: რეფორმა, ისევე, როგორც ხელისუფლება, სხვადასხვა მიზეზის გამო ობიექტურად მიისწრაფის უკონტროლობისკენ.

სწორედ ამიტომაა, რომ რეფორმატორში ხშირად ერთდროულად სახლობს დესპოტიდა გმირი და ასე რთული გასაგებია, თუ რა არის მთავარი და რა ფერებით უნდა დახატონ პორტრეტი, მით უფრო, თუ მას თანამედროვეები ხატავენ.

**საქართველოს ხელისუფლება ქვეყანას თმებით მოათრევს მისი პირველყოფილი და დალოცვილი ჭაობიდან. ამ ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, რომ ამ ტკივილს ქვეყანა არ აპატიებს.** გამოდის, რომ ახლა არ ღირს დროის დაკარგვა ინტელიგენტურ წვრილმანებზე, უფლებადამცველებზე საერთოდ და კერძოდ მათზე, რომლებიც, მთელი ათი წელია, გაიძახიან, რომ ციხეებში განუკითხაობაა, აჯანყებები შემთხვევითობები არაა.

უკონტროლობას არავინ ელის, იმიტომ, რომ ხელისუფლებამ უკვე ისწავლა ყველა ოპერაციაში გამარჯვება, თუნდაც იმ მეთოდით გამარჯვება, რომელსაც იყენებენ იქ, სადაც არავის არანაირ რეფორმებზე არც კი უფიქრია.

ახლა ხელისუფლება აღიარებს: კი, ვნახეთ, კი, სისტემური შეცდომაა, მაგრამ ვინ დაუჯერებს ან ვინ თანაუგრძნობს?

**ადრეც ბევრს არ სჯეროდა ამ არჩევნებზე მმართველი პარტიის გამარჯვებისა, ახლა კი — მით უფრო. ახლა ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს და არა ხელისუფლების სასარგებლოდ.**

მათ, ვინც რეფორმითაა განაწყენებული, ხანდახან სულერთია, თუ რატომ გაათავისუფლეს სამსახურიდან. სააკაშვილის საწინააღმდეგო მიტინგზე შეძლებული ინტელიგენტები ყოფილი პოლიციელებისა და ახლანდელი უმუშევრების გვერდით დგანან. მაგრამ მრავალ მათგანს მრისხანებაც კი არ უბრმავებს თვალს იმდენად, რომ ვერ დაინახონ, თუ რა გაკეთდა ამ წლებში და რა სამწუხარო იქნებოდა ამ ყველაფრის დაკარგვა თუნდაც იმ საფასურის გამო, რომლის გადახდაც მოუხდათ. იმის გამო, რომ ეს საფასური უსამართლო იყო, დაკარგვა კიდევ უფრო საწყენი იქნება.

ეს იყო ხელისუფლების მთავარი არგუმენტი, რომელზეც ოპოზიციამ ვერაფერი უპასუხა. უფრო მეტიც, მას თავის მართლება უწევდა იმ ბრალდების გამო, რომ, თუნდაც არ მოინდომოს უკვე მიღწეულის დანგრევა, მის შენარჩუნებასაც კი ვერ მოახერხებს.

საქართველოს ახალი არაფერი გაუგია, „მაგრამ ყველაფრის დაუფარავად ხილვა შოკია, შოკი კი ყოველთვის ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობს“, — ამბობს მერაბ ფაჩულია.

**შესაძლოა, სწორედ ეს იყო ჩანაფიქრი: რომ თუნდაც რამდენიმე დღით ათწლეულის ბრენდად ქცეული ყო გლდანის ციხე და არა ის, რაც გაკეთდა, ანუ ის, რასაც ხელისუფლება ასეც ვერ მიუდგა, და საერთოდაც, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა იმას, რომ გლდანი მას არ ეწინააღმდეგება იმის შემდეგაც კი, რაც კანონიერი ქურდები აღარ დარჩნენ.**

არადა, საქართველოში ხომ მართლაც აღარ დარჩნენ კანონიერი ქურდები.

rian.ru

მსოფლიო

## აშშ-ში პოლიციელმა ინვალიდი ავტოკალმით მუქარისთვის მოკლა



**აშშ-ში ქალაქ ჰიუსტონში პოლიციელმა ინვალიდი მხოლოდ იმიტომ მოკლა, რომელიც მის მეწყვილეს ავტოკალმით ემუქრებოდა. შემთხვევა უკურნებელი ავადმყოფების სახლში მოხდა. მოკლული, რომელსაც ამპუტირებული ჰქონდა ხელი და ფეხი, ასევე ფსიქიკურ პრობლემებსაც განიცდიდა.** დაწესებულების ადმინისტრაციამ პოლიცია მას შემდეგ გამოიძახა, რაც მოკლულმა აგრესიული ქცევა დაიწყო. მამაკაცმა ერთ-ერთი პოლიციელი კუთხეში მიიმწყვდია და მეტალის საგნით დაუწყო შეშინება, იტყობინება ადგილობრივი პოლიცია. პოლიციელის მეწყვილემ, რომელიც ვერ ხედავდა, კონკრეტულად რა ნივთი ეკავა ხელში მამაკაცს, მას ცეცხლი გაუხსნა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მოკლული პოლიციელის შეშინებას ავტოკალმით ცდილობდა. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციელი მეთიუ ჯეიკობ მერინისთვის ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც დაპირისპირება მსხვერპლით დაასრულა. 2009 წელს მერინმა ცეცხლი გაუხსნა მამაკაცს, რომელმაც თავისი მეზობელი დანით დაჭრა და შემდგომ პოლიციას დანის გადაგდებაზე უარი განუცხადა.

ნაც·რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში 1990-იანი წლების პირველი ნახევრიდან ახალი სოციალურ-ეკონომიკური ჟღერადობა შეიძინა ტერმინმა შრომითი მიგრაცია — საქართველოს ასი ათასობით მოქალაქე ეკონომიკური პირობების გამო იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და შემოსავლის წყარო უცხოეთში ეძებნა.**

# სტატისტიკური შოკი

## ინფლაციური პროცესები და ფულის მსყიდველობითი უნარიანობა თანამედროვე საქართველოში: 2000–2011 წლები

### წერილი მეორე

**1990-იანი წლების დასაწყისში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას, ფასების ლიბერალიზაცია ჰგავდა დახურული ჭურჭლიდან სარქველის აგლეჯას შიდა წნევის მატების გამო. შედეგად, სულ რამდენიმე წელიწადში საქართველოს მოსახლეობა კეთილდღეობის საკმაოდ მაღალი დონიდან გადაიქცა საზოგადოებად, რომელშიც სიღარიბემ მასობრივი ხასიათი მიიღო. ინფლაციური პროცესები გეომეტრიული პროგრესიით ვითარდებოდა – თუ 1980-1989 წლებში საშუალო წლიური ინფლაცია 0.6 პროცენტი იყო, 1990 წელს საშუალო თვიურმა ინფლაციამ 1.7 პროცენტი შეადგინა, 1991 წელს – 4.9%, 1992 წ. – 21.3%, 1993 წ. – 34.6%, ხოლო 1994 წელს 56.3%. მთლიანად, 1995 წელს 1990 წელთან შედარებით ფასები საქართველოში 356.9 ათასჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტი თითქმის 4-ჯერ შემცირდა.**






მომდევნო პერიოდში ინფლაცია თანდათანობით კლებადი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, 12-თვიანი პერიოდის მიხედვით, **ყოველი მეხუთე თვე ორნიშნა ინფლაციური, ხოლო ყოველი მესამე თვე წინა თვესთან დეფლაციური იყო.**

**ბოლო წლებში საშუალო წლიური ინფლაცია 6.42 პროცენტი იყო, მათ შორის, სასურსათო საქონელზე – 8.3 პროცენტი, ხოლო დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე – 4.5 პროცენტი, ანუ სასურსათო საქონელზე ფასები ბოლო წლებში 1.8-ჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა დანარჩენი სამომხმარებლო დოვლათის ფასებთან შედარებით. ბოლო 11 წლის მანძილზე (2001-2011 წ.წ.) სურსათზე ფასების მატებაზე მოდიოდა ინფლაციის 4/5-ზე მეტი (82%).** აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით ნეგატიურად მოქმედებს ფიქსირებულ- და დაბალშემოსავლიანი ოჯახების კეთილდღეობაზე, რომელთა ფულადი სახსრების დიდი ნაწილი, პირველ რიგში, სურსათზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიემართება. იმის გათვალისწინებით კი, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ცალკეული კომუნალური მომსახურების ტარიფებიც, აღნიშნული კატეგორიის შინამეურნეობების მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.

### ინფლაცია და ლარის მსყიდველობითი უნარიანობა

ინფლაცია უშუალო კავშირშია ეროვნული ვალუტის – ლარის მსყიდველობითუნარიანობასთან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ საქონლის რაოდენობას, რომლის შეძენაც შესაძლებელია მოცემული ფულადი ერთეულით. ინფლაცია და ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა ერთმანეთთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ლარის მსყიდველობითი უნარიანობა მისი შემოღების დღიდან (1995 წ.) 2011 წლის ბოლოსათვის თითქმის 4-ჯერ შემცირდა, ხოლო 2000 წელთან შედარებით – 2-ჯერ და მეტად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოში ლარის მსყიდველობითი უნარიანობა მისი შემოღებიდან განვლილი 16 წლის მანძილზე ოთხჯერ შემცირდა** (შედარებისათვის: აშშ-ში აშშ დოლარის მსყიდველობითი უნარიანობის 4-ჯერად შემცირებას 41 წელი „დასჭირდა" (1976–2011 წ.წ.), ხოლო 2011 წლისთვის 1995 წელთან შედარებით აშშ-ში დოლარის მსყიდველობითი უნარიანობა შემცირდა მხოლოდ 30.1 პროცენტით).

ინფლაცია სამომხმარებლო საქონლის არათანაბარი ზრდის პირობებში ყალიბდებოდა. 2000 წელთან შედარებით ფასები გაიზარდა საქონლის ხორცზე თითქმის 3-ჯერ, პურსა და კარტოფილზე – დაახლოებით 2–2-ჯერ, ბრინჯზე – დაახლოებით 1.2-ჯერ. შესაბამისად, ლარის მსყიდველობითი უნარიანობა თითოეული მათგანის მიმართ სხვადასხვანაირად დაეცა: 2011 წელს ლარის მსყიდველობითი უნარიანობა 2000 წელთან შედარებით შეადგენდა: საქონლის ხორცზე – 33.9 პროცენტს, პურზე – 47.6 პროცენტს, შაქარზე – 50 პროცენტს, კარაქზე – 70.6 პროცენტს, ბრინჯზე – 87.6 პროცენტს...

საქართველოში **ლარის მასა მისი შემოღებიდან (1995 წ. ოქტომბერი) 2012 წლის დასაწყისისათვის 18.5-ჯერაა გაზრდილი,** თუმცა ლარის მსყიდველობითი უნარიანობის ზემოხსენებული დაცემის გამო **აღნიშნული მასის რეალური მსყიდველობითი უნარიანობა მხოლოდ 4.7-ჯერაა მომატებული.**

**2000 წელთან შედარებით მიმოქცევაში ფულის მასა 5.2-ჯერ გაიზარდა, ფულის აღნიშნული მასის მსყიდველობითი უნარიანობა კი – მხოლოდ 2.5-ჯერ.**

რეალურ განზომილებაში მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა დაახლოებით 3/5-ით უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, ხოლო 2/5-ით – ფულის ბრუნვის სიჩქარის შემცირებას.

# 2000 წელთან შედარებით ფასები გაიზარდა საქონლის ხორცზე თითქმის 3-ჯერ, პურსა და კარტოფილზე – დაახლოებით 2–2-ჯერ, ბრინჯზე – დაახლოებით 1.2-ჯერ

**ერთი ლიტრი საწვავის ფასი საქართველოში 2011 წელს 2000 წელთან შედარებით თითქმის 2.1-ჯერ გაიზარდა. ამჟამად ბენზინით მსუბუქი ავტომობილის 60-ლიტრიანი ავზის გავსებას 2000 წელთან შედარებით 65.4 ლარით მეტი თანხა სჭირდება.** ამასთან, მიუხედავად საწვავის ფასების ზრდისა, საშუალო ხელფასით ბენზინის ყიდვის შესაძლებლობა განვლილ პერიოდში 4.6-ჯერ გაიზარდა – **2011 წლის ბოლოს საშუალო ხელფასით შესაძლებელი იყო „რეგულარის" მარკის 366 ლიტრი ბენზინის შეძენა, ნაცვლად 2000 წლის 80 ლიტრისა.**

**საქართველოში ერთი საშუალო (70 მ2) ბინის შესაძენად საჭიროა 11.6 წლის ნომინალური ხელფასის ეკვივალენტი თანხა.** ეს თითქმის 1.5-ჯერ ნაკლებია 2006 წლის მაჩვენებელთან შედარებით (17.2 წელი), თუმცა, მაინც საგრძნობლად აღემატება ამ მხრივ მოწინავე ქვეყნების მაჩვენებლებს. მაგალითად, **აშშ-ში იმავე ფართის ერთი ბინის შესაძენად საჭიროა 2.7 წლის საშუალო ხელფასი (2006 წ. – 3.4 წლის ხელფასი), ჩილეში – 4.1 წლის, ხოლო შვეციასა და ბელგიაში – 4.3 წლის ხელფასი.**

### საშუალო ხელფასისა და ფულადი სახსრების მსყიდველობითი უნარიანობა

ინფლაციური პროცესებისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა მოსახლეობის მიმდინარე შემოსავლები, პირველ რიგში, ხელფასი.

საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 2011 წლის ბოლოს 761 ლარი შეადგინა, რაც 11 წლის წინანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის 10-ჯერ აღემატება. ამასთან, **ინფლაციის გამო ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობა აღნიშნულ პერიოდში მხოლოდ 4.7-ჯერ გაიზარდა.**

მოსახლეობის მთლიანი ფულადი სახსრები 2011 წელს 2000 წელთან შედარებით 4.3-ჯერ გაიზარდა — 1.8 მლრდ ლარიდან 7.8 მლრდ. ლარამდე. **მოსახლეობის ფულადი სახსრების ზრდა საგრძნობლად ჩამორჩება საშუალო ხელფასის ზრდას** — რეალურ განზომილებაში, ინფლაციის გათვალისწინებით, 11 წლის მანძილზე მოსახლეობის ფულადი სახსრები მხოლოდ 2.1-ჯერ გაიზარდა.

აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის ფულადი სახსრების ზრდის საშუალო წლიური ტემპი ხელფასის ზრდის საშუალო ტემპს დაახლოებით 1.6-ჯერ ჩამორჩებოდა (შესაბამისად, 14.3% და 22.9%).

### ფიზიკური პირების დეპოზიტებისა და ფულადი ტრანზაქციების მსყიდველობითი უნარიანობა

საქართველოს საბანკო სისტემაში ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობამ 2012 წლის დასაწყისისათვის 3.2 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 10 წლის წინანდელ დონეზე 17.7-ჯერ მეტია. ფიზიკურ პირთა დეპოზიტების თანაფარდობა მშპ-სთან 13.4 პროცენტია.

**მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად საქართველოში გამოცხადებულია ქართული ლარი, სხვა ქვეყნების ვალუტა აქტიურად გამოიყენება არა მარტო შიდა ბაზრის ფასების ფორმირებასა და მასშტაბების დადგენაში, არამედ ანგარიშსწორებაშიც. საქართველოს საბანკო სისტემაში დოლარიზაციის დონე საკმაოდ მაღალია: ფიზიკური პირების დეპოზიტების 80.3 პროცენტი, აგრეთვე, ბანკების მიერ გაცემული სესხების 68 პროცენტი, უცხოურ ვალუტაში (ძირითადად, აშშ დოლარებში) ხორციელდება.**

საქართველოში 1990-იანი წლების პირველი ნახევრიდან ახალი სოციალურ-ეკონომიკური ჟღერადობა შეიძინა ტერმინმა შრომითი მიგრაცია — საქართველოს ასი ათასობით მოქალაქე ეკონომიკური პირობების გამო იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და შემოსავლის წყარო უცხოეთში ეძებნა. აღნიშნული კონტინგენტის მოსახლეობის საქართველოდან გასვლის მასშტაბი ჯერაც საგრძნობლად სჭარბობს საქართველოში ჩამოსულთა (დაბრუნებულთა) მასშტაბს. აღნიშნული გარემოება განაპირობებს საზღვარგარეთიდან საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების ყველაზე სწრაფ ზრდას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ინდიკატორთა შორის — 2003 წელთან შედარებით 2011 წელს ასეთი გზავნილების მოცულობა 6.5-ჯერ გაიზარდა — 196.6 მლნ. აშშ დოლარიდან 1268.1 მლნ. დოლარამდე. ეს 2.2-2.2-ჯერ აღემატება იმავე ▶

დანართი №1



## პენსიონერებისათვის, როგორც შემოსავლებით მოსახლეობის ყველაზე მარგინალური, დაბალშემოსავლიანი კატეგორიისათვის, ინფლაციის მაჩვენებელი გაცილებით მაღალი, ხოლო შემოსავლების მსყიდველობითი უნარიანობის ინდექსი გაცილებით დაბალია შესაბამის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პერიოდში ქვეყნის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ხოლო 1.2-1.2-ჯერ — საშუალო ნომინალური ხელფასისა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობის ზრდას.

**ინფლაციის პარალელურად მოხდა (განსაკუთრებით 2003 წლის შემდეგ) ეროვნული ვალუტის გამყარება აშშ დოლარის მიმართ (2011 წელს 2000 წელთან ლარი დოლართან გამყარდა 14.6 პროცენტით, ხოლო 2003 წელთან შედარებით — 21.4 პროცენტით). შედეგად, თუ ნომინალურად 2000 წელთან შედარებით 2011 წლისთვის ფულადი ტრანზაქციები საქართველოში აშშ დოლარებში გაიზარდა 20.0-ჯერ, ლარებში დენომინირებული იგივე რესურსები გაიზარდა მხოლოდ 17.1-ჯერ, ხოლო ინფლაციის გათვალისწინებით, რეალურად – მხოლოდ 8.3-ჯერ. ეს ნიშნავს, რომ ფულადი ტრანზაქციების ერთეულის (აშშ დოლარის) მსყიდველობითი უნარიანობა საქართველოში 2011 წლისთვის თითქმის 2.4-ჯერ შემცირდა და 2000 წლის დონის მხოლოდ 40.7 პროცენტი შეადგინა.**

აშშ დოლარზე საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარზე ზემოხსენებულმა „ორმაგმა პრესინგმა" ის შედეგი გამოიღო, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის საშუალო წლიური ტემპი საქართველოში 2.7-ჯერ უფრო მაღალია აშშ-სთან შედარებით (შესაბამისად, 6.8% და 2.5%), ხოლო ლარის მსყიდველობითი უნარიანობის დაკარგვის ტენდენცია საქართველოში 2.2-ჯერ უსწრებდა დოლარის ანალოგიურ პროცესს აშშ-ში, ლარის ოფიციალური კურსის გამყარების წყალობით, საქართველოში აშშ დოლარის გაუფასურების (მსყიდველობითი უნარიანობის დაკარგვის) პროცესმა გადაუსწრო ლარის გაუფასურების პროცესს — 2011 წლისთვის საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარზე 2000 წელთან შედარებით ლარი გაუფასურებული იყო 51.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო აშშ დოლარი 8 პროცენტული პუნქტით უფრო მეტად — 59.3 პროცენტული პუნქტით.

**აშშ დოლარის საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარზე მსყიდველობითი უნარიანობის დაცემის საგრძნობი ინდიკატორია, აგრეთვე, ფასების საშუალო დონის დაახლოება მსოფლიო დონესთან – საქართველოს ჩამორჩენა აშშ-სთან აღნიშნული ინდიკატორით შემცირდა 2000 წლის 70 პროცენტული პუნქტიდან 2011 წლის 43 პროცენტამდე. ცალკეული საქონლის მიხედვით ფასების თანაფარდობა კიდევ უფრო მეტია.** მაგალითად, ბენზინის ფასი საქართველოში, 1,5-ჯერ უფრო მაღალია აშშ-ს დონესთან შედარებით, "სამაგიეროდ", ბუნებრივი გაზის ტარიფი საქართველოში დაახლოებით 3-ჯერ უფრო ნაკლებია ევროკავშირთან შედარებით, საშუალო ხელფასით ამ საქონლის 1,5-ჯერ ნაკლები მსყიდველობითი უნარიანობის პირობებში.

### პენსიონერთა ფულადი რესურსების ინფლაცია და მსყიდველობითი უნარიანობა

**პენსიონერებისათვის, როგორც შემოსავლებით მოსახლეობის ყველაზე მარგინალური, დაბალშემოსავლიანი კატეგორიისათვის, ინფლაციის მაჩვენებელი გაცილებით მაღალი, ხოლო შემოსავლების მსყიდველობითი უნარიანობის ინდექსი გაცილებით დაბალია შესაბამის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით. შედეგად, თუ საშუალო პენსია 2011 წელს 2000 წელთან შედარებით 7.1-ჯერ გაიზარდა, რეალურად, მსყიდველობითი უნარიანობის გათვალისწინებით, პენსია მხოლოდ 218 პროცენტითაა (დაახლოებით 3.2-ჯერ) გაზრდილი, რის გამოც 2011 წლის პენსია თავისი მსყიდველობითი უნარიანობით 2000 წლის 44.5 ლარის ეკვივალენტურია.** ფასები პენსიონერთათვის 2000 წლის შემდეგ გაიზარდა 123.6 პროცენტით, მაშინ როდესაც დანარჩენი კატეგორიის მოსახლეობისათვის – მხოლოდ 91.9 პროცენტით. შესაბამისად, პენსიონერებისათვის ინფლაცია უფრო მაღალი ნიშნულით, ხოლო მსყიდველობითი უნარიანობის ინდექსი — გაცილებით სწრაფად კლებადი იყო დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით – 2011 წლის ბოლოსათვის 2000 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით პენსიონერთა ფულადი მასის ერთეულის მსყიდველობითი უნარიანობა დანარჩენი კატეგორიის მოსახლეობის ფულადი მასის ერთეულთან შედარებით თითქმის 6 პროცენტული პუნქტით უფრო მეტად იყო დაცემული (შესაბამისად, 44.7% და 50.5%).

აშშ-ისაგან განსხვავებით, სადაც მოხუც მოსახლეობაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა რაოდენობა 1.7-ჯერ ნაკლებია სიღარიბის საერთო ეროვნულ მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოში სიღარიბის დონე 65 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში საშუალო ეროვნულ დონეზე თითქმის 2-ჯერ უფრო მაღალია *(იხ. დანართი №1).*

### საქართველო-თურქეთი: ეკონომიკური პოტენციალი და ურთიერთობები

**თურქეთი ჩვენი ქვეყნის დიდი სამხრეთელი მეზობელია. იგი საქართველოს აღემატება: ტერიტორიით – 11.4-ჯერ, მოსახლეობით – 16.5-ჯერ, მათ შორის, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობით – 14.7-ჯერ, ეკონომიკური პოტენციალით კი (ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტით) – 44.3-ჯერ.**

თურქეთს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში მე-17 ადგილი უკავია მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მიხედვით (შედარებისათვის, იმავე წყაროს მიხედვით, აღნიშნული ინდიკატორით საქართველო 120-ე ადგილზეა). აბსოლუტური მასშტაბებით, **თურქეთზე მოდის მსოფლიო ეკონომიკის 1.33 პროცენტი და მისი მოცულობა თითქმის 8-ჯერ აღემატება სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ერთობლივ მთლიან შიდა პროდუქტს.** წარმოების ამჟამინდელი მასშტაბებით, თურქეთის ეკონომიკას სჭირდება დაახლოებით 1.7-ჯერადი ზრდა იმისათვის, რომ მოხვდეს მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკების მქონე ქვეყნების ათეულში, როგორც ესა აქვს დასახული 2023 წლისათვის – თურქეთის რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავისათვის.

თურქეთი, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შედგენილი რეიტინგით, ეკონომიკური განვითარების დონით მსოფლიოში 67-ე ადგილზეა, საქართველო კი – მხოლოდ 111-ზე.




## შრომისმწარმოებლურობა 2011 წელს, ეროვნულ მეურნეობაში ყოველ დასაქმებულზე საშუალოდ შეადგენს და 8.5 ათას აშშ დოლარს საქართველოში და 30.9 ათას დოლარს – თურქეთში

### მოსახლეობა

განვლილ წლებში თურქეთის მოსახლეობის ზრდის საშუალო წლიური ტემპი 0.8 პროცენტი იყო, რის შედეგადაც მისმა მოსახლეობამ 2011 წლისთვის 72.153 მლნ. კაცს მიაღწია. ეს 2000 წელთან შედარებით თითქმის 6.0 მილიონით (9.0%-ით) მეტია. მოსახლეობის რიცხოვნობით თურქეთი მსოფლიოში მე-18, ხოლო საქართველო — 121-ე ადგილზეა. თურქეთზე მოდის მსოფლიო მოსახლეობის 1.07%, საქართველოზე კი – 0.064%. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე შეადგენს: თურქეთში – 92.4 კაცს, საქართველოში – 64.1 კაცს.

თურქეთისაგან განსხვავებით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო ათწლეულში თითქმის არ შეცვლილა (2011 წელს 2000 წელთან შედარებით მოსახლეობამ, ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ 0.8 პროცენტით მოიმატა). დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 4.498 მლნ. კაცია. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის თანაფარდობა თურქეთის მოსახლეობასთან შეადგენს 6.2 პროცენტს. 2000 წელთან შედარებით აღნიშნული თანაფარდობა შემცირდა 0.5 პროცენტული პუნქტით (2000 წ. – 6.7%).

მოსახლეობის მედიანური ასაკი საქართველოში თურქეთისაზე 9.3 წლით უფრო მაღალია, რაც ჩვენს ქვეყანას მრავალი ინდიკატორით სოციალურ-ეკონომიკური რისკებისადმი უფრო მეტად მოწყვლადს ხდის.

საქართველოში თურქეთთან შედარებით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 1.7-ჯერ დაბალია 15 წლამდე ასაკის ბავშვების წილი (შესაბამისად, 16.1% და 27.2%) და 2.7-ჯერ მაღალი – 65 და მეტი წლის მოსახლეობის წილი (16.4% და 6.1%).

**ამჟამად, ხანდაზმული მოსახლეობის ერთსა და იმავე რაოდენობაზე თურქეთთან შედარებით საქართველოში 4.5-ჯერ ნაკლები ბავშვია.**

**პროგნოზებით, 2050 წლისთვის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 60 წელს გადაცილებულთა რაოდენობა საქართველოში იქნება 35.8 პროცენტი, ხოლო თურქეთში – 23.0 პროცენტი.**

### ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა

ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში (2001-2011 წ.წ.) საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი 1.5-ჯერ უფრო მაღალი იყო თურქეთთან შედარებით. შედეგად, 2011 წლისთვის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2000 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა, თურქეთისა კი დაახლოებით 1.6-ჯერ გაიზარდა.

აღნიშნული ზრდის შედეგად საქართველოს ეკონომიკის (მშპ) თანაფარდობა თურქეთთან გაიზარდა 2000 წლის 1.14 პროცენტიდან 2011 წლის 1.81 პროცენტამდე (მიმდინარე ფასებით).

მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ საქართველოში შეადგენს თურქეთის ანალოგიური მაჩვენებლის 29.3 პროცენტს — მიმდინარე ფასებით და 37.2 პროცენტს — ვალუტების მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით. საქართველოს ჩამორჩენა თურქეთთან 2001-2011 წლებში აღნიშნული ინდიკატორებით შემცირდა, შესაბამისად, 12-12 პროცენტული პუნქტით.




### დასაქმება და შრომის მწარმოებლურობა. უმუშევრობის დონე

დემოგრაფიული ფაქტორი უშუალო გავლენას ახდენს შრომითი რესურსების საერთო რაოდენობასა და დასაქმებულთა რიცხოვნობაზე. თუ საქართველოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 2011 წელს 2000 წელთან შედარებით შემცირდა 10.3 პროცენტით, თურქეთში, პირიქით, იგი 15.1 პროცენტით გაიზარდა. ბოლო 11 წლის მანძილზე თურქეთის ეროვნულ მეურნეობაში მარტო დამატებით დასაქმებულთა რაოდენობა 1.4-ჯერ აღემატება დღეისათვის საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა მთლიან რაოდენობას.

**შრომისმწარმოებლურობა 2011 წელს, ეროვნულ მეურნეობაში ყოველ დასაქმებულზე საშუალოდ შეადგენს და 8.5 ათას აშშ დოლარს საქართველოში და 30.9 ათას დოლარს – თურქეთში.** მიუხედავად იმისა, რომ 2000 წელთან შედარებით საქართველოს აღნიშნული მაჩვენებლის თანაფარდობა თურქეთის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2-ჯერ და მეტად გაიზარდა (27.6%, ნაცვლად 13.3%), მისი დონე სამხრეთელი მეზობლისას მაინც ჯერ კიდევ 3.6-ჯერ ჩამორჩება.

2000 წლის შემდეგდროინდელი პერიოდი ორივე ქვეყანაში ხასიათდებოდა **უმუშევრობის დონის ზრდით — თურქეთში უმუშევართა რიცხვი 2000 წლის 1497 ათასიდან 2011 წლისთვის 3044 ათასამდე, ანუ 2.0-ჯერ და მეტად გაიზარდა.**

უმუშევართა რაოდენობა თურქეთში თითქმის 1.9-ჯერ აღემატება დასაქმებულთა რაოდენობას საქართველოში. უმუშევრობის დონემ თურქეთში 2011 წლისთვის 10.5 პროცენტი შეადგინა, რაც 2000 წლის დონეზე 1.6-ჯერ მეტია.

იმავე პროპორციით (1.6-ჯერ) გაიზარდა უმუშევრობის დონეც საქართველოში და 2011 წლისთვის 16.2 პროცენტს მიაღწია. ამასთან, მისი დონე საქართველოში სულ ცოტა, 1.5-ჯერ აღემატება თურქეთის დონეს.

უმუშევრობის პიკმა თურქეთში 2009 წელს მიაღწია (14.0%), რის შემდეგაც იგი ყოველწლიურად 2.0–2.0 პროცენტული პუნქტით მცირდება. საქართველოში უმუშევრობის შემცირების დინამიკა თურქეთთან შედარებით ჯერადად დაბალია.

**იოსებ არჩვაძე**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ საქმიან წრეებში ამ პერიოდისთვის ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება: პირველი — საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი სავაჭრო-ეკონომიკური; მეორე — მის მიმართ კონფრონტაციული მიმდინარეობა, რომელიც საომარ დაპირისპირებისკენ იხრებოდა. გაიმარჯვა მეორე ტენდენციამ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ გაჩნდა ატომური შანტაჟის შესაძლებლობა.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-35 (139-173)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### „ცივი ომი“

**ომში გამარჯვება მამაცთა ხვედრია. საინფორმაციო ომში, რომელიც ცივი ომის შემადგენელი ნაწილია, შეიძლება გაიმარჯვონ მხდალმა ადამიანებმა, მშიშრებმა, სიცრუის გავრცელებაზე დაგეშილმა სპეციალისტებმა, რომლებიც დამძიმებულნი არიან საზოგადოებრიობის, უწინარესად, ობივატელების ცნობიერებაზე გავლენის მოხდენის გამოცდილებით.**

**უფრო მეტიც, სწორედ ამგვარი „სპეციალისტები“ ფლობენ უპირატესობას, რადგან, როგორც წესი, ისინი კარგად არიან დაფინანსებულები. ამათ, გნებავთ, ლობისტები დაარქვით, გნებავთ, აგიტატორები და პროპაგანდისტები, არსი უცვლელი რჩება — დიდ ფულზე გაყიდული ვიგინდარები არიან.**

**სიმართლის მსგავს სიცრუეს კი, რომელსაც ისინი ავრცელებენ, ჩვეულებრივ, იოლად ალიქვამს და იჯერებს ობივატელური მასა.**

**ესაა უბედურება.**

ჩერჩილისა და ტრუმენის გადასვლა „ცივი ომის“ პოლიტიკაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განსაზღვრული იყო არა იმდენად მათი პირადი ამბიციებითა და რწმენით, რამდენადაც ობიექტური ვითარებით.

საბჭოთა კავშირმა თავისი არნახული სიძლიერე ფაშიზმზე გამარჯვებით დაადასტურა. შეიქმნა და ძალა მოიკრიბა სოციალისტური ქვეყნების ბანაკმა. ეს ყველაფერი კაპიტალისტური ქვეყნების თანამეგობრობისთვის შემაშფოთებელი სიგნალების შემცველი იყო: ირღვეოდა მსოფლიო კოლონიური სისტემა, დასავლური დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპები კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. ამ ტენდენციის წინააღმდეგ საჭირო იყო აქტიური და ეფექტიანი მეთოდების მოძებნა და ამოქმედება. მაგრამ არა აშკარა და პირდაპირი ბრძოლის, სახით, არამედ შეფარვითი, საიდუმლო მოქმედებით, ტყუილ-მართლის პრინციპით, რომელსაც უნდა გადაფაროდა პიროვნების უფლებებისა და დემოკრატიული თავისუფლების ბრძოლის დროშა...

**1946 წელს ტრუმენს ოფიციალური ანტისაბჭოთა განცხადებები არ გაუკეთებია. ეს აბსოლუტურად ესადაგებოდა მაშინდელი მსხვილი ამერიკული ბიზნესის ინტერესებს.** 1945-დან 1947 წლამდე სტალინი არაერთხელ შეეცადა ძალიან დიდი და ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი კრედიტები მიეღო ამერიკისგან, რომლებითაც შეეძლო აშშ-ის ინდუსტრიული სექტორისგან, უწინარეს ყოვლისა, შეეძინა სამრეწველო წარმოებისთვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარები, რაც ასე აუცილებელი იყო სსრკ ომისშემდგომი სახალხო მეურნეობის აღსადგენად.

მაგრამ რუზველტის ხანა დამთავრებული იყო. უოლსტრიტი მოწადინებული იყო, რათა ამერიკის დახმარება საბჭოთა ეკონომიკის პრაქტიკული კონტროლის სახით განივთებულიყო, სრულად გაეკონტროლებინა საბჭოთა ეკონომიკა. სტალინი ამაში დარწმუნდა აშშ საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს.

ასეთ თანამშრომლობას სტალინი ვერ დათანხმდებოდა. მაშინ ტრუმენმა ეშმაკურ ანტისაბჭოთა მანევრს მიმართა: ჩერჩილის ფულტონის სიტყვით გამოვიდა 1946 წლის გაზაფხულზე, რომელიც ნიშანი გახდა „ცივი ომის“ დაწყების.

თვითონ ჩრდილში დარჩა. უფრო მეტიც, სსრკ-სა და ამერიკაში აგორებული მძლავრი ანტიფულტონური შემოტევებისგან თავის დაცვას შეეცადა განცხადებით, რომ თითქოს წინასწარ არ გასცნობია ჩერჩილის ამ სიტყვის ტექსტს და მხოლოდ ესწრებოდა მის წარმოთქმას. ეს სიცრუე იყო. ყველამ, ვინც ჩერჩილის გამოსვლას ესწრებოდა, დაინახა, მოწონების ნიშნად როგორ უკრავდა ტაშს ტრუმენი ორატორს.

ასეთსავე ფარულ ტაქტიკას იყენებდა პრეზიდენტი მომდევნო თვეებშიც, კერძოდ, საგარეო საქმეთა მოსკოვის თათბირზე და პარიზში გერმანიის მოკავშირე ქვეყნებთან სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების დროს. აშშ იძულებული იყო მხარი დაეჭირა საბჭოთა კავშირის იმ წინადადებებისთვის, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპაში შექმნილ მდგომარეობას ეხებოდა. ეს მოხდა ამერიკელი ჯარისკაცების მასების ზეგავლენით, რომლებიც აღშფოთებულნი იყვნენ ომისშემდგომი დემობილიზაციის ვადების გაჭიანურებით. ისინი შინ დაბრუნებას მოითხოვდნენ.

იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში და, ცხადია, ამერიკაშიც უმაღლეს დონეზე იყო. ამის უგულებელყოფა არ შეიძლებოდა. ამასთან, საჭირო იყო იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებების შესრულებაც, რომელთაც რუზველტი აწერდა ხელს.

მაგრამ იმავე პერიოდში აშშ-ში გამოჩნდა „ცივი ომის“ პირველი ნიშნები: პირველი პუბლიკაციები პრეზიდენტისადმი მიმართული საყვედურებით, რომ თითქოს იგი განახორციელებდა საბჭოთა კავშირის წახალისების პოლიტიკას. როგორც ირკვევა, ეს იყო სიგნალები, მითითებები, რომლებსაც მედიას აწვდიდა შეიარაღებას გამოდევნებული მსხვილი კაპიტალი — მხოლოდ ამ გზით იზრდებოდა მისი კოლოსალური მოგება, დემილიტარიზაცია კი დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

**მაოს არმიების შეტევების გაძლიერებული შედეგიანობა, ბუნებრივია, ამერიკის ფინანსურ წყაროებს საკმარისად დიდ ზარალად შემოუბრუნდა**



მაო ძედუნი ათვალიერებს ახლადმიღებულ შეიარაღებას

**ძალიან თუ გავამარტივებთ სიტუაციას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ საქმიან წრეებში ამ პერიოდისთვის ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება: პირველი, საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი სავაჭრო-ეკონომიკური; მეორე — მის მიმართ კონფრონტაციული მიმდინარეობა, რომელიც საომარ დაპირისპირებისკენ იხრებოდა. გაიმარჯვა მეორე ტენდენციამ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ გაჩნდა ატომური შანტაჟის შესაძლებლობა.**

მოსკოვისა და პარიზის შეთანხმებების მიღებისთანავე ტრუმენის ადმინისტრაცია მათ საბოტირებას შეუდგა; შემდეგ ამ პასიურ ტაქტიკაზეც უარი თქვა და სსრკ-ს წინააღმდეგ აშკარა დაპირისპირებაზე გადავიდა. აშშ შეიარაღებული ძალების შემცირების კვალზე ამერიკის მილიტარიზაცია არ შემცირებულა, პირიქით, ახალ დონეზე გადავიდა, რომელსაც განსაზღვრავდა სრულიად ახალი, სრულყოფილი სამხედრო ტექნიკით აღჭურვა ამერიკის შეიარაღებული ძალების.

ამასთან ერთად, ომის შემდგომი გალატაკებით წელში გატეხილი ბევრი ევროპული ქვეყანა ამერიკული ნაწარმის გავრცელების შესანიშნავ ბაზრად იქცა.

**„ცივი ომი“ აშშ მმართველი წრეებისთვის, უწინარეს ყოვლისა, მომგებიან ღონისძიებად, სარფიან საქმედ, ეფექტიან ბიზნესად ჩამოყალიბდა. ხოლო იქ, სადაც ლაპარაკია მატერიალურ მოგებაზე, პლიუს საკუთარი გავლენის გაძლიერებაზე, ის ძალები იყრიან თავს, რომლებსაც მომგებიან ლუკმას პირიდან ვერ გააგდებინებ.**

შეცდომა იქნებოდა იმის უგულებელყოფაც, რომ როგორც აშშ-ში, ასევე ევროპაში, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციიდან და რუსეთში სამოქალაქო ომიდან მოყოლებული იდეური ანტისაბჭოთა ძალების საკმაო რაოდენობა არსებობდა, რომლებიც დაინტერესებული იყვ- ▶

# ამერიკასა და ინგლისში ძალიან ბევრ მოღვაწეს ხელს აძლევდა „ცივი ომის“ მდგომარეობა, დაპირისპირება საბჭოთა კავშირთან, რადგან ისინი იმედოვნებდნენ, რომ ომით დასუსტებული საბჭოთა კავშირი, რომელსაც ძალა არ ეყოფოდა თავისი სახალხო მეურნეობის აღსადგენად, სერიოზულად დათმობდა საკუთარ პოლიტიკურ პრინციპებს აშშ-ის ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ.

ეკომენტარით
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნენ სსრკ-ს დამხობით. მეორე მსოფლიო ომის დროს ისინი იძულებული იყვნენ დაეცხროთ თავიანთი ენთუზიაზმი, მაგრამ ომის დამთავრებისთანავე ახალი ძალით შეუტიეს ყოფილ სამშობლოს.

**1947 წლის 6 მარტს ტრუმენმა ოფიციალურად განაცხადა, რომ „კომუნიზმთან კონფლიქტი“ გარდუვალია.** ამასთან განზრახული იყო იმ ქვეყნების ფინანსური და სამხედრო „დახმარება“, რომელთა მთავრობები მზად იქნებოდნენ, უსიტყვოდ განეხორციელებინათ ვაშინგტონის მითითებანი. **ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესო იქნება, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დახმარების გეგმის ინიციატორი იყო აშშ სახელმწიფო მდივანი ჯორჯ მარშალი, რომელმაც 1945 წელს გერმანელთა ჯარების შეტევის მიმართულების შესახებ მცდარი (შეგნებულად მცდარი?) ცნობები მიაწოდა საბჭოთა სარდლობას, რასაც, სარწმუნოდ მიღების შემთხვევაში, წითელი არმიის შეტევის მინიმუმ ჩაშლა მოჰყვებოდა. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა სტალინმა თავისი ინფორმატორების თავმდაბლობისა და სანდოობის შესახებ.**

მოკლედ, ცნობილი ფაქტია, განსაკუთრებით, დაინტერესებული და დაკვირვებული ჩვენი მკითხველებისთვის.

ამ პერიოდში სტალინმა გააქტიურა მაო ძედუნის შეიარაღებული არმიების დახმარება, რომლებმაც გააძლიერეს დარტყმები ჩან კაიშის რეჟიმის წინააღმდეგ. გენერალისიმუს ჩან კაიშის მხარს უჭერდა აშშ. მაოს არმიების შეტევების გაძლიერებული შედეგიანობა, ბუნებრივია, ამერიკის ფინანსურ წყაროებს საკმარისად დიდ ზარალად შემოუბრუნდა. ამიტომ იყო, რომ სენატორმა ვანდენბერგმა, რომელიც მსხვილი ამერიკელი ბიზნესმენების ინტერესს გამოხატავდა, შეშფოთებულმა განაცხადა: „როცა ჩინელების პრაქტიკულად ყველა დივიზია, რომლებიც ჩვენს მიერ არის გაწვრთნილი და შეიარაღებული, მოწინააღმდეგეს გასროლის გარეშე ბარდება, რისი იმედი შეიძლება გვქონდეს?!“

ასობით მილიონი დოლარი წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. 1949 წლის შემოდგომაზე კომუნისტების სრული გამარჯვების შემდეგ აშშ სახელმწიფო მდივანმა აჩესონმა აღიარა: **„ჩინეთში სამოქალაქო ომის შედეგები აშშ მთავრობის კონტროლს მიღმა აღმოჩნდა“.**

ტრუმენი ამერიკული კაპიტალისა და იდეოლოგიის განმტკიცებას ევროპაში შეეცადა. ანტისაბჭოთა კურსის დაუფარავად განცხადების შესაფერისი მიზეზი მას მისცა 1947 წლის თებერვალში ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებამ თავისი ჯარების საბერძნეთიდან გამოყვანისა და თურქეთისათვის ფინანსური დახმარების შეწყვეტის შესახებ. ტრუმენმა გადაწყვიტა ესარგებლა ინგლისის დასუსტებით, რათა უშუალოდ სსრკ საზღვართან შეექმნა სამხედრო პლაცდარმი. ამ მიზნით გამოყვეს უზარმაზარი თანხა ამ ორი ქვეყნის „დასახმარებლად“, ამასთანავე, ათასობით სამხედრო მრჩეველი მიავლინეს საბერძნეთსა და თურქეთში.

**ასე იშვა „ტრუმენის დოქტრინა“. ერთ-ერთი ამერიკელი ავტორის აზრით, იგი თავისი არსით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იდეოლოგიური და ეკონომიკური ომის ოფიციალური გამოცხადება იყო, „თუმცა კონგრესისათვის გაგზავნილ მიმართვაში საბჭოთა კავშირი ნახსენები არ იყო“. სტალინმა ბულგარეთთან, უნგრეთთან და რუმინეთთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებების დადებით უპასუხა. ეს მოხდა 1948 წლის დასაწყისში.**

ტრუმენის დოქტრინამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ევროპის ბურჟუაზიულ წრეებშიც კი. იგი იძულებული გახდა, გადაედგა უფრო დახვეწილი ნაბიჯი. 1947 წლის 5 ივნისს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზადაა, აღმოუჩინოს დახმარება ევროპულ ქვეყნებს მათს ომისშემდგომ აღდგენაში. 17 და 18 ივნისს ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო მინისტრებმა ტრუმენის დასტურით მიმართეს სტალინს წინადადებით, რათა საბჭოთა წარმომადგენლები ჩართულიყვნენ თათბირში მარშალის ინიციატივასთან დაკავშირებით.

ეს გაკეთდა იმ ანგარიშით, რომ საბჭოთა ხელმძღვანელი უარს იტყოდა ამგვარ შემოთავაზებაზე და შესაძლებელი გახდებოდა მისი „მხილება“, რომ მას არ სურდა მთელი რიგი ევროპული ქვეყნებისთვის დახმარების გაწევა. მაგრამ ტრუმენი უკვე მერამდენედ შეცდა. 22 ივნისს მოსკოვმა თანხმობა განაცხადა, რომ მიიღებდა მონაწილეობას თათბირში.

**მარშალის ბუნდოვან დაპირებაში გასარკვევად თავისი წარმომადგენლები რომ გააგზავნა, სტალინმა მათ მისცა დირექტივა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო: „საბჭოთა დელეგაციამ უარი უნდა განაცხადოს დახმარების ისეთი პირობების წინააღმდეგ, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს ევროპული ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფა ან მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა.** როგორც კი დარწმუნდა საბჭოთა დელეგაცია, რომ ინგლისი და საფრანგეთი მხარს უჭერენ ტრუმენის პრეტენზიებს ევროპის სახელმწიფოების საქმეებში აშშ-ს ჩარევის დაკანონებას, სტალინის წარმომადგენლებმა უარი თქვეს ამ წინადადების მხარდაჭერაზე. მათ თავიანთი წინადადება შესთავაზეს თათბირის მონაწილეებს. მიუთითეს, რომ, უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ქვეყნების ინტერესები, რომლებიც ყველაზე უფრო დაზარალდნენ გერმანიის აგრესიის შედეგად და შეიტანეს ყველაზე მეტი წვლილი გამარჯვების მოპოვების საქმეში. ეს წინადადება დანარჩენმა მონაწილეებმა არ მიიღეს და თათბირიც ჩაიშალა.

შემდეგ იყო მცდელობა, რათა მარშალის გეგმა თავს მოეხვიათ აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნებისთვის და ამით დაეპირისპირებინათ ისინი საბჭოთა კავშირისთვის.

სტალინი, ტრუმენი, ჩერჩილი პოტსდამის კონფერენციაზე



**ამ პერიოდში სტალინმა გააქტიურა მაო ძედუნის შეიარაღებული არმიების დახმარება, რომლებმაც გააძლიერეს დარტყმები ჩან კაიშის რეჟიმის წინააღმდეგ. გენერალისიმუს ჩან კაიშის მხარს უჭერდა აშშ**

ეს გეგმაც ჩაიფუშა.

ტრუმენი შეუდგა სამხედრო ბლოკების შექმნას, რომლებიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. მათ შორის პირველი იყო დასავლეთის კავშირი, რომელიც 1948 წლის მარტში ჩამოყალიბდა. 4 მარტს კი აშშ ელჩმა განცხადებით მიმართა საბჭოთა მთავრობას და მიუთითა, რომ, „ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტურმა გადატრიალებამ შეძრა შეერთებული შტატები“ და გახდა ამ ბლოკის შექმნის მიზეზი. ამასთან განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ აშშ წინადადებას აძლევს საბჭოთა კავშირს მოაგვაროს წარმოქმნილი უთანხმოებანი.

სსრკ-ს პასუხში გამოხატული იყო არა მარტო საბჭოთა მთავრობის მტკიცე პოზიცია ამგვარი ხრიკების წინააღმდეგ, არამედ მზადყოფნაც წარმოქმნილი დაპირისპირების მოლაპარაკების გზით მოწესრიგების თაობაზე. ამის გამო იყო, რომ ამერიკის მხარეს არ გამოუვიდა ჩანაფიქრი — ურთიერთობის გამწვავების მორიგი მცდელობა კვლავ ჩაეფუშა. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირმა აშშ-ის წარუდგინა თავისი შეხედულება სსრკ-აშშ შესაძლო მოლაპარაკების შესახებ. მაგრამ ტრუმენმა იგი არ მიიღო.

**1949 წლის აპრილში შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური მოლაპარაკების ორგანიზაცია — ნატო. სტალინმა შეძლო ამ ალიანსის საბჭოთა კავშირისკენ მიმართული დანისპირის მნიშვნელოვნად დაჩლუნგება იმით, რომ მიაღწია შვედეთის მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადებას და ალიანსის ორი წევრი ქვეყნის — დანიისა და ნორვეგიის მიერ უარის თქმას სსრკ-ს წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიულ პოლიტიკაში მონაწილეობაზე, აგრეთვე, აშშ სამხედრო ბაზების თავიანთ ტერიტორიებზე განლაგებაზე. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ ნატოს შექმნისთანავე ტრუმენი იძულებული გახდა, მნიშვნელოვნად შეეზღუდა საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ საომარი მუქარის მისეული გეგმის მასშტაბები.**

## დაპირისპირება

**ესწრაფვოდნენ თუ არა აშშ და ინგლისის მმართველი წრეები საბჭოთა კავშირზე თავდასხმას? დაბეჯითებით ამის მტკიცება შეუძლებელია, მაგრამ ის, რომ ისინი ძაბავდნენ საომარ ისტერიას და ამძაფრებდნენ კონფრონტაციას სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, უეჭველია.**

ჩერჩილის ფულტონში წარმოთქმული სიტყვის შემდეგ პოლიტიკურ ურთიერთობაში მტკიცედ დამკვიდრდა მცნება **„რკინის ფარდა“.** თუმცა დღესაც კი ბევრი მიიჩნევს, რომ ეს „ფარდა“ სტალინმა დაუშვა.

საპასუხოდ სტალინმა დაამკვიდრა გამოთქმა **„ომის გამჩაღებლები“.** მართლაც, საკითხი იდგა არა უბრალოდ სოციალისტური სახელმწიფოების კაპიტალისტურისაგან იზოლაციის შესახებ: დაიწყო „ცივი ომის“ ხანგრძლივი ერა, რომელიც დრო და დრო ხან „ცხელი“ ომის მუქარად ტრანსფორმირდებოდა, ხან ლოკალურ შეიარაღებულ კონფლიქტებად.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩერჩილის აგრესიული სიტყვა გამოწვეული იყო პირადი მოტივითა და განცდებით. მის პატივმოყვარეობას უდიდესი დარტყმა მიაყენა 1945 წელს ინგლისში გამართულმა არჩევნებმა, რომელშიც მან, როგორც პრემიერმინისტრმა მარცხი განიცადა. ამასთან, ბრიტანეთის იმპერია რღვევის კრიზისს განიცდიდა და თანდათან კარგავდა ზესახელმწიფოს სტატუსს. სავარაუდოა, რომ ყოველივე ამაში იგი „მოსკოვის ხელს“ ხედავდა და თავის მრისხანებას სწორედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმართავდა.

სინამდვილეში კი მიმდინარეობდა ძველი კულტურისა და ისტორიის მქონე ხალხების მიერ დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის მოპოვების ობიექტური პროცესი, რომელიც დეკოლონიზაციის ისტორიული ეტაპის სახელით არის ცნობილი.

ჩერჩილი ამ პროცესს, ცხადია, ვერ შეაჩერებდა, ამიტომ საბჭოთა კავშირთან მისი უკიდურესი დაპირისპირება უფრო გულის მოფხანას ჰგავდა. თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მსოფლიო პოლიტიკის პირველ პლანზე ყოფნას შეჩვეული დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი კვლავ ცდილობდა იმავე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში დაბრუნებას.

**წიგნის ავტორები (რომელსაც ჩვენს მკითხველებს ქართულად ვაცნობთ) რუდოლფ ბალანდინი და სერგეი მირონოვი მიიჩნევენ, რომ სტალინის განსაზღვრაც „ომის გამჩაღებლები“ ბოლომდე ზუსტი არ იყო. თუმცა მკვეთრ და პროპაგანდისტულად მომგებიანი სლოგანად აღიარებენ.**

**მათი აზრით, საეჭვოა, რომ ტრუმენი და ჩერჩილი მართლა ისწრაფოდნენ ახალი ომის გაჩაღებისკენ: შეიარაღებულ კონფლიქტში გამარჯვების მოპოვება ფრიად მოჩვენებითი ხასიათის იქნებოდა. მით უფრო, როცა საქმე გვაქვს ამერიკულ პრაგმატიზმთან.**

1946 წლის 17 სექტემბერს ინგლისური გაზეთის „სანდი ტაიმსის“ კორესპონდენტმა ა. ვერტმა სტალინს ჰკითხა:

**„— მიგაჩნიათ, რომ ამერიკის მიერ ატომური ბომბის ფაქტობრივად მონოპოლიური ფლობა არის მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი მთავარი საშიშროება?**

**— მე არ მიმაჩნია ატომური ბომბი ისეთ სერიოზულ ძალად, — უპასუხა სტალინმა, — როგორადაც სურთ წარმოგვიდგინონ ზოგიერთმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. ატომური ბომბები გათვალისწინებულია სუსტნერვიანთა დასაშინებლად, მაგრამ არ შეუძლია ომის ბედის გადაწყვეტა, რადგან ამისთვის ატომური ბომბები სულაც არ არის საკმარისი. ატომური ბომბის საიდუმლოს მონოპოლიური ფლობა, რა თქმა უნდა, ქმნის საფრთხეს, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ, სულ ცოტა, ორი საშუალება არსებობს: ა) ატომური ბომბის მონოპოლიური ფლობა დიდხანს ვერ გაგრძელდება; ბ) ატომური ბომბის გამოყენება აიკრძალება“.**

ამ ინტერვიუში სტალინმა თქვა: „ზუსტად უნდა განვასხვავოთ „ახალი ომის“ შესახებ ხმაური, რომელიც ახლაა ატეხილი და რეალური საშიშროება „ახალი ომის“ თაობაზე, რომელიც ამჟამად არ არსებობს“.

ამავე წლის 21 დეკემბერს ელიოტ რუზველტთან საუბარში სტალინმა ხაზგასმით თქვა: **„საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოება მრავალმხრივ ხელს შეუწყობდა სასიკეთო ურთიერთობების განვითარებას ჩვენს ორ ქვეყანას შორის“**

(სტალინის ამ წინადადებას ტრუმენმა სსრკ-სთან კონფრონტაციის გაძლიერებით უპასუხა).

მან აღნიშნა, აგრეთვე, რომ ურთიერთობა რუს და ამერიკელ ხალხთა შორის არ გაუარესებულა, თუმცა ორ მთავრობას შორის „წარმოიქმნა გაურკვევლობები“. მაგრამ **„ამჟამად არავის შეუძლია იომოს თავისი ხალხის გარეშე, ხალხს კი ომი არ სურს. ხალხი ომისგან დაიღალა. ამასთან ერთად, არ არსებობს არავითარი გასაგები მიზნები, რომლებიც გაამართლებდა ახალ ომს“.**

ძნელია ამის უარყოფა. მაგრამ ამერიკასა და ინგლისში ძალიან ბევრ მოღვაწეს ხელს აძლევდა „ცივი ომის“ მდგომარეობა, დაპირისპირება საბჭოთა კავშირთან, რადგან ისინი იმედოვნებდნენ, რომ ომით დასუსტებული საბჭოთა კავშირი, რომელსაც ძალა არ ეყოფოდა თავისი სახალხო მეურნეობის აღსადგენად, სერიოზულად დათმობდა საკუთარ პოლიტიკურ პრინციპებს აშშ-ის ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ.

გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამგვარი კონიუნქტურის შექმნის იმედითა და მოლოდინით ტრუმენი მკვეთრად არ უპირისპირდებოდა სოციალისტურ ქვეყნებს. ნატო კი შეიქმნა ტრუმენის იმ „შეკავების დოქტრინის“ ჩარჩოებში, რომელიც მან 1947 წელს ჩამოაყალიბა.

ამ დოქტრინაზე საუბრით დავიწყებთ „საქართველო და მსოფლიოს“ მომდევნო პუბლიკაციას.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



დროში მოგზაურობა ყოველგვარ ბუნების კანონს ეწინააღმდეგება თუ მეცნიერებას ჯერ არ მიუღწევია შესაბამისი განვითარებისთვის? მაგრამ დღესდღეობით ბევრი ისტორია გამოიკვეთა, რომლებიც მოგვითხრობენ ადამიანთა დროის ლაბირინთებში მოგზაურობაზე.

# დროის ლაბირინთები...

**შესაძლებელია თუ არა დროში მოგზაურობა? ამ კითხვას პასუხი დღესაც არ მოეძებნება. საუკუნეთა მანძილზე ცდილობდნენ დროის მანქანის შექმნას, მაგრამ დღესაც, ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში, არარეალურად მიგვაჩნია მსგავსი მოვლენა. ნიშნავს კი ეს იმას, რომ დროში მოგზაურობა ყოველგვარ ბუნების კანონს ეწინააღმდეგება თუ მეცნიერებას ჯერ არ მიუღწევია შესაბამისი განვითარებისთვის? მაგრამ დღესდღეობით ბევრი ისტორია გამოიკვეთა, რომლებიც მოგვითხრობენ ადამიანთა დროის ლაბირინთებში მოგზაურობაზე.**



## მზიდავი და «ეშმაკისეული ეკიპაჟი»

**1912 წლის ზაფხულში დიდი ბრიტანეთის ბევრი გაზეთი წერდა უცნაურ ისტორიას, რომელიც ლონდონიდან გლაზგოში მიმავალ მატარებელში მოხდა. ვაგონში მყოფი ორი მგზავრის (რომელთაგანაც ერთი სკოტლანდიარდის ინსპექტორი იყო და მეორე მედდა) წინ გაჩნდა კაცი, რომელიც შიშისგან კანკალებდა და ხმამაღლა ყვიროდა. ძველებური ტანსაცმელი ეცვა, თმა უკან ჰქონდა შეკრული, ერთ ხელში მათრახი ეჭირა, მეორეში – პურის ნატეხი.**

„მე პიმპ დრეიკი ვარ, მზიდავი ჩეტნემიდან, — გაიძახოდა შეშინებული, — სად ვარ? სად მოვხვდი?“

ინსპექტორი კონდუქტორთან გაიქცა, მედდას კი სთხოვა, რომ უცნაური მისტერ დრეიკისთვის მიეხედა. როდესაც დაბრუნდა, მზიდავი გამქრალიყო, გოგონა კი გულწასული იყო. გამოძახებულმა კონდუქტორმა თავიდან იფიქრა, რომ გაეხუმრნენ, მაგრამ სკამზე დამამტკიცებელი საბუთები დარჩა, მათრახი და სამკუთხა ქუდი.

ნაციონალური მუზეუმის თანამშრომლებმა, რომელთაც აჩვენეს ეს ნივთები, თამამად განაცხადეს, რომ ისინი XVIII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნოდა.

ცნობისმოყვარე ინსპექტორი ჩეტნემის პასტორთან მივიდა და სთხოვა ძველ ჩანაწერებში მოეძებნა რაიმე ინფორმაცია პიმპ დრეიკის შესახებ. 150 წლის წინანდელ გარდაცვლილთა წიგნში ადგილობრივმა პასტორმა აღმოაჩინა არა მარტო მისი სახელი, არამედ იმდროინდელი მღვდლის მინაწერები. აქედან ირკვეოდა, რომ უკვე ხანშიშესული დრეიკი უცნაურ ისტორიას ყვებოდა. თითქოს ერთ ღამეს, როდესაც ურიკით სახლში ბრუნდებოდა, უცებ მის წინ გაჩნდა „ეშმაკისეული ეკიპაჟი“ – რკინის გრძელი გველი, რომელიც ცეცხლსა და კვამლს აფრქვევდა. უცაბედად შიგნით აღმოჩნდა, სადაც უცნაური ადამიანები იყვნენ, მისი თქმით, ეშმაკის მსახურები. შეშინებულმა დრეიკმა ღმერთი ახსენა და უცებ გაშლილ მინდორში აღმოჩნდა.ურიკა და ცხენები გამქრალიყო. შეშინებულს ძლივს მიუღწევია სახლამდე და, ჩანაწერის თანახმად, სრულ ჭკუაზე აღარ მოსულა, იმ დღიდან ყოველ ჯერზე ყვებოდა „ეშმაკისეული ეკიპაჟის“ ამბავს.

სკოტლანდიარდის ისნპექტორმა თავისი გამოძიების შედეგები გააცნო სამეფო მეტაფსიქიკის გაერთიანებას, რომლებმაც დაწვრილებით გამოიკვლიეს მომხდარი. სამკუთხა ქუდი დღესაც ინახება სახელმწიფო მუზეუმში, მათრახი კი, სამწუხაროდ, დაიკარგა.

## სტუმრები მომავლიდან

**არც ისე დიდი ხნის წინ ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში გამოჩნდა სენსაციური სტატია, რომელშიც მოთხრობილია ერთ-ერთი, დღეს უკვე არარსებული ამერიკული გაზეთის „ნიუიორკ პოლის კურიერის“ არქივში ნაპოვნი მასალის შესახებ. მასალის თანახმად, 1918 წელს სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს გარდაცვლილი მამაკაცის გვამი უცნობი წარმოშობის კაფსულაში. ფოტოზე გარკვევით ჩანს გვამის გვერდით დაგდებული ნივთი. ეს მობილური ტელეფონია.**

არსებობს ერთ-ერთი ცნობილი ფოტო, რომელიც დაცულია კანადაში, ბრალორნე პიონეერ მუზეუმში. ფოტოზე აღბეჭდილია 1941 წელს პროვინციაში ხიდის (South Fork Bridge) გახსნის ცერემონიალი. თითქოს ჩვეულებრივი ხალხია, მაგრამ მათ ფონზე ყურადღება მიიქცია ერთმა კაცმა, რომელიც იმ დროისთვის საკმაოდ უცნაურად გამოიყურება. ვარცხნილობა, მაისური ნაბეჭდი წარწერით, კოდაკის ფირმის პორტატული ფოტოკამერა და სათვალე, რომელიც 21-ე საუკუნის მოდელს უფრო ჰგავს.



**კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა მოხდა XIX საუკუნეში. სერგეი დიმიტრის ძე კრაპივინის (ჸეპგეღლსმიპმევმჩქპთამვმნ) საქმე დღემდე ინახება ქალაქ ტრობოლსკის არქივში. ის დააკავეს 1897 წლის 28 აგვისტოს ამ ციმბირული ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაში. სამართალდამცველებმა მაშინვე იყნოსეს უცნაურობა, რადგან კრაპივინი იმ დროისთვის განსხვავებულად იყო ჩაცმული. დაკავებული განყოფილებაში მიიყვანეს და დაკითხეს, ყველა გაოცდა მონაყოლით. მისი თქმით, დაიბადა 1965 წლის 14 აპრილს ქალაქ ანგარსკში. მის პროფესიაზე არავის არაფერი სმენოდა, ის აშშ-ის ოპერატორი იყო. კრაპივინს წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ მოხვდა ამ ადგილას, მისი სიტყვების თანახმად, დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე თავის საშინელი ტკივილი იგრძნო, შემდეგ გონება დაკარგა და, როცა გამოფხიზლდა, აღმოაჩინა, რომ მისთვის სრულიად უცნობ ადგილას, ეკლესიის მახლობლად იმყოფებოდა. განყოფილებაში ექიმი გამოიძახეს, რომელმაც პაციენტს სიგიჟის დიაგნოზი დაუსვა და ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსა. საინტერესოა, როგორ მოხვდა პროგრამისტი წარსულში.**

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვებია და დამტკიცებული ფაქტებით არაა გამყარებული, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ყველაფერი შესაძლებელია?!



## კომივოიაჟორი ბროდვეიზე

**1952 წლის ნოემბერში ბროდვეიზე მიმავალმა მანქანამ უცნობი მამაკაცი გაიტანა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. მძღოლი და თვითმხილველები ამტკიცებდნენ, რომ მსხვერპლი გზაზე უცაბედად გამოჩნდა, თითქოს ციდან ჩამოვარდა.**

გვამი მორგში გადაიტანეს. პოლიციელებმა შეამჩნიეს, რომ უცნობს ძველებური ტანსაცმელი ეცვა. უფრო მეტად იმან გააკვირვათ, რომ გარდაცვლილს აღმოუჩინეს 80 წლის წინ გაცემული პირადობის მოწმობა. მის ჯიბეში ასევე იპოვეს სავიზიტო ბარათები, რომლებზეც მითითებული იყო კომივოიაჟორის პროფესია. ერთ-ერთმა დეტექტივმა გადაამოწმა მისამართი და აღმოაჩინა, რომ მოცემული ქუჩა გაეუქმებინათ თითქმის ნახევარი საუკუნის წინ.

პოლიციის ძველ არქივში შეამოწმეს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ამ რაიონში მცხოვრებთა სია და აღმოაჩინეს ზუსტად ამ პიროვნების სახელი და გვარი, მისამართიც შეესაბამებოდა სავიზიტო ბარათზე მოცემულს. გამოიკითხეს ნიუიორკის ყველამცხოვრები, რომლებიც ამ გვარს ატარებდნენ. იპოვეს მოხუცი ქალი, რომელმაც უთხრა, რომ მამამისი 70 წლის წინ დაიკარგა უცნაურ ვითარებაში, ბროდვეიზე გავიდა გასასეირნებლად და უკან აღარ დაბრუნებულა. მან პოლიციას აჩვენა სურათი, რომელზეც კაცს, რომელიც ძალიან ჰგავდა მანქანით გატანილ მსხვერპლს, ხელში ეჭირა პატარა გოგონა და იღიმოდა. სურათი დათარიღებული იყო 1884 წლით.



## უცნაური გაფრენა

**დღესდღეობით უკვე 274 შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც პილოტი დავალების შესასრულებლად გაფრინდა და წარსულში მოხვდა:** 1985 წელს ნატოს სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი გაფრინდა ჩრდილოეთ ევროპისკენ, სანაცვლოდ კი პრეისტორიულ აფრიკაში აღმოჩნდა, სადაც დინოზავრები სახლობდნენ.

1986 წელს საბჭოთა კავშირის პილოტმა ალექსანდრე უსტიმოვმა, რომელიც დავალებაზე იმყოფებოდა, უცაბედად აღმოაჩინა, რომ ძველი ეგვიპტის თავზე დაფრინავდა. მან დაინახა, რომ ჯერ მხოლოდ ერთი პირამიდა იყო აშენებული, დანარჩენებისთვის კი მხოლოდ ფუნდამენტი ჩაეყარათ, ასევე დაინახა, რომ პირამიდასთან ბევრი მუშა იყო მოგროვილი.

## დაკარგული ტურისტი

**1997 წელს 25 წლის კურტ რაინერმა დახმარების თხოვნით მიმართა პარკის თანამშრომელს. მან თქვა, რომ მოტოციკლეტით ავარიაში მოყვა.** რაინერი საავადმყოფოში გაგზავნეს, მან დაასახელა ის ადგილი, სადაც იყო გაჩერებული. აღმოჩნდა, რომ დასახელებული სასტუმროს სტუმართა სიაში არნაირი რაინერი არ იყო. ამ შემთხვევით პოლიცია დაინტერესდა. გაირკვა, რომ 1981 წელს ამ სასტუმროში გაჩერდა გერმანელი ტურისტი რაინერი, რომელიც შემდგომში გაქრა. გაუჩინარების შემდგომ დაიწყო გამოძიება, მაგრამ ჩიხში მოექცა და ჩათვალეს, რომ ტურისტი ზღვაში დაიხრჩო. სად იყო კურტი ამ ხნის მანძილზე, გაურკვეველია.



## საიდუმლოებითმოცული გამოქვაბული

2001 წელს ჩინეთში, ლერწმის ფლეიტის მღვიმის შესასვლელთან იპოვეს იაპონელი ტურისტი. გაირკვა, რომ მას მარტო შემოევლო **მღვიმის ლაბირინთები**. ის გახარებული იყო თავისი მიღწევით და დაამატა, რომ გზად მხოლოდ ერთხელ დაიძინა. ტურისტი გაოცებული იყო, როდესაც აღმოაჩინა, რომ მის მოგზაურობას 3 წელი დასჭირვებია. იაპონელმა განაცხადა, რომ გზას 1998 წელს დაადგა.





# თეთრი სახლის ცხოველები

**ამერიკის პრეზიდენტების ოჯახებთან ერთად თეთრ სახლში პატივი ჰქონდათ, ეცხოვრათ მათ შინაურ ცხოველებსაც. ეს ფუმფულა ნებიერები უყვარდა მთელ ამერიკას. ბევრი ფიქრობს, რომ ამერიკის პრეზიდენტების საყვარელი შინაური ცხოველები არამხოლოდ გავლენას ახდენდნენ თავიანთ პატრონებზე, არამედ ზოგჯერ ცვლიდნენ თავად ისტორიას. დაარსებულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების შინაური ცხოველების მუზეუმიც, რომელიც ინახავს თეთრი სახლის ყველა ოთხფეხა ბინადარის შესახებ ინფორმაციას.**

ამერიკის პრეზიდენტის, ლინდონ ჯონსის, ქალიშვილმა ერთხელ სახლში მოიყვანა უპატრონო, მაწანწალა ძაღლი.იგი მიიღეს ოჯახში და დაარქვეს იუკა (Yucca). რამდენიმე ხნის მერე აღმოჩნდა, რომ ძაღლი ფლობდა არნახულ ტალანტს — მას სიმღერა შეეძლო და მართავდა თავისებურ კონცერტებს.სწორედ ამის გამოგახდა იგი ყველასათვის საყვარელი ცხოველი. სხვათა შორის, ლინდონ ჯონსონს მანამდეცჰყავდა ძაღლები.პრეზიდენტის საყვარელი ცხოველები იყვნენ მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული ჰიმი და ჰინი. გარდა ამისა, ლინდონ ჯონსონს ჰყავდა კიდევ ერთი ძაღლი — ძალიან იშვიათი თეთრი შეფერილობის კოლი, სახელად ლანცო... მიუხედავად ამგვარი კოლექციისა, პრეზიდენტს არ შეეძლო უარის თქმა ქალიშვილისათვის, რომ თავშესაფარი მიეცა ჩვეულებრივი მაწანწალა ძაღლისთვის საკუთარ სახლში. აი ასეთი დიდსულოვანი ადამიანი და კარგი მამა იყო ლინდონ ჯონსი.

თეთრი სახლის დანარჩენი ცხოველები თავიანთ პატრონებთან ერთად ფოტოებზე არინ წარმოდგენილნი.



















## ფეხსაცმლის უდიდესი კოლექცია

**გინესის რეკორდების წიგნში ამერიკელი დარლინ ფლინი ფეხსაცმელების ყველაზე დიდი კოლექციით შევიდა. აღმოჩნდა, რომ 57 წლის ფლინს ფეხსაცმელებისა და ამ თემატიკაზე შექმნილი საგნების მსოფლიოში უმსხვილესი კოლექცია აქვს.** მას „ფეხსაცმლის მბრძანებელსა“ და „ფეხსაცმლის დედოფალს“ უწოდებენ. თავადაც აღიარებს, რომ ფეხსაცმელი უკვე მანიად ექცა და უზარმაზარ კოლექციას 500 000 დოლარზე მეტიც დაახარჯა. ფლინმა წელს თავისივე რეკორდი გააუმჯობესა — 2006 წელს გინესის წიგნში ის 7 765 ნივთით შევიდა, წელს მის მფლობელობაში ჯერჯერობით 16 400 ექსპონატია და ისინი მსოფლიოს 60 ქვეყანაშია შეგროვილი. სწორედ ამ გამდიდრებული კოლექციით ქალი გინესის რეკორდსმენი მეორედ გახდა. მის ბინაში ყველაფერი ფეხსაცმელშია გამოწყობილი — საპონს, პირსახოცსა თუ ტუალეტის ქაღალდს ფეხსაცმელი „აცვიათ“. ამ ყველაფრის პატრონს კი იმის გახსენება უჭირს, რატომ გაიტაცა ფეხსაცმელმა ასე ძლიერად. მომავალში ფლინი მუზეუმის გახსნას გეგმავს და ფეხსაცმლის ფორმის სახლში ცხოვრებაზე ოცნებობს.



## ტყუპები

**ბრიტანელმა 29 წლის კიმ ჰეფერმა ტყუპები ორჯერ გააჩინა და ორჯერვე, ერთსა და იმავე დღეს: 4 წლის წინ, 18 ივლისს, ტრისტანი და ბლეიკი გაჩნდნენ, 2012 წლის 18 ივლისს კი — დევონი და ლოგანი.**

როგორც ტყუპების მამა, ფინანსური მენეჯერი, 30 წლის ფრედი ამბობს, ტყუპების დაბადებას 13 აგვისტოს ელოდნენ, მაგრამ მაღალი წნევის გამო მშობიარის საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო.

„ტყუპების დედა ვარ და ჩემი სახლი ნამდვილ საგიჟეთს ჰგავს. მომავალ წელს ოთხივე შვილის დაბადების დღეს ერთ დღეს ვიზეიმებთ. არ ვიცი, ქალმა ამაზე მეტი რა უნდა ინატროს“, — ამბობს კიმი. მსოფლიოში მხოლოდ 6 ოჯახია, რომელშიც რამდენიმე წლის ინტერვალით ერთსა და იმავე დღეს ტყუპები გაჩნდნენ.




# ქუთაისელ ანტინატოელთა მოწოდება თბილისის საბურთალოს რაიონის ამომრჩევლებისადმი

**დიდად პატივცემულო ამომრჩევლებო!**

საბურთალოს საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატის ადგილისთვის, სხვებთან ერთად, კენჭს იყრის ცნობილი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი და ღრმად მოაზროვნე პუბლიცისტი, ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, ქალბატონი ნანა დევდარიანი.

ღრმად ინტელექტუალურ-ანალიტიკურმა გაზეთმა „საქართველო და მსოფლიო“ ახლახან, 12-18 სექტემბრის 34-ე ნომრის ბოლო გვერდზე გამოაქვეყნა ქალბატონ ნანა დევდარიანის საარჩევნო პლაკატი, მისი ფოტოთი და მოკლე, მაგრამ ძალზე მრავლისმთქმელი სლოგანები: **„არა — ნატოს“** და **„1-იანი საქართველოსთვის“.**

გაიაზრეთ, პატივცემულო ამომრჩევლებო! აღნიშნული სლოგანები ლოგიკურ, დიალექტიკურ კავშირშია ერთმანეთთან, რამეთუ ერთმანეთს განაპირობებენ. თუ უარს არ ვეტყვით ნატოს, არ იქნება ერთიანი საქართველოც. **რომელ თქვენგანს არ უნდა იხილოს ერთიანი, ტერიტორიულად გამთლიანებული საქართველო? ბუნებრივია, ასეთი თქვენს შორის არ იქნება. მაშასადამე, ლოგიკის ძალით, საბურთალოელთა ყველა ხმა — ქალბატონ ნანა დევდარიანს!** „არა — ნატოს!“ — ამ სლოგანის აღსრულება მწვანე გზას გვიხსნის რუსეთთან მოსალაპარაკებლად;

**„არა — ნატოს!“** — ეს ნიშნავს თავი დავაღწიოთ მრავალწლიან გეოპოლიტიკურ სიბრმავეს, ანუ „ნატო მინდას“ ქაქანს და სომხეთ-აზერბაიჯანის მსგავსად შევიმეცნოთ, რომ ნატო სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიული სივრცისთვის შეუთავსებელია და მტრულია. „არა — ნატოს!“ — ეს ნიშნავს რეალური გზების გამოჩენას საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისთვის.

მაშ, **საბურთალოელთა ყველა ხმა — ქალბატონ ნანას სასარგებლოდ! ქალბატონი ნანა დევდარიანი პირველი ნომრით გამოდის და, იმედია, შედეგებითაც პირველ ადგილზე აღმოჩნდება, რაც უკვე თქვენს გონებასა და გააზრებაზეა დამოკიდებული, პატივცემულო ამომრჩევლებო!**

ქუთაისელ ანტინატოელთა სახელით:

**გივი გურეშიძე,**
პოლიტოლოგი,
ისტორიის მეცნ. დოქტორი;
**სურენ მარტიროსიანი,**
ფილოლოგი;
**ზურაბ კაჭკაჭიშვილი,**
**ზურაბ ხარატიშვილი,**
ინჟინრები.

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

# მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის მიმართვა საზოგადოებისადმი

**მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი უერთებს თავის ხმას საზოგადოების იმ სამართლიან აღშფოთებას, რომელიც გამოიწვია „რეფორმირებულ“ ციხეებში არსებული სადისტურ-რეპრესიული რეჟიმის გამომზეურებამ.**

ტყუილად ცდილობს ხელისუფლება, ეს გარემოება ერთი ცალკეული სისტემის სისტემურ მარცხად გააფორმოს. პენიტენციალური სისტემა, პროკურატურასთან, სასამართლოსა და სხვა ძალოვან უწყებებთან ერთად, იყო და არის ხელისუფლების მიერ შექმნილი ტოტალური რეპრესიული სახელმწიფო სისტემის განუყოფელი ნაწილი, მიმართული დაშინების გზით საზოგადოების მორჩილებაში მოქცევისკენ, განსხვავებული აზრის დასათრგუნად, საკონფისკაციო-კონტრიბუციული აპარატის შესაქმნელად და მოსახლეობის, მათ შორის, ბიზნესის საყვლეფად, საპროცესო გარიგებათა პრაქტიკის საყოველთაოდ დასანერგად, პრობაციონერთა წრის განუზომლად გასაფართოებლად და საკუთარი მიზნებისთვის წარსამართავად, იძულების გზით პატიმართა და მათი ახლობლების მმართველი ხელისუფლების საარჩევნო მიზნებისთვის გამოსაყენებლად, ელექტორატის გასაფართოებლად და უამრავი სხვა.

**ციხეებში არსებული ვითარების შესახებ არამც თუ იცოდა ხელისუფლების ნებისმიერმა შტომ, არამედ ეს გარემო და სისტემა მათ ერთობლივად შექმნეს აღნიშნული მიზნებისთვის. ამიტომ პასუხისმგებლობა პენიტენციალურ სისტემაში არსებულ ვითარებაზე ეკისრება არა მხოლოდ ცალკეულ მინისტრსა თუ ძალადობის აღმასრულებელს, არამედ უკლებლივ ყველას, დაწყებულს პრეზიდენტიდან, რიგითი საჯარო მოხელით დამთავრებული, ასევე მათ, ვინც დღემდე არსებული ხელისუფლების მხარდასაჭერად იღვწის.**

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი „ვარდების რევოლუციის“ წინ ყველას, ვისაც კი ხმა მიაწვდინა, აფრთხილებდა, რომ ხელისუფლებაში მოდიოდა ძალა, რომელიც დიდ საფრთხეს შეუქმნიდა ქვეყანასა და ხალხს. სახელდება „ნეობოლშევიკებიც“, იმთავითვე ჩვენ ვახსენეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყური არავინ გვიგდო. შედეგად, **9 წლის თავზე ჩვენ მივიღეთ ნაცისტურ-პოლიციური სახელმწიფო, განახევრებული ქვეყანა, დატერორებული საზოგადოება, ერთი მუჭა კლანის ხელში მოქცეული ბიზნესი და წილები, დანგრეული მართლმადიდებლური ტაძრები და დაპატიმრებული მართლმადიდებლები.** თავიდანვე ხელისუფლების მთავარ სამიზნედ ეკლესია იქცა. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მოახერხა და ეკლესიის წიაღში შექმნა თავისი მოკავშირე ჯგუფი, რომლის სამართავად ის იყენებს კომპრომატებს, როგორიცაა კრიმინალური საქმიანობისა თუ უზნეობის საყოველთაოდ ცნობილი კონკრეტული ფაქტები, მაგრამ ხელისუფლებამ არა ერთხელ წაიტეხა ეკლესიაზე მისთვის საგანგებოდ ალესილი კბილი, და კიდევ მრავალს წაიტეხს, რა თქმა უნდა, თუკი დასცალდა.

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, **ხელისუფლება მის მიერ მართული ტელევიზიებით, ჟურნალისტებით, პოზიციაში თუ ოპოზიციაში განთესილი აგენტურით, ცდილობს, ჩირქი მოსცხოს ეკლესიას და ამჟამად მას იმის გამო აკრიტიკებს, თუ რატომ არ აცნობეს სასულიერო პირებმა, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ პატიმრებთან და იღებდნენ მათგან აღსარებებს, ციხეებში არსებული ვითარების შესახებ საზოგადოებას.** ამასთან დაკავშირებით ვაცხადებთ: **მხოლოდ საკუთარი ნებით თვალდახუჭულებმა არ იცოდნენ იმ ძალადობის შესახებ, რომლებიც ციხეებში სუფევდა, რადგან არაერთი მასალა დაიბეჭდა, არაერთი ქადაგება გავრცელდა.** ყველა გულისხმიერი, მათ შორის ჩვენი კავშირის წარმომადგენელი, სასულიერო პირი მოქმედებდა და მოქმედებს ღმრთის ცნების აღსასრულებლად, რომელიც გადმოცემულია სახარების შემდეგ ეპიზოდში: **„სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოხუედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ... შენ უძლური ანუ საპყრობილესა შინა და მოვედით შენდა?.. და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამინ გეტყვით თქუენ: რავდენი უყავით ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“** (*მათე 25; 36-40*). ხედავთ, მაცხოვარი პატიმრებს ძმებს უწოდებს, ამიტომ ფრთხილად იყავით!

**მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894